

СБ

5/10.8
ՀԱՅԿԱՅԵԱՆ
ՔԱՆՈՒՄԱՐՆԵՐ

ՀԱՅԿԱՅԵԱՆ
ՔԱՆՈՒՄԱՐՆԵՐ

ՀԱՅԿԱՅԵԱՆ
ՔԱՆՈՒՄԱՐՆԵՐ

652
1969/2

1969 1

ლიტერატურა

1
ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველო

1505

- 11.2/7-

1969

იანვარი - თებერვალი

ლიტერატურულ-მსაჯერული და
საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი

საქართველოს მფარველთა კავშირის
აჭარის განყოფილების ორგანო

ბ ა თ უ მ ი

შ ი ნ ა ა რ ს ი

5. გვარიშვილი — ლექსები	2	ი. როსლარი — გულთმისანი (იუმორესკა)	59
ბ. გელოვანი — ყმაწვილი და სიკვდილი (მოთხრობა)	8	კრილოვის იგავ-არაკებიდან	61
ჯ. ჯაყელი — ლექსები	33	ლენინის იუბილეს შესახებდრად	
ბ. სანადირაძე — კერია (მოთხ- რობა)	37	პ. ნაცვლიშვილი — ლენინი და ოქტომბერი გალაქტიონ ტაბიძის პოეზიაში	63
თ. ჯანგულაშვილი — ლექსები	41	მ. ციხაძე — ლენინის უახლოესი მეგობარი	75
შ. ვარშალომიძე — სახლიკაცები (ნარკვევი)	44	კრიტიკა და პუბლიცისტიკა	
ბ. ანანიძე — ლექსები	50	პ. ცაქვიტარიძე — ძმობის და მე- გობრობის გზით	79
ბ. ასოზაძე — ლექსები	52	პ. ჯინჭარაძე — ჩაქვისწყლის ტოპონიმიკის ზოგიერთი საკით- ხის შესახებ	83
ლექსები ლენინზე	53	მ. ზმირიძე — ზღაპრული მოტივი მსატრულ ნაწარმოებში	89
ანდაზები	55	ხელოვნება	
მეგობრები ულოცავენ	56	ბ. ცხმარაძე — ლოტარის გზა	92
რ. ლორია — ლექსები	57		

რედაქტორი ნანა გვარიშვილი.

სარედაქციო კოლეგია:

ბ. ახვლედიანი, შ. როყვა (პ/მგ. მდივანი), პ. ლორია,
ალ. ჩავლეიშვილი, ფრ. ხალვაში.

რედაქციის მისამართი: ბათუმი, ენგელსის ქ. № 21


ტელეფონები: რედაქტორის — 33-71, პ/მგ. მდივნის — 33-72.

ხელმოწერილია დასაბეჭდად 31. III. 69 წ. საბეჭდო 6, საგამომცემლო

5 თაბახი, შეკვეთის № 390, ემ00828 ქაღალდის ზომა 60×90, ტირაჟი 1800.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტის
მთავარბოლოგრაფმრეწვის ბათუმის სტამბა № 9 (ლუქსემბურგის, 22).

აჭარის შურნალ-გაზეთების გამომცემლობა



ქვეყნად მშვიდობა უნდა გვახარო, წელო ახალო!
 მადლი შენს მოსვლას,
 ნათელი გმოსავს...

გვაშოროს ზენამ მტრის მუხანათი ის ავი თვალი,
 გვქონდეს ხეავი უთვალავი პურის მზეთა თავთავის.
 სულ ბედნიერად დაგვებედოს ყველა ნაბიჯი,
 ამკობდეს ველებს ოქროს ღიმილი თურინჯ-ნარინჯის,—
 და ადამიანს მეგობარზე ფიქრი და ზრუნვა...

ემრავლოს შვილებს, ემატოს ქორწილს, ელხინოს ზურნას!
 ამაგდარ ქალებს შესრულებოდეს გულის ზრახვანი.
 ჩვენს ლად გოგონებს —კარგი ბედი, ჭრელი აკვანი.
 ჩვენს ნანატრ ველებს ამკობდეს მეტი ჩაის ხავერდი...
 ასწიეთ თასი, მეგობრებო, ვარ ალავერდი...

მას გაუმარჯოს, ვინც იცის ფასი მიწის და ვაზის,
 სამშობლო, ვისიც გულის ხატია,
 უყვარს პარტია,
 ზეცა —სილაღე,
 ზღვა — სიყვარული,
 მზე — სითბო,
 ყვავილი, სიოს ამონაყვანა...

ღედაო მიწავ, ვისაც რომ ძალუძს შენი თავყვანი,
 მას გაუმარჯოს!

ზვირთის ზვინები დგებიან ზეზე,
შლიან ქარები.

გადმოიარეს მწვანე ყანების
ეს ზღვა უღევი...

დარჩათ ნისლები უხილავ გზებზე,
ლუზა ჩააგდეს და გემს ტოვებენ
მეზღვაურები.

ჭაბუკურ ღელვით მოედვნენ ქუჩებს,
იგრძნეს სიცოცხლის სწრაფვა და
ჩქროლვა

და შეუერთეს ზღვის დიდი სუნთქვა
ნიავის ქროლვას...

იდუმალ ღელვით მოაწყდნენ ნაპირს,
სურვილს უოკავს სწრაფვა გვიანი,
ნაპირთან უცდის თბილი კურცხალი
ადამიანის...

და ერთი ბეწო მიწის თავანის, —
ლურჯი ლაქვარდი კიდე უღევი.
მონატრებული მოაწყდნენ ნაპირს
მეზღვაურები.

ჯამთარი ზღვაზე

(სურათი)

ცა ფანტელ-ფანტელ ჩამოდის ნელა
ნისლების ქვემოთ.

ტალღა ბავშვივით იჭერს „პეპელას“
დახტუნაობენ პატარა ქვები!

ჯვირნებივით დგანან გემები
ნისლში გაჩრილი ანძების რქებით,
და გაუმართავთ ფიფქებს მარულა
ნისლების ქვემოთ...

საკვამურიდან კვამლის თოლიას
აფრენა უნდა...

ღრუბელმა ზღვაში უცებ ისროლა
მზის დიდი გუნდა...



აქორილ ბუჩქებს, ჩახვეულ ფესვებს
სიცოცხლის ნამი ეცემა ციდან.
და კენწეროში მიჩიტულ კვირტებს
ტუჩებზე აზით ალთქმანი წმინდა.
ო, ცისიერნო, თეთრო ტრემლებო,
პატარა ფოთლებს უმკობდით ყვავილს,
მწვანე ღიმილი, მზესთან თამაში
აკმარეთ მანამ, ვიდრე იყავით,
მერე უეცრად წაბრძანდით ცაში,
და პაწაწები გაჰყარეთ ქარში.

გზას დავკადგები

ჩემი ოცნების ბედაურების
შენ ერთადერთი იყავ ნალბანდი
ახლა კი, კარგო, მსურს გადვიკარგო,
ავიკრა ჩემი გუდა-ნაბადი.
წასვლის ჟამს იქნებ, გზის დასალოცად
ეშმაკებს მოვყვე, ნუ შეშინდები.
მე ერთხელ კიდევ წყალგადანასხამ
ნაღვერდალივით ავშიშინდები.
ავკვამლდები და თეთრი ნისლივით
ფერდაკარგული გზას დავადგები.

დიდი, დიდი ხელები

შენი დიდი ხელები,
დიდი, დიდი ხელები,
როგორც ვერხვის ტოტები
ქარით განახელები,
როგორც თბილი ფოთლები,
ნასხურები ნამითა,
ჩემს სიხარულს იჭერდა
არ უშვებდა წამითაც,
უცებ სადღაც წავიდა.

უნდა მივიღე

სულს მიწიოკებს
განკითხვის წამი,
ჰო, წადი მასთან...
ვნებდები წადილს,
ქარივითა ვთრთი,
ია ვარ, სველი,
სულია ველი,
ნიაღვრით სავსე...
უცებ მდულარე ცრემლს
დავემსგავსე.
და სულში თბილი
ქარები ქრიან.
რაც უნდა იყვეს,
რაც უნდა მოხდეს,
უნდა მივიღე,
არ არის გვიან.

პატარა ჩიტი

ბუმბულში გული თუ გაუცივდა,
თუ უკარგავენ ქვეყნად სიკეთეს,
ჩიტი რა არის, პატარა ჩიტი
წავა და ახალ ბუდეს იკეთებს.
სხვა ჩიტებიც კი ზრუნავენ მისთვის,
ფრთით უჩრდილებენ სივრცეს
გვალვიანს...
ჩიტი რა არის, პატარა ჩიტი!
ვერვინ დაუწნავს ღრუბლის გალიას.

ჩვენო საქართველოვ,
დედავ, — თბილო რძეო,
ცაო, — შუქის მდელოვ,
ჩვენო ლურჯო ხატო,
ხატო საფიცარო, —
საქართველოს ცაო!
ოშკის თეთრო კოშკო,
კოშკის თეთრო ყელო,
დღეგრძელობდეს მუდამ,
შენი საქართველო!
ამოყარე ყველა ყვავილები ზემოთ,
დალოცვილო მიწავ, დალოცვილო გზებო,
ბილიკ-ბილიკ წყაროვ, თეთრო-თეთრო,
წმინდავ,
ლოცვა — რაღად გინდათ?!
მაინც ჩურჩულს იწყებს, ბაგე მავედრალი,
ღმერთო, დაიცავი მარგალიტის თვალი..
სულ საფიცრად გვყავდე, ჩვენო ლურჯო
ხატო!
საოცარო ცაო — ზღვაზე დანახატო,
აწოწილო მთაო, ჭრელა-ჭრულა ველო,
დედავ, თბილო რძეო, ჩვენო საქართველოვ!



ყველა სეველი

თ ა ვ ი პ ი რ ვ ე ლ ი

ხ რ ა მ შ ი

ტყეში ყმაწვილი მიდიოდა.

ბავშვი მარტო იყო, ტყე კი — უსაზღვრო და უნაპირო. პატარა ჩიტებს უკვირდათ:

— ნეტა, ვისია ეს ბიჭუნა?

— დედა არა ჰყავს?

— შიში არ იცის?

— შიმშილი არ იცის?

ვინ მოთვლის, კიდეც რამდენ რამეს კითხულობენ ცნობისმოყვარე ჩიტუნები, მაგრამ პასუხს არავინ იძლევა. რისთვის იცადონ? იჭიკჭიკებენ და გაფრინდებიან.

ყმაწვილი კი მიდის და მიდის. ბევრს არ უნახავს ასეთი ტყე. თითქოს მთელი ქვეყნის მარტოობა ამ ტყეში შეყრილიყო. აღმა მიდიოდა თუ დაღმა, ეძინა თუ ეღვიძა, სულ მარტო იყო. მარტო, უსახლკარო და უმწეო... ერთი პატარა მალხაზი ბიჭუნა!

რა უნდა უღრან ტყეში ცეროდენა ყმაწვილს თავისი ცხოვრების მეთერთმეტე გაზაფხულზე?

ეს ცოტა გრძელი ამბავია. მოდი, თავიდან დავიწყოთ.

მზემ შუა ცაზე შეაჩერა ოქროსფერი ეტლი და დედამიწას გადმოხედდა.

შუადღეა. მწვანე ტყეში ჭიჭინობელაც კი მიყუჩდა. ცხელია მზის თვალი მთაშიც და ბარადაც. მხოლოდ წყარვას წყალი მორაკრაკებს ისე, თითქოს ყინულის ნატეხებს მოაჩხრიალებსო.

აქ ისვენებდნენ დაღლილი მწყემსები და მონადირეები. ფერდს ამოიღებდნენ და გზას განაგრძობდნენ. ყმაწვილმა ანკარა წყალი დალია და უკაცრიელ ქოხში შეისვენა.

მთის ბილიკზე ყმაწვილი კაცი გამოჩნდა. ბარად მოდიოდა, მხარზე მაჭახელა ეკიდა.

მალე ნაბიჯის ხმაც მოისმა. ყმაწვილმა მოიხედა. ქოხის კარზე ზაფ-
გერმანი ჯეელი იდგა და ილიმებოდა.

— გამარჯობა, ალექსანდრე მადლიშვილო! — თქვა ხელის შეწებით.

— შენც გაგიმარჯოს, სკენდერ დათუნაიშვილო... უკაცრავად, სკენ-
დერ მაკედონელო.

— ჰიდან მოხვალ, ჭო, ამ დილაი? — გაეხუმრა მეგობარს სკენდერი.

— ბარიდან მთაში. შენა?

— მე მთიდან ბარად. მარტო ხარ?

— რა მიჭირს, გზას ვერ გავყვები თუ?

— რომ ვერ გაჰყვები?

— შენ თუ ჩამოჰყვები?

— მე ამ გზაზე შენს დაბადებამდე მივლია.

— გუდით თუ აკენით?

— მერე, ეს მაჭახელა...

— გინდ მუგუზალი დაადო, მაინც არ გავარდება, — შეაწყვეტინა
მეგობარს ალიკომ.

— შენ ხუმრობ, მე კი ამ თოფით ორი ხეკაკუნა მომიკლავს.

— ხეკაკუნას რას ერჩოდი, ჭო? გინდა ტყე მატლებმა შეჭამონ?

— არა. მთაში რისთვის გაგაგზავნეს?

— დედამ შემოგვითვალა, კარაქის ჭურჭელი არა მაქვს, გვარდა მჭი-
რდებაო. ილიკოს უნდა წაეღო, ჩემს უფროს ძმას, მაგრამ გაჯიუტდა, საქმე
მაქვსო. ხუთებზე სწავლა ბუზების ჭერა არ გეგონოთო. სხვებსაც საქმე
ჰქონდათ. მხოლოდ მე აღმოვჩნდი უსაქმური. ავდექი, გვარდა ავიღე, ილი-
კოს ვუთხარი: იჯექი შინ და ლეჩერი ჭამე, მე კი წავალ-მეთქი. რძალი არ
მიშვებდა, მაინც წამოვედი... მართლა მოკალი კოდალები? ვარდება შენი
მაჭახელა?

— არა, — გაიცინა სკენდერმა. — თუ ტყვია პირში არ მიეცე, ფეხ-
ზე არ შეაყენე და სასხლეტი არ მოსწიე, ხმას არ გაიღებს. ბიჭო, ხედავ
მზე გადაიხარა. თუ შენსას არ იშლი, აქ დამიცადე, სოფელში ჩავალ და
ვინმეს გამოვავაზენი.

— შენ რომ სოფელში ჩახვალ, მე უკვე მთაში ვიქნები, — გაიცინა
ყმაწვილმა, გვარდა აიღო, ერთხელ კიდევ დაეწაფა წყარვას წყალს და
ბილიკს ახედა.

სკენდერი სახტად დარჩა.

— ალიკო!

— რა იყო? რა მიჭირს. სკენდერ? პაპა რამაზმა თქვა, თუ მგელი არ
შეეყარა, თხა იერუსალიმში ჩავაო.

— თუ შეეყარაო?

— მაშინ მშვიდობითო!

სკენდერი ქოხის ზღურბლზე ჩამოჯდა. თოფის ლულაში ჩაიხედდა, ცალი თვალით და მეგობარს უთხრა:

— რა იყო ახლა, ჭო, დელსავედ¹ რო იწვევი ტყისკენ? არც წაგაგაგა² არც ზარმელი³ გაგაგაგა³ ჩაქრება სადაც არის. შავ ღრუბლებში ჩადის, ცუდი ტაროსი იქნება.

ალიკომ ცას ახედა, მერე ჭურჭელი ხელში შეატრიალა და თქვა:

— დედას გვარდა სჭირდება.

დათუნაიშვილი წამოდგა, თოფი მარჯვენა მხარზე გადაიკიდა და უკმაყოფილოდ ჩაილაპარაკა:

— რა გიყო, თავიდან ინათიანი⁴ იყავი... თუ სადმე დევს გადაეყარო, ჩემი სახელი ახსენე.

— მეც მაგის იმედი მაქვს. ინსნიმჭამლებს⁵ შენი ეშინიათ.

— ამიტომ არ წამომიყვანია ძაღლი.

— არ წამოგყვებოდა: დათვს ააცდენდი, ძაღლს მოკლავდი. შინ კი არხეინად იქნება.

— რა არხეინად, გომურში დამწყვდიეს, მომდევდა. ძალიან ვუყვარვარ ძაღლებს.

— უფრო მეტად კი ნადირებს: სკენდერი კეთილი მონადირეა, მაგისგან თიკნის ყურიც არ დაგვკლებიაო. ტყვიები გაქვს?

— მაგ ენის ტარტარს ისა სჯობია, შინ დაბრუნდე. ხვალ მე წაგიყვან მთაში.

— ხვალ აქეთ მოვბრუნდები და ამ ქოხშივე შეგეყრები! — სკენდერი საბოლოოდ დარწმუნდა, რომ ალიკო თავისას არ დაიშლიდა, ქოჩორზე ხელი გადაისვა და წყნარად უთხრა:

— მაშ იარე სირთი-სირთ,⁶ ტყისი-მტყე,⁷ ასე უფრო იოლად ახვალ, ხევის ბილიკით უფრო ძნელად აისვლება. საგზალი თუ გაქვს? ყმაწვილმა ხალხური ლექსი გაიხსენა:

ვაჟკაცს საგზალი რად უნდა,
გაჰყვება ჭარსა ნიავსა,
თვით მოჰკლავს ჯიხვსა ბერხენსა,
მწვადებს შეიწვავს ცვრიანსა...

ალიკო არაჩვეულებრივი ყმაწვილი იყო: უშიშარი, ცნობისმოყვარე, თან ღონიერი და გონიერი. ბევრი ლექსი ზეპირად იცოდა. თვითონაც მშვე-

1. დელსავედ — „დელსავით“, გიჟივით.

2. ზარმელი — საჭმელი.

3. მზისთვალი — მზე.

4. ინათიანი — ჯიუტი.

5. ინსნიმჭამელი — კაციჭამია (ინსანი — ადამიანი).

6. სირთი-სირთ — ქედ-ქედ, მთა-მთა.

7. ტყისი-მტყე — ტყის გავლით, ტყე-ტყე.

ნივრად წერდა ლექსებსა და დღიურს. მერე, წაკითხულის გამოყენებაც მშვენივრად ემარჯებოდა, ისე რომ უფროსები სახტად რჩებოდნენ. ყმაწვილი მთის ბილიკს მიჰყვებოდა. გზა სულ უფრო ძნელი გახდა. ჩვეი გახდა. მწვანე ბალახს დაეფარა მიდამო. მერე ბალახი ტყეში შემოვიდა. ლა. ჯერ მეჩხერი ტყე იყო, მერე თანდათან გახშირდა, დაბნელდა, დაიბურა. ყმაწვილს ზღვა მოაგონდა. ზღვაც ასეა: ჯერ თხელი და რბილი ტალღებია, მერე ზღვა თანდათან ღრმავდება, მიძიმდება და ვისაც შეიტყუებს, გველუშაპივით ჩაყლაპავს. სადაა გზა?

უყურებს ალიკო ხეებს და უკერს: რამდენი ხეა! რა ბუმბერაზი ხეები! აქ ხეს ოქროს ფასი ედება. „პატივსა გცემ, ძროხას მოგცემ, ხეს კი ვერ მოგაჭრევინებო“, — ასე ეტყვიან ერთმანეთს აჭარლები. ან რა იქნება ტყის ფასი! სიცოცხლეა ეს პაერი, ეს წყალი, ეს ბუნება. ასე ასწავლა რამაზ პაპამ.

რამაზ პაპას ასი წელი მხრებზე აწვა. ათასი ამბავი იცოდა. მან უამბო ისიც, თუ როგორ გაჩნდა ზღვისპირას ტყეები. თურმე უხსოვარ წარსულში აქ გაშლილი ველი ყოფილა და ფოთლების შრიალის ნაცვლად იარაღის ქლარუნი ისმოდა.

მთა და ბარი ომობდა. ყოველდღე ჩამოდიოდა მთებიდან ხალხი და ბარელებს ებრძოდა. იყო ხმალთა ტრიალი, შუბთა კვეთება, ისართა ზუზუნი. ლაპლაპებდა ფარებისა და აბჯართა ზღვა. იღვრებოდნენ სისხლის ნაკადულები და ერთვოდნენ ამ ზღვას. უაზრო იყო და ხანგრძლივი ეს ძმათა ომი. შეწუხდა ქვეყანა, ერთ მშვენიერ დღეს მთის ჯარი ჩვეულებრივად დაიძრა ბარად და სახტად დარჩა: აღარც მტერი იყო, აღარც ხმელეთი. ყველაფერი წყალს დაეფარა. გოცებისაგან მოლაშქრე მთის ჯარისკაცები ხეებად ქცეულიყვნენ. ასე გაჩნდა ტყე შავი ზღვის აღმოსავლეთით, — დაასრულა ძველი თქმულება მოხუცმა მოხრობელმა. იმ დღიდან ალიკოს ხეები ცოცხალი ადამიანებივით ეცოდებოდა. აი, ეს ტყე სულ ჯარი ყოფილა. ნეტავ, რა აჩხუბებდათ? ომი სიკვდილის მოგონილია. ახლა ომი არაა და სიკვდილმა ალიკოსათვის მოიცალა.

მაგრამ ალიკო გულმაგარი ბიჭია, არ შეშინდება, გზას მიაგნებს. აუცილებლად მიაგნებს გზას და წავა დედასთან. ხოლო იმისათვის, რომ სიმხდალე არ დასწამონ, დასწერს, როგორ უშიშრად ეჭირა თავი.

ყმაწვილს უბის წიგნი და ფანქარი აქვს. რომ დაიღლება, დაჯდება და წერს:

„ძალიან საშიში და უტეხი ტყეა. მარტო ვარ, მაგრამ არაფრის არ შეშინია. ახლა უკვე მივალწიე გაუვალ მინდვრებს, რომელთაც სარბიელას უწოდებენ. 15 კმ. უკვე გავიარე და დედასთან მისვლას 4 კმ. დამაკლდა. უცებ შავმა ბურუსმა დაფარა ტრიალი მინდორი. ძალიან ბევრი ვიწვალე, მაგრამ გზა მაინც ვერ გავარჩიე, რადგან მინდორი შამბით იყო და-

ფარული. თავსმა წვიმაში მხარი მეცვალა და გადავიჭერი რაღაც ბნელ ტყეში. ამ ტყეში ერთ პატარა კარავსაც წავაწყდი, მაგრამ იქ არაფერი დი, როგორმე დედასთან მივიღე-მეთქი. ამასობაში კიდეც დაღამდა, მაგრამ ერთი დიდი ხის ძირას. მოვიდა ძალიან საშიში ჭექა-ქუხილი. მთელი ღამე ვიტრიალე და დედას ვუძახე, მაგრამ ვინ გაიგონებდა? სულ წყალი ვიყავი. ასე გავატარე ეს ღამე. როცა გათენდა, შეიძლება სადმე დედას წავაწყდე-მეთქი, ხელად გზა ვინატრე, მაგრამ სადღა იყო გზა!

ჰო, სადღა იყო გზა! დაბურული ფოთლებიდან სველ მიწაზე ნამი წვეთავდა. ეკალ-ბარდებში გორაკებივით გაწოლილიყვნენ წამოქცეული ასწლოვანი ხეები. ალაგ-ალაგ კიდეც ბუერისა და გვიმრის გაუვალი შამბი ფარავდა მიწას. მარჯვნივ წახვიდოდი, მარცხნივ, წინ თუ უკან, ყველა-ფერს ერთი ფასი ჰქონდა. სადღა იყო გზა! ბიჭი კი მიდიოდა. მიდიოდა თითქმის ტიტველი, პირველყოფილ ბიჭივით. მიდიოდა და არვის იცნობდა. ახლა ყოველი ნაბიჯით კი არ აახლოვებდა, არამედ აშორებდა დედას. მაგრამ უნდა ევლო და მიდიოდა.

შელამებისას მშვიერი ყმაწვილი ქვაზე ჩამოვდა და დღიურში ჩაწერა. „ამასობაში დაღამდა კიდეც. ძილი სადღა იყო, შიმშილით ზათი აღარა მქონდა, არც არაფრის ჯავრი. სიწმარში ვნახე, რომ დედამ დამიძახა: ადექი, ალიკო თხები გადენეთ შენმა ამახანაგმა ანზორმა და შენო!“ საჩქაროდ წამოვხტი და დავფაცურდი, მაგრამ სად იყო დედა! ვაი, სიწმარი ყოფილა! — ვთქვი და ავტირდი. აქამდე არ მიტირია“.

ასე იწერებოდა ბავშვის დღიური.

იმ დღეს ყმაწვილი პირველად ჩაუფიქრდა, როგორ საჭირო ყოფი-
ლაო შრომა და გარჯა. უფროსები სახნისს ფერავენ, ყანას ხნავენ, თოხნი-
ან, პური მოჰყავთ დასაბამიდან, რომ აღამიანი შიმშილით არ მოკვდეს,
წავიდეს. მოვიდეს, საქმე გააკეთოს, გაიცინოს და გაიხაროს. ხორბალს
ასუფთავენ, რეცხავენ, აშრობენ, ფქვავენ, შოთ პურს აცხობენ... რა
დიდი რამე ყოფილა ეს, ერთი შოთი პური! უფრო დიდი, ვიდრე ეს მთა,
ეს ხეობა... მაგრამ პურს ახლა ვინ დაეძებს! ერთი ღერი მარცვალი რომ
ჰქონოდა, აი ამ ნოყიერ მიწაში ჩარგავდა, მოუვლიდა, სარეველას მოაღ-
ლიდა. მერე ხორბლის ღერო გაიზრდებოდა, მოისხამდა თავთავს, დამძიმ-
დებოდა, დამწიფდებოდა... ერთი ღერი... ერთი მარცვალი რომ ჰქონო-
და...

ამ ფიქრებში ყმაწვილს თავი თვითონვე დაუმძიმდა, დაუბრუნდა, ჩა-
ყვინთა და ჩაეძინა.

უეცრად ნატვრა აუსრულდა. თვალწინ დაბურებული ყანა გადაეშა-
ლა. ქარი ზღვასავით არხევდა მწიფე თავთავს. ალიკოც კარგი მცურავი-
ვით გადაეშვა თავთავთა ზღვაში, მკიდა, მკიდა, ძნების ზვინი დააყენა. მე-
რე ხარები შორეკა, გალეწა, დაფქვა, მოზილა და მთელი ამ ყანიდან მხო-

ლოდ ერთი პატარა კვერი გამოვიდა სამწუხაროდ, ამ კვერის ჭამაც არ დასცალდა. მიმინომ ჩიტი დაიჭირა და საბრალო ჩიტუნას წივილმა გამოაღვიძა.

ტყეში ყველა შოულობს საზრდოს, მხოლოდ ამ ბიჭისთვის ფერი არ იყო.

გაქრა სიზმარი. ბიჭი გზას გაუდგა. მაგრამ ეს უკვე აღარ იყო გზა. ბიჭუნა კარგა ხანია ასცდა მას და გაუკვალავ ტყე-ღრეს მიჰყვებოდა. პატარას შიშშილით კუჭი ეწვოდა. შეღამებისას მოცვის ბუჩქი ნახა. ნაყოფი არ ესხა, მაგრამ მოცვის ფოთლებსაც ხომ ჭამენ. სოფელში ამ ფოთლებს ახმობენ და ჩაის მაგიერ ხმარობენ. ალიკომ ტოტები დატეხა და თან წაიღო: ვინ იცის, ხვალ ვერც ამას წავაწყდეთ! სამი ფოთოლი მოწყვიტა, პირში ჩაიღო. ზანტად ლეჭავდა და თან ფიქრობდა: „ახლა სოფელში გემრიელ საჭმელებს შეექცევინ, მე კი აქ თხასავით ფოთლებსა ვჭამო“.

მოცვის ფოთოლი უხეში გამოდგა. გემო ვერ ჩაატანა. მეოთხე ფოთოლი რომ მოწყვიტა, გული აღარ მიუვიდა, ტოტი დააგდო, შეღამებისას ტყის შუაგულში გადაშლილ ველზე აღმოჩნდა.

უეცრად ტრიალი მინდორი შავმა ბურუსმა დაფარა. ყმაწვილმა ხშირ ტყეს მიაშურა. ცამ შუბლი შეიკრა. ბუნება საავდროდ გაეშადა. ერთი ბებერი შავი გველესაში წამოვიდა ჩრდილოეთიდან, ღრუბლის სახე მიიღო, დაიგრიხა, გაიწელა, დაიქუხა, თვლებიდან ელვის ნაპერწკლები გადმოყარა და ბანჯგვლიანი თავით დედამიწას დასწვდა: ბარემ ამ ჭინკას გადავყლაპავ და ვახშმად ვიკმარებო.

მაგრამ „ჭინკა“ გველესაზე ძლიერი და მკვირცხლი გამოდგა, ნამეხარ ნაძვს გაერიდა და უზარმაზარ წიფელას შეაფარა თავი.

ტოტებში წიფლა-ჩიტმა დაიკენესა.

კეთილი ღაბუა წიფლა-ჩიტი ყოველთვის იმიტომ კვნესის, რომ ოდესლაც თურმე მშვენიერი ახალგაზრდა ქალი იყო, ერთი ღამეში ბიჭუნა ჰყავდა, უღრან ტყეში დაეკარგა, მგელმა მოსტაცა ფიჩხს რომ აგროვებდა. დედამ ძებნაში გულ-მკერდი დაიკაწრა და მწუხარებისაგან ჩიტად იქცა. ამიტომ კვნესის და ამიტომ აქვს გულ-მკერდი სისხლივით წითელი.

ყმაწვილს გულზე მოეშვა, წიფლა-ჩიტის ხმა რომ გაიგონა. დაჯდა და წიფლის ხავსს მიეკრა, გაინაბა, გათბა. ასეთია ბავშვის გული. როცა მართლა, ეშინია, საცოდავია, მაშინ ჭიანჭველაც კი ნუგეშია მისთვის.

ცა კი ისევ ისე მრისხანებდა. ელვა აბრმავებდა და ქუხილი აყრუებდა. ყოველ სულდგმულს. ტყე კვნესოდა. ნაკადი ნაკადს უერთდებოდა და მიწას მღვრიე ღვარი ღარავდა. ჟანგისფერი წყალი ფესვებს რეცხავდა და ყველაფერს ხვეტავდა, რასაც მოერეოდა.

განმარტოებით, ფრიალო ბექობის თავზე ერთი შავი ბუმბერაზი სოჭი იდგა. ცალი გვერდი ჩამოლეწილი ჰქონდა, კენწეო — წატეხილი, მის

ნაცვლად ფიჭვის მსხვილი პუნტულა ედგა, დიდი ტოტის ნატეხი მკრევე-
ის მსგავსად ეკიდა დაღწილ გვერდზე. სოჭი ჰგავდა ბაყბაყ-დეცხ, ადგილ-
ნების ასაკლებად რომ მიდიოდა, მძინარე ამირანი გადაყლაბა, მაგროვს-
გზაზე შეჩერებულა, რადგან გმირს ყამა დაუკრავს, გვერდი ზემოქვემო
გამოსულა და მარჯვენა ჩამოუთლია. იდგა ახლა დევი ამ კუნაპეტ სიბნე-
ლეში და აღარ იცოდა, საით წასულიყო.

დაბურულ ცაზე ერთი დიდი შავი ღრუბელი მიიზლაზნებოდა, ისეთი-
ვე ღრუბელი, შედამებისას რომ გველშაპს ჰგავდა და ბიჭუნას დასწვდა.
ახლა ტიკჭორასავით გაბერილიყო, ადგილიდან არ იძვროდა და პირიდან
ცეცხლს აფრქევდა.

— ეს ღრუბელი პაპა რამაზის ზღაპრის მეფე-ტიკჭორასა ჰგავსო, —
გაიფიქრა ყმაწვილმა და ზღაპარი გაისვენა:

...იყო და არა იყო რა. იყო ერთი მეფე-ტიკჭორა, რუმბივით მრგვა-
ლი და ტახტით ტლანქი. ცხრა წელიწადი განაგებდა ქვეყანას. განაგებდა
კი არა, აჩანაგებდა: ტანჯავდა და ფანტავდა ხალხის დოვლათს. ქვეყნის
მართვას ჭკუა უნდა, ჭკუა კი მას არ გააჩნდა და ამიტომ ეს საქმე ქარს მი-
ანდო. აღმა ქარი ავარდებოდა — აღმა გარბოდა, დაღმა ქარი ატყდებო-
და — დაღმა მიეშურებოდა. ზენა ქარს ზევით მიჰყვებოდა, ქვენას — ქვე-
ვით, და იყო ამ სირბილში, რადგან მის საბრძანებელში ქარი თითქმის ყო-
ველდღე ქროდა. ეს კიდევ არაფერი. უბედურება ის იყო, რომ საითაც
თვითონ გარბოდა, ხალხიც იქით უნდა გაჰყოლოდა, და ვაი მას, ვინც
ფეხს ვერ შეუწყობდა ან განზე გადაუხვევდა! წაავლებდნენ ხელს მისი
ნაზირ-ვეზირები და დაგლეჯდნენ, აღმა ქარს გაატანდნენ, დაღმა წყალს.
ეს ქარში. წყნარ ამინდში კი მეფე-ტიკჭორა კარგად გამოძლებოდა, დავო-
რდებოდა და ხვრინვას ამოუშვებდა, ხალხსაც მისთვის უნდა წაებაძა.
ჰოდა ხვრინავდა ქვეყანა. ეს წყნარ ამინდში. ახლა წვიმაში? მეფე-ტიკჭო-
რა ხახას დააღებდა, წვიმას მიუშვერდა, ატირდებოდა, სვამდა, თან ტირო-
და, ცრემლი ღვარად გადასდიოდა და ხალხსაც უნდა ეტირა. რაღა ბევრი
გავაგრძელოთ, ხალხი ან გარბოდა, ან ხვრინავდა, ან ტიროდა. ვინ მოიყ-
ვანდა მოსაყალს? გაღარიბდა ქვეყანა, მგელივით შიოდა დიდს და პატა-
რას...

შიოდამო? — ყმაწვილმა ნერწყვის გადაყლაპვა სცადა, მაგრამ ნერწყ-
ვიც აღარა ჰქონდა პირში. დაშრეტილიყო სიცოცხლის წყარო, თვალთ
დაუბნელდა. წრეები დაუტრიალდა. მაშინ თვალეები მოიფშვნიტა და ისევ
ცას ახედა. ქარი სწრაფად ერეკებოდა ტიკჭორა-ღრუბელს, სახეს უცვლი-
და, აგრძელებდა. აგერ, ცალი ხელი წააწყვიტა და ზედ თავიც მიაყოლა.
ღრუბელმა სახე დაკარგა, მაგრამ ახლა სხვა ღრუბელი წამოვიდა. ცა ისევ
მოიკუბრა.

— ერთ მშვენიერ დღეს ავარდა სასტიკი ქარიშხალი, — განაგრძობდა პაპა. — გაიტაცა შენი მეფე-ტიკტორა და ქვესკნელის გზას გაუყენა. გარბოდა მეფე, გარბოდა ხალხი. ავერ პირღია უფსკრულიც. სადაცაა მთელი ქვეყანა ქვესკნელში გადაიჩენება. უცებ ბექობზე გამოჩნდა გმირი, მეფეს წინ გადაუდგა და შესძახა:

— საით მიაქროლებ ამ ხალხს, ოხერ-ტილო?

— წინ! — უპასუხა ამაყად მეფე-ტიკტორამ.

— საით წინ, უფსკრულისაკენ?

ამ სიტყვებზე ხელი წაავლო და სახტად დარჩა: ხელში ცარიელი ტიკი და სამოსი შერჩა. თურმე მეფე არ ყოფილა, კამეჩის რუმბზე ტანსაცმელი გადაეცვათ, ზედაც გოგრა შეედგათ და ასეთი საფრთხობელა განაგებდა გამრჯე ხალხის ბედი-იბაღს.

— იმ დღიდან ხალხმა ღირსეული წინამძღოლები აირჩია და ცხოვრობდა დიდებულად, — დაასრულა ზღაპარი რამაზ-პაპამ.

ყმაწვილი სიამით იგონებდა იმ ღამეს, როცა პაპა ამ ზღაპარს უამბობდა. მაგრამ მეხმა შეაწყვეტინა ფიქრი.

კუპრივით შავი ღრუბელი სინათლის სხივმა გააპო. ჩაბნელებული ტყე დამაბრმავებელმა შეუქმა გაანათა. დაიქექა, შეზანზარდა მიწა, პაერში ფისის სუნი დატრიალდა. ბიჭუნამ ბექობის მხარეს გაიხედა, შეუქმა თვალი მოსტაცა. კლდეზე აღმართული ბუმბერაზი სოჭი უზარმაზარი ჩირაღდანივით ენთო. მეხი „ბაყბაყ-დევს“ დასცემოდა და მუგუზალივით აებრიალებინა, რადგან სოჭის გამხმარი გვერდი უკვე კვარად ქცეულიყო. საკვირველი სანახავი იყო ამ ავდრიან ღამეში ეს ცოცხალი ჩირაღდანი, თითქოს უჩინარი გმირის მარჯვენას ეჭირა მალღა სივრცეში, რომ ბიჭუნასათვის გზა გაენათებინა. ალი ცას ასკდებოდა, მაგრამ გზა არ ჩანდა. ყველგან ტყე იყო და მაღარ მიწაზე მღვრიე ნაკადულები მოჩუხჩუხებდნენ.

ცა არ ცხრებოდა.

ჭოქა-ქუხილი გრძელდებოდა.

ბუნება მძვინვარებდა...

დღე დასრულდა.

შიმშილი იწყებოდა...

* * *

შუალამე გადავიდა.

ბობოქრობდა ბუნება.

ჯიუტობდა ყმაწვილი.

წაგლეკავ! — ემუქრებოდა ცა.

— ჩაგყლაპავ! — გუგუნებდა მიწა.

ბიჭუნა კი თავის წიფელას მიეხუტა, თითქოს ცისა და მიწის ქაღი-

ლი არაფრად მიაჩნიაო, ზედ ბუერას ფოთოლი დაიფარა, დაჯდა, თბილ ხავსს მიეყრდნო და მიიძინა.

ბურანში წასულს დაესიზმრა, ვითომ ღვართქაფში მდინარეებზე ადილდა, ზღვა ნაპირებიდან გადმოვიდა, ხმელეთი წალეკა. ალკონი მისი ში გადაეშვა, დედისათვის მარგალიტების ძებნა დაიწყო, მაგრამ სული შეეხუთა, უზარმაზარ ნიქარაში ფეხი ჩაეჭედა, ზღვის ფსკერზე დარჩა. მოვიდა დიდი კიბორჩხალა და მარწუხით ფეხი წააჭრა. ზის ფსკერზე უფეხოდ და ფიქრობს: „როგორ წავიდე დედასთან“.

ამ დროს მოვიდა ოქროს თევზი, მიესალმა და ჰკითხა:

— ფეხი გტკივა?

— მე?

— ჰო, შენ.

— მე ფეხი არა მაქვს.

ოქროს თევზმა ფარფლები შეარხია, შეწუხდა: „საბრალო ბიჭიკო, მაშ უფეხოდ დედასთან როგორ წახვალ?“ მივიდა, კრილობაზე კუდი გადაუსვა და ფეხი გაუმთელა. ბიჭუნა შეიშმუნა, მერე გაიღიმა და ისევ ჩაიძინა.

— ჭიტა! გაიღვიძე, ბიჭიკო, ნახე, რა დილა დადგა! ჭექა-ქუხილმა გადაიარა, წიფელამ გაგათბო, მე გაგითენე, ახლა გზას გაუდექი. ხომ გაგიმთელა ფეხი ოქროს თევზმა? მაშ წადი. ვისაც ტყეში დიდხანს სძინავს, დიდხანს ვერ ნახავს დედას. ადექი და წადი იქით, საიდანაც მე მოვდივარ.

ასე ურჩევდა თითქოს ცხრათვალა მზე მეორე დღეს დილით ქოჩორა ბიჭუნას. ხშირ ფოთლებშიც ჩამოსულიყო მზის სხივი. „ბაყბაყ-დევი“ უკვე დამწვარიყო, მხოლოდ ძირი იყო შავი ჩონჩხივით აღმართული კლდის თავზე.

გაუჟვირდა, როგორ მძინებიაო ხის ქვეშ, და მოაგონდა ძმის, ჰასანის ხუმრობა: ძილი ძმაზე ძვირფასიაო. თურმე ალიკოს დაბადების დამეს ჰასანა ილიკოს აღვიძებდა, ძმა შეგვემატაო, ის კი ორივე ხელით იგერიებდა და ბუზღუნებდა:

— რა ხალხია, ძილს არ დაგაცლიან! რა ძმა, რისი ძმა, ჭო! არ მინდა ძმა, ძილი მირჩენია!

თავისი დაბადების დამის ამ სასაცილო ამბავს რომ იგონებდა, ყვაილზე ფერადი ჭია-მაია შენიშნა. მივიდა, მიუალერსა და უთხრა:

— ჩემო კეთილო ჭია-მაია! შენ ხომ სიხარული მოგაქვს! მასწავლე, საით არის ჩემი სახლი. მაპოვნინე დედა. შენ ხომ გყავს დედა? აფრინდი და მალლიდან გადმოიხედე. მალლიდან ხომ ყველაფერი ჩანს!

თითქოს უსმინა ყმაწვილს ჭია-მაიამ, დაწინწკლული ფრთები გაშალა და წყნარად აფრინდა.

ყმაწვილმა თვალი გააყოლა და იქით წავიდა, საითაც ჭია-მაია გაფ-

რინდა. იქნებ ამ წამს გადაწყდა ბიჭუნას ბედი. ვინ იცის...

მიდიოდა და თან ეშინოდა, სკენდერის გაფრთხილება პართლა, მგელი რომ შეყროდა, იერუსალიმში მიმავალ თხასავე და ექნა?

ბედზე, ტყეში მგლის ჭაჭანებაც არ იყო.

— ჩანს ბედი მქონია, და ვისაც ბედი აქვს, ის გზასაც იპოვნისო, ფიქრობდა ბიჭუნა და ტყე-ღრეში გზას დაეძებდა. რა იცოდა, რომ რაც მეტს ეძებდა, მით უფრო შორდებოდა!

მისი გზა ღრანტის კიდეს მიჰყვებოდა. გზას ვამბობთ, მაგრამ განა გზაა ნადირების გაბმული ბილიკი, სადაც ადამიანს ფეხი არ დაუდგამს.

უცებ ხრამის ნაპირზე მაჩიტა შენიშნა.

— ამ მაჩიტას დედას ჩავუტან! — თქვა გახარებულმა ალიკომ. — დედას უყვარს მაჩიტა.

ნაბიჯი გადადგა. წაეტანა. მისწვდა. აი, სადაცაა წაავლებს ხელს. რა მშვენიერი ყვავილია! მაჩიტას უყვარს მთები და ხრამები...

უეცრად ფეხქვეშ მიწა ჩაეფხვნა, ყმაწვილი თავმა გადასწონა. ხელი დეკას წაავლო, მაგრამ დეკა სუსტი გამოდგა, ფესვები გაშიშვლებული ჰქონდა, თავს ძლივს იმაგრებდა ხრიოკზე. მოწყდა ყმაწვილი დეკის ღეროსთან ერთად, ბზრიალ-ტრიალით დაეშვა დაბლა, დავარდა, მიუწვდომელში ჩაეშვა, მტერის კორიანტელი ავარდა.

არავინ იცის, რამდენი ხანი ეგდო ბიჭუნა ხევში. გონს რომ მოვიდა, წამოწვევის თავი აღარა ჰქონდა და თვალები ისევ დახუჭა. კიდეც კარგი, წყალში არ ჩავარდა. ხევის წყალი ღრმა არ იყო, მაგრამ დაბეჩილი ბავშვის დახრჩობა არ გაუჭირდებოდა. მთის ნაკადი დაულალავად ჩხრიალებდა. ნეტავ, საით მიდის ეს ჩხრიალო?

მზე გადახრილი იყო, როცა ბიჭუნა ისევ გონს მოვიდა. სიკვდილის მეტი არავინ აღდა თავზე. შენი დახმარება არ მინდაო, უთხრა ლანდს და თვითონ მიიჩოდა წყალთან. წყურვილი მოიკლა. ჭრილობებს დახედა. ფეხი — ის ფეხი, სიზმარში რომ კიბორჩხალამ წააჭრა — მთლად სისხლით ჰქონდა მოსვრილი. შუბლიც ეწვოდა, ორივე მკლავიც ტეხდა.

ძლივს წამოდგა. გვარდა მონახა, ბედზე მრავალძარღვას ფოთოლი ნახა, პერანგის სახელო მოიხია, ფეხი შეიხვია, მაგრამ სიარული აღარ შეეძლო. კლდეს ხავსი მოაცილა: ძეწნის ძირას დაიგო და ხრამში დაწვა.

თ ა ვ ი მ ი ო რ ე

დაკარგული ბიჭი

უკვე რამდენი დღე გავრდა, რაც გზა აებნა, რაც ხრამში გადაიჩეხა, რაც არაფერი უჭამია... დღეების სათვალავიც დაკარგა, — მოცვის ტოტი, ფანქარიც და უბის წიგნაკიც.

ყმაწვილს ეძინა.

იმ ღამეს დიდი ქარვისფერი მტევნები ესიზმრა. ზიმზიმებდნენ ტხილისტოლა მარცვლები, ნემსი ვერ ჩაძვრებოდა მარცვლებს შორის. თითებით შეეხო ყმაწვილი, მაგრამ ვერ მოწყვიტა, ისე იყო მარცვლები დამაგრებული.

ჯერ კიდევ ბნელოდა, როცა გამოეღვიძა.

ტყეში თითქოს ჯადოქრების ვახშმოზა იყო. გაისმოდა ერთი ტყაცანი, წვილი, სიმღერა, ფრთების ფართქუნი და სარეკელას რაკუნი.

დაეხეტებოდა ყმაწვილი ამ ხმაურში უგზოუკვლოდ, როგორც შორეულ კუნძულ კიოსზე დაკარგული მშვენიერი ბიჭუნა, ფერიებმა რომ გაიტაცეს ბანაობის დროს. ეს იყო ნიმფის შვილი, თმახუტუტა ყმაწვილი. გაიტაცეს, გაქრა, გზა და კვალი ვერ ნახეს თურმე, დღესაც დადიან ტყეებში, ეძებენ და ეძახიან, მაგრამ პასუხი არ არისო, ამბობს ზღაპარი. იქნება ალიკოსაც უძახიან, იქნებ მასაც ეძებენ გაფაციცებით, მაგრამ დაკარგული — დაკარგულია.

ერთი ყმაწვილი სადღაც ამ ტყეშიაც დაკარგულა, აი ამ პატარა მდინარე კინტრიშას სათავეებთან, მთაში:

ეს ასე მოხდა:

ლამაზი ბიჭუნა ტყეში თამაშობდა. მოვიდნენ ტყის ფერიები და გაიტაცეს. დედა საძებნელად წავიდა. უძახა მთელი დღე, უძახა მთელი ღამე, უძახა ორი დღე და ღამე. მესამე დღეს დაჯდა და ატირდა. საცოდავი იყო დედა, ბედშავი, დაღლილი — დაქანცული. იტირა, იტირა, სულ ცრემლად დაიღვარა. წავიდა ცრემლის ღვარი, ადიდდა, ადიდდა. მდინარედ იქცა. ერთი ოქროს წინწკლებიანი ორაგული ჩამოჰყვა მდინარის ზვიროებს, ტალღებში შეინავარდა და შესძახა:

— ნუ ტირი, დედა, მე ვარ შენი კუნტრუშა შვილიო! — და ისევ გაქრა.

დედა მწუხარებისაგან წყლის შაშვად იქცა, აფრინდა, მდინარეში ჩაყვინთა, ეძია, ეძია, შვილი ვერ იპოვნა, ისევ ამოყვინთა, მდინარეს ჩაჰყვა, იქნებ სხვაგან წავაწყდეთ. ეძია, ეძია, დღესაც ეძებს...

ტყეში ადამიანები მოვიდნენ, ვერც დედა ნახეს, ვერც შვილი, მიხედნენ, რაც მომხდარიყო და ახალ მდინარეს კინტრიშა უწოდეს.

აი, ამ კინტრიშას მიაღვა ყმაწვილი და ჩამოჰდა. წამოდგომა გაუჭირდა, თვალი ტალღებმა გაიტაცეს. იქნებ ზღვაში ჩადიან ეს ტალღები სადმე ქობულეთთან? იქ ხომ ალიკოს და ცხოვრობს! როგორ გაუხარდება! სამი და ჰყავს ალიკოს თამარი, მერი და მაყვალა — ალბათ სამივე გულამოსკვნილი ტირის, მკვდარი ჰგონიათ ძამიკო, თავს იკლავენ, ალიკოს კი ხმა აღარა აქვს, მხოლოდ ცრემლი შერჩენია, იღვრება ანკარა წყალში და ჩადის ზღვაში.

აღვა და მდინარეს ჩაჰყვა, არ გაეგვლო ოციოდე ნაბიჯი, რომ უფსკ-

რუხს მიადგა. ანკარა წყლის წვეთებზე ცისარტყელა ათასტრაღი ლივ-
ლივებდა.

აქ მდინარე მოულოდნელად განზე უხვევდა, თითქმის ნახევარსა-
შეაშინა და გზიდან გადაახტუნაო. მართლაც, მოსახვევთან ლომის სა-
ჩის კლდე იყო აღმართული. ძირს თვალი ვერ ჩააწვდინა.

— სადა ხარ, ჰასანა?

— ჰასანა! — მოისმა გაღმიდან.

— აქ მოდი, ჩემთან!

— ჩემთან!

— რამდენი უნდა გეძიო?

— გეძიო!

— ვიდრე გიპოვნი?

— გიპოვნი?

ეს გამოძახილია. კარგია, მაგრამ მხოლოდ პასუხის გაცემა შეუძ-
ლია, თვითონ ვერაფერს იტყვის. ადამიანს ესმის საკუთარი ხმა.

მერე ხმამ ისევ უმტყუნა. გული რომ გაუტყდა, მუხლიც მოეკვეთა
და ხავსზე მიწვა.

დილას ყმაწვილი ისევ ტკივილმა გამოადგოდა, მთელი ტანი ტეხდა,
ეწვოდა ნაკაწრი, ტანჯავდა ჭრილობა. მრავალძარღვა მონახა და ნაძვის
ფისით სისხლიან ადგილებზე დაიკრა. ფისი წაშალიაო, მამამ ასწავლა.

იმ დილით ყმაწვილი ადრე ადგა.

შაშვმა არ დააძინა.

ყმაწვილს უკვირდა: რატომ გალობენო ჩიტები? მათ ხომ ჰშიათ და
შეუძლიათ ეს დრო ბუზანაკალების ღვენას მოახმარონ?

ალბათ ჩიტებსაც უყვართ მუსიკა? — გაიფიქრა ბავშვმა.

მართლაც, რომ დააკვირდა, ის აზრი გამოიტანა, რომ ჩიტები
უთავბოლოდ კი არ გასძახიან, რაც ყელზე მოადგებათ. არა, ფრინველთა
ყოველი საგალობელი -- მშვენიერი სიმღერაა, „ტყის მუსიკა“. ათასი
წელია, ათი ათასი წელია, ამ სიმღერას მღერიან და მაინც ახალია.

ალიკოს მოაგონდა, პატარა თამაზი რომ უშნოდ გაჰკიოდა, ყველა
სიმღერას იწყებდა და სწორად არც ერთს არ მღეროდა. ერთხელ მასწა-
ვლებელმა უთხრა სწორად იმდერე, თორემ თუ ასე იკივლე და იწივლე,
დაგხატავ და ისეთ ცხვირს გაგიკეთებ, რომ წეროს შეშურდებო.

ყმაწვილი უკან გამობრუნდა, ნაკადზე გადავიდა და წავიდა. ჩიტე-
ბი ისევ გალობდნენ.

წიფლის ტოტებში ციყვი შეხტა, შეიშრილა და უცნაურად დაიკ-
რიკინა. ყმაწვილს შიშის ელდა ეცა. გაჩერდა, გაშეშდა, აიხედა, ფოთ-
ლებში მიმალულ მხეცუნას მიაშტერდა.

ეს იყო მხოლოდ უწყინარი ციყვი, მაგრამ ყმაწვილს გულში წაღებულ
ქანდა, ეს რა ნადირიაო? ახლოსაც ვერ მიეკარა: პაპა რამაზივით არ მო-
მივიდესო.

პაპა რამაზს კი აი, რა მოუვიდა. ერთხელ ყანის განაპირას, ტყეში,
რადაც გარეული ცხოველი იწვა და ნანადირევს შეექცოდა. ბალახი ფა-
რავდა, კარგად ვერ დაინახა, მელია იქნებაო და მიეპარა — იქნებ ცული
დავკრაო, რადგან სხვა იარაღი არა ჰქონდა. მიეპარა, მიეპარა, და ის
იყო უნდა მოექნია, რომ ნადირმა იშხუვლა, წამოვარდა, კბილები დაკ-
რიჭა, თმა ყალყზე შეაყენა და... მელიის ნაცვლად პაპას ხელში ფოცხვე-
რი შერჩა. ავმა ნადირმა იუკადრისა, მელიად როგორ მიმიდესო, და ადა-
მიანს ეცა — გამართა საშინელი ბრძოლა. პაპა მაშინ ჯანზე იყო, ღო-
ნით და სიმარდით მთელს სოფელში წინ ვერავინ დაუდგებოდა, ამიტომ
ბასრკლანჭებიან მხეცს გაბედულად შეება. ბედზე ყელი ჩაიგდო ხელში,
მეორე ხელით კი მუცელში ჩაეჭიდა, რომ მიწაზე დაეკრა, მაგრამ ელვა-
სავით სწრაფი ფოცხვერი ოთხივე ფეხის კლანჭებით იფხაჭნებოდა, ღმუ-
ოდა და ხროტინებდა. პაპას სამოსი შემოაფლითა, მკერდი და მუცელი
დაუსისხლიანა. გამწარებული კაცი მთელი ძალით დააწვა ნადირს და წა-
უჭირა, მიწას დააკრო და მოგუდა. თანდათან დასუსტდა ფოცხვერი, მო-
ეშვა და მოდუნდა. მაგრამ ვიდრე მხეცის ძარღვები ტოკავდნენ, პაპას ხე-
ლი მაინც არ გაუშვია. ასე მოკლა და თვითონაც სისხლისაგან დაცლილი
მიესვენა ბალახში. მხოლოდ საღამოს იპოვნეს თურმე სოფლელებმა
და ძლივს გადაარჩინეს.

აი, ეს ამბავი აგონდებოდა ყმაწვილს და თვალს არ აცილებდა.
ფუნთოშა ნადირს, ხის ტოტებს შორის რომ ცმუკავდა და პატარა
დინგს არხევდა.

— თუ ფოცხვერია...

მაგრამ როგორც კი ეს გაიფიქრა, ნადირი შეხტა, მოჰკურცხლა და
ისევ დაიკრიკინა:

— რის ფოცხვერი, რა ფოცხვერი! ვერა ხედავ, რამოდენა კუდი
აქვს? გაუმძღარი. ფოცხვერი კი უკუდოა, მგელმა მოკვნიტა კუდიო —
ალიკო საკუთარ თავს გაუწყრა.

ცოტა ხნის შემდეგ ციყვი ისევ გამოჩნდა. ახლა ცაცხვის ფოთლებ-
ში იჯდა, მეორე მხარეს. ბავშვს გაეღიმა.

ისევ დაიკრიკინა ციყვმა და ორფეხა მეგობარს რკო გადმოუგდო.

ყმაწვილი დაიხარა, აიღო, გაკბიჩა და შეჭამა. თუმცა ემწარა, მაგრამ
ეს იყო მაინც რადაც საკბილო. ნეტავი, კიდევ ჰქონოდა!

წყნარი დილაა.

ჩამიჩუმი არ ისმის. მიდის ყმაწვილი და საკუთარი გულის ცემა ეს-
მის.

ტყეში ნადირი გაწყვეტილად, ფიქრობს.

ათასში ერთხელ კვერნა თუ გაირბენს. მაჩვის ფაჩუნიც არსად ისმის.
ასე იცის ზოგჯერ ბუნებამ: ტყე მიყუჩდება, ფრინველ-ნადირთა გნაისის
მოლოდინში ჰაერი მიწყნარდება ქარიშხლის წინ, მდინარე დადუმდება მე-
წყერის მოვარდნამდე.

უცებ პატარა ფოჩხე ბუმბერაზი ნადირი გამოჩნდა. ყმაწვილს ჯერ
დათვი ეგონა, მაგრამ ტახი აღმოჩნდა.

ბიჭუნა ხეს მოეფარა.

მუხნარში გარეული ღორების კოლტი მიეშურებოდა. ბებერი ტახი
ყბების სიმაგრეს მოსინჯავდა, დინგს აწევდა, ჰაერს დაყნოსავდა და კმა-
ყოფილი განაგრძობდა ოჯახის წინამძღოლობას...

უეცრად ჩხიკვმა დაიჩხავლა.

ტახმა თავი ასწია, ჰაერი დაყნოსა და ღორებს მრისხანედ გადახედა,
თითქოს ეუბნებოდა: რა მოელანდა ამ ჭორიკანასო?

მაგრამ ჩხიკვს რა შეეშლება! ბიჭუნა რცხილაზე აცოცდა და ხშირ
ფოთლებში მინახულმა გარკვევით დაინახა, როგორ წამოვიდა მძვინვარე
დათვი. სწორედ იმ ბილიკს მოჰყვებოდა, სადაც ღორებს უნდა გაეცლოთ.
პირიდან ღორბლი გადმოსდიოდა. პირს აღებდა და ყბებს ტკაცუნით ხუ-
რავდა. თან დაჭრილივით ღმულოდა. რაც გზაში დახვდებოდა, წაეტანებოდა
და ხრავდა. აგერ, ნორჩი ვერხვი შენიშნა, ღმუილით მივარდა, ჩაავლო
ყბები, მოდრიკა და დაუწყო უწყალოდ ღრღნა. მკლავის სიმსხო ხის ღე-
რი გადატეხა, ვერხვის რტოები ცახცახით დასცა მხეცმა მტვერში და
ისე დააცხრა, თითქოს ირემს გლეჯსო.

— ალბათ ცოფიანია! — თქვა თავისთვის ყმაწვილმა და ზედა
ტოტზე გადაინაცვლა.

არა, ცოფიანი არ იყო. დათვს კბილი სტკიოდა. როცა დათვს კბილი
სტკივა, ცოფიანს ემსგავსება. არავის ინდობს. ბრმავდება, ყრუვდება, სი-
მწარისაგან ღორბლი სდის.

ტკივილისაგან გაგიჟებულმა ნადირმა გვიან იგრძნო ღორების მოახ-
ლოვება. სამაგიეროდ როგორც კი სუნი იყნოსა, თავი ასწია და წვრილი
თვალებით აჯაგრული ტანი დაინახა, ბევრი არ უფიქრია, ერთი დაიღრია-
ლა და ჯიქურ წამოვიდა.

უკან დახევა გვიან-ლა იყო. არც აპირებდა უკან დახევას კოლტის წი-

ნამძლოლი. იდგა აჯაგრული, მრისხანე ტახი, ბასრი კბილებით რაოცას ღეჭავდა, პირიდან ღუჭი გადმოსდიოდა და ძირს საპნის ქაფივით ჩადიოდა. ეტყობოდა, დათვი პირველად თვითონ შენიშნა და მაშინვე ბრძოლის გამართვა გადაწყვიტა. უცებ მობრუნდა, ქშენით შეუტია უკანა კბილებით ღორებს — ჩამომეცალეთო, მერე ელვის სისწრაფით გავარდა წინ და თეთრი, გაალმასებული ეშვები შეაგება გადარეულ დათვს. მარცხენა გვერდზე მოექცა, გაჰკრა ერთხელ, გაჰკრა მეორეჯერ, და ვიდრე ნადირი რამეს მოასწრებდა, გამოფატრული მუცლიდან ნაწლავები გადმოუყარა.

ამასობაში დათვმაც ღმუილით დაჰკრა ტორი და ბეჭი შეუნგრია. ღორმა დაიჭყვია, წინა ფეხებზე ჩაიკეცა, მაგრამ მაშინვე წამოვარდა და ახლა მკერდში ამოჰკრა ეშვი. დათვმაც იმარჯვა, მარცხენა გვერდში ჩააფრინდა ტახს და დაუწყო ღრღნა, იქნებ თბილმა სისხლმა კბილი დამიყუჩოსო.

ტახი დაიღალა, სისხლი ღვარად გადასდიოდა, მძიმედ ხვნეშოდა, ქშინავდა და ხროტინებდა, მაგრამ წამითაც არ წყვეტდა სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლას.

გამწარებული ტყუარები საშინელი ბრძოლით დატრიალდნენ ერთ ადგილზე, მერე ეკალ-ბარდებში გადავარდნენ და თვალს მიეფარნენ, მხოლოდ ზარდამცემი ქშენა-ღმუილი და ლაწანი ისმოდა. ცოტა ხნის შემდეგ ესეც მიწყდა. ბიჭუნამ ზედა ტოტზე გადაინაცვლა და უცნაური სანახაობა დაუდგა თვალწინ:

დათვსა და ტახს ერთიმეორისათვის მხრებში ჩაეველოთ ეშვები, სასიკვდილოდ დაჭრილებს ძალ-ღონე გამოლეოდათ და ხურჯინივით იყვნენ გადაკიდებული წამოქცეული გამხმარი წიფლის აქეთ-იქითა მხარეს.

ორივე მძლავრი ნადირი დაღუპული იყო.

რა კარგი შემთხვევა გამოუგზავნა ბუნებამ მშვიერ ბიჭუნას, რომ მისი გამოყენება შესძლებოდა! ახლა მის წინ იყო ხორცის მთელი ხორავი, მაგრამ შიმშილისაგან დაღუპულს, დაღლილობისაგან ქანცაწყვეტილსა და შიშით გულგახეთქილს აზრადაც არ მოსვლია, რომ ამ საშინელი ნადირების ხორცის ჭამა შეიძლებოდა, ისიც უმად, და შეეცადა რაც შეიძლებოდა მალე გასცლოდა იქაურობას.

ხიდან ჩამოვიდა და ფეხაკრეფით გაეცალა ნადირთა ლეშს.

განსაცდელმა გაამაგრა ყმაწვილის გული. ახლა ტახისა და დათვისაც აღარ ეშინოდა ისე, როგორც პირველად ციყვის შეეშინდა.

ცნობისმოყვარე ყმაწვილი გულმოდგინედ აკვირდება ტყის ცხოვრებას. ყოველ ნაბიჯზე არსებობისათვის ბრძოლაა, ყველა ცდილობს თავისი გაიტანოს, სხვა შეიპყროს, ჩაყლაბოს, კარგად მოეწყოს. ერთნი თავს ესხმიან, მეორენი თავს იცავენ. აგერ, ბუზიჭერია კრაზანა ორ თავის ტოლა ბუზს დასხმია თავს, თან შხამავს, თან კბენს, ბუზი ბუზის და ცდილობს

თავი დაადწიოს ავაზაკის კლანჭებს, მაგრამ სულ უფრო სუსტდება და კარგავს წინააღმდეგობის უნარს.

იქით ობობას ქსელში კოლოჭამია მწერი გახლართულა და აწეწეწით ცდილობს წებოვანი ძაფების გაწყვეტას, მაგრამ უფრო და უფრო ხსლართება. შავი ობობა გარშემო უელის და ახალ-ახალ ძაფებს ახვევს, თან მოუთმენლად ელის, თუ როდის დაიცლება ძაღლინისაგან მისი მსხვერპლი, რომ მივიდეს და სიცოცხლის წვენი გამოსწოვოს. აქაც სიკვდილისა და სიცოცხლის ბრძოლა და იმარჯვებს ძლიერი.

პეპელა ყვავილზე ჯდება და ნექტარს წოვს. ეს მისი საზრდოა. ყვავილსაც საზრდო უნდა. ხვლიკი პეპელას დარაჯობს, გველი — ხვლიკს.

ადამიანი რომ დათვზე ნადირობს, დათვი — გარეულ ღორებზე. ღორები რკოს ჭამენ, რკო მუხაზე იზრდება, მუხას ფესვები აქვს და საზრდოს მიწიდან იღებს. ყველას და ყველაფერს საზრდო უნდა. მხოლოდ ყმაწვილს მოაკლდა საზრდო, დაეშრიტა სიცოცხლის წყარო, და რაღაც სასწაულით მის ძარღვებში მაინც ჩქეფს სიცოცხლე.

მაგრამ თვითონ ამაზე ნაკლებად ფიქრობს. გონიერ ყმაწვილს უფრო ის აწუხებს, პატარა ლევანი როგორ არისო, საყვარელი ძმისწული. ლევანი ჯერ ერთი წლისა ძლივს იქნება. შეკრავენ, წავლენ, მიატოვებენ და იმას კი არ უყურებენ, იქნებ კოლო კბენს ან ბუზები ესევინანო!

ეს ფიქრიც უსარგებლო გამოდგა და ისევ ის სიმღერა წამოიწყო, ძმამ რომ ასწავლა:

ქედფიცხელი ცხენი მყავდა,
გავაჰენე ველზედაო,
მხარზე მქონდა მაჭახელა,
ხმალ-ხანჯალი წელზედაო...

ხმამ უღალატა. გაჩუმდა. მერე დუმილმა შეაწუხა. ყურებში ბუთილი დაეწყო. ეს ბუთილი აუტანელი იყო. ყმაწვილმა ისევ განაგრძო:

მხარზე მქონდა მაჭახელა,
ხმალ-ხანჯალი წელზედაო:
ჩიტს ვესროლე, ავადინე,
იჯდა ხეზე ხმელზედაო:
დათვს ვესროლე, ავადინე,
ბედი ვცადე ბელზედაო,
ბელმა ჯოხი მომაჩეჩა,
ბედი ვცადე მელზედაო,
მელა საგზალს წაეტანა,
გააქროლა ველზედაო,
ჩხიკვი მოვკალ სიცილითა,
ჩამოვკიდე სხენზედაო —
ჩემისთანა მონადირე
ხად იქნება ხმელზედაო!..

დაასრულა სიმღერა და უცებ ისევ მხეცები მოაგონდა. გარეულ ღორებთან შეხვედრამ ჩააფიქრა.

როგორ უნდა მოვიქცე, თუ თავს ნადირი დამესხაო? — ფიქრობდა ყმაწვილი და იგონებდა ყველა შემთხვევას, რაც პაპა რამაზის მხეცებს უთქვამთ.

ერთხელ ზამთარში თურმე სოფელში მშვიდი მგელი შეიჭრა, — ქოხში შევარდა და აკვანს ეცა. თოთხმეტი წლის ბიჭმა ძამიკოს გადასარჩენად თავი გამოიღო, მხეცთან მიიჭრა, ღია პირში ხელი ჩაუყო, როგორც ერთხელ მამამ ხუმრობით ასწავლა, ყანყრატოში ჩაავლო, წაუჭირა და დაახრჩო.

მეორედ, სადღაც შორეულ ქვეყანაში ორ ძმას მძევნვარე ღომი დაესხა თავს. უმცროსს რომ წაეტანა, უფროსმა უკანა ფეხში ჩაავლო თურმე ხელი და გნწია. ღომი ახლა უმცროსს მოშორდა და მას მიუბრუნდა. თავგანწირული კაცი ღომს ცხვირში კბილებით ჩააფრინდა, დააბნია და შეაფერხა. ამასობაში უმცროსმა ძმამ იმარჯვა, მახვილი იშიშვლა და ნადირთა მეფეს გულში გაუყარა. ასე გაიმარჯვეს გაბედულმა ძმებმა.

ჩვენი ნორჩი რობინზონი ასეთ შემთხვევებს იგონებდა და პატარა მუშტებს კუმავდა, ჯოხით ვარჯიშობდა: აი ასე ჩავცემ ნადირს ღია პირში და აი ასეო. მაგრამ თუ ნადირი პირს არ გააღებდა? მაშინ რა უნდა ექნა? ეს კი აღარ იცოდა.

ამ ფიქრებში იყო მაშინაც, როცა დაღამდა, ხეზე აცოცდა და ხშირ ტოტებში მოკალათდა.

შორიდან რაღაც შრიალი მოისმა. მაგრამ ალიკო მიჩვეული იყო ციყვის ხმაურს და ყურადღება არ მიუქცევია. ისევ ღუმილი ჩამოვარდა.

უცებ ამ მღუმარე ღამეში სადღაც შორს ორი ბრიალა წერტილი გამოჩნდა. ჯერ ციცინათელები ეგონა, მაგრამ მალე დარწმუნდა, რომ შეცდა. ფოსფორული წერტილები სწრაფად ახლოვდებოდნენ და ფართოდებოდნენ. მერე, ტყეში ლაწანიც ისმოდა. ციცინათელები ლაწანით არ დაფრინავდნენ.

ამ დროს ღრუბელი გაიხლიჩა და მთვარემ გამოანათა. დიდი წიფლის ქვეშ პირღია მგელი იდგა.

მის წინ ჩირგვებში მიწა იყო ამოთხრილი, რაღაც ზვინი იდგა და ზედაც მიწა ეყარა. ჩრდილიდან დათვის ნაცნობი დრუნჩი მოჩანდა. თან ნანადირევს ჭამდა, თან მოახლოებულ მგელს უღრენდა. მგელი ლეშს მიუახლოვდა.

დათვმა ბურტყუნი დაიწყო, აიფაფრა, მგელს სამტროდ გადახედა, გამეცალეო, აგრძნობინა. მგელი უკვე არხეინად შეექცეოდა ლეშს.

დათვმა დატორა, მგელმა ბასრი კბილები გაჰკრა და გაიმართა სას-

ტიკი ბრძოლა. იმძლავრა მგელმა, მუცელსა და ბარკლებში გაჰკრა, გაშრო-
კრა, შეუტია, დაჯახა დათვი...

საკუთარ წელეებში გაახვია.

დათვი ღრიალით გადაფარდა ჩირგვებში და დიდხანს ისმოდა იქიდან
მისი გმინვა-გოდება. მგელი კი არხეინად შეექცეოდა თავის ნადავლს.

მთვარე ისევ ღრუბლებს მიეფარა. ბნელში მხოლოდ დათვის გმინვა-
ლა ისმოდა.

ყმაწვილი ხეს მიეკრა და გაინაბა!..

დაბლა სიკვდილი დაბორიალებდა, მაგრამ ხეზე ვერ ადიოდა.

შავ ტყეში ჭოტმა დაიკივლა.

თ ა ვ ი მ ი ო თ ხ ე

ზ ი ზ ი და ზ ი მ ზ ი ლ ი

ტყეში შოშიები ადრე იღვიძებენ.

საკვირველი იყო, ბიჭმა შოშის გალობა რომ გაიგონა, უფრო მოშივ-
და. რადგან ვახშმობის წინ ესმოდა ხშირად შოშის გალობა და ამიტომ
პოაგონდა ახლაც გემრიელი კერძები, კუჭის წვამ შეაწუხა...

იწყებოდა დიდი შიმშილი...

რა არის შიმშილი? კუჭის სიცარიელე? — არა, კუჭს რომ კირით ან
თიხით აავსებენ, ამით შიმშილი არ დაცხრება. კუჭი სავსეა, მაგრამ ადამი-
ანს ჰშია.

არა, შიმშილი უფრო დიდი უბედურებაა, ვიდრე მარტო კუჭის სიცა-
რიელე — ესაა მთელი სხეულის დაცარიელება, იმ წყაროს დაშრება, რაც
სიცოცხლისათვის აუცილებელია.

როცა კაცი შიმშილს ვერ იკლავს, ჯერ მოეშვება, მოდუნდება, ტანში
მოწყდება, დასუსტდება და მერე თანდათან იწყება „მგლის შიმშილი“,
რასაც ნელი სიკვდილი მოსდევს.

ყმაწვილმა მეორე დღესვე იგრძნო რაღაც წვა და სიცარიელე გულის
კოვზთან, მერე მთელს მუცელში თითქოს გრილი ქვიშა ეყარა, ისეთი
გრძნობა ჰქონდა, ყელი გაუშრა და შეეკუმშა.

საღამოს თავბრუ დაეხვა, ხელები დაუმძიმდა, თავი ასტკივდა, ტანი
მოუღუნდა, თითქოს მათრობელა თაფლი ეჭამოს, და ეჩვენა, რომ ქვაზე
დაჯდომას არაფერი ერჩია მერე აღმოჩნდა, რომ შეცდა: ქვაზე დაჯდომას
თურმე ძირს დაშვება და მიწაზე გულადმა გაშხლართვა ჯობდა.

მეოთხე დღეს ბურანში წავიდა და ბოდვა დაიწყო. ხის ქვეშ იწვა,
თავზე ლაქლაქა ვაშლები ეკიდა, მაგრამ ხელის აწევა გაუჭირდა...

გავიდა ოთხი დღე...

ახლა აღარ შიოდა. პირში აცეტონის გემო ჰქონდა. ხანგრძლივმა შიმშილმა და დაღლილობამ მოადუნა, შეასუსტა შიმშილის გრძნობა. მაგიეროდ მოდუნდა, მოეშვა, ძილი მოერია. სულ ძილი უნძარდნაში გუშინ ჯერ კიდევ ხიბლავდა მშვენიერი დედაბუნება, დღეს უკვე ბიხდი გადაეკრა ყველაფერს.

შეგრძნობა დაეკარგა, — ყვავილების, მზის, ჩიტების გალობისა. საშინო აღარ აშინებდა, სასაცილო აღარ აცინებდა, ტკივილი აღარ სტკიოდა... მხოლოდ სიცივე უფრო მოერია... მშიერს სცივა.

მეცნიერები ამბობენ: რაც უფრო პატარაა ცოცხალი არსება, მით უფრო ნაღე ილუპება შიმშილით. ასე, ცხენი 80 დღემდე ძლებს უჭმელი, ძაღლი — 60 დღემდე, კურდღელი — 30 დღე, ქათამი — 20 დღემდე, ვირთავა — 9 დღე, მტრედი — 14 დღე, ჩიტი — 2 დღე, ადამიანი კი ათი დღიდან 70 დღემდეო — ეს უკიდურეს, იშვიათ შემთხვევაში.

მაგრამ ყმაწვილი უფრო ნაღე ილუპება შიმშილისაგან, ვიდრე მოზრდილი.

12-15 დღის შემდეგ ბავშვის გონებას ბურუსი ეფარება, ბრუვდება, იშხამება და კვდება.

ექიმები ზოგ ავადმყოფს შიმშილით მკურნალობენ, მაგრამ ბავშვისათვის შიმშილი მუდამ საზიანოა.

გამოიფიტა, გაღარიბდა ყმაწვილის სისხლი და ტანი. აღარ იყო საკვები, „მშიერი სისხლი“ აღიზიანებდა ბავშვის ნერვებს და ტვინს. კუჭს ივსებდა ბალახით, მაგრამ ეს არ აწყენარებდა შიმშილს. მერე აღარც ბალახს იღებდა. ასე რომ, ეს იყო „სრული შიმშილი“, როგორც მეცნიერები იტყვიან, და არა ნაწილობრივი. მსუქანი რომ ყოფილიყო, ცოტა შეღავათს მისცემდა დაგროვილი ქონი, მაგრამ ალიკო მუდამ გამხდარი და ფერმკრთალი იყო, თუმცა ჯანმრთელი და ამტანი. ახლა ხომ უწინდელის ნახევარსაც აღარ იწონიდა.

მიდიოდა ტყე-ტყე, ან როგორც სკენდერმა ურჩია, „ტყისი-მტყე“. მაგრამ ეს უკვე სხვა, უცხო ტყე იყო. საითაც წავიდოდა ყველგან შიმშილი იყო და ყველგან ტოვებდა სიცოცხლის ნაწილს.

ახლა ერთი მტევანი ან ჟოლო მისცა ან მაყვალი ან მარწყვი, ან ერთი მწარე ბალი მაინც ენახა სადმე! ნახა, მაგრამ დათვი გასულიყო, დაემტვრია და დაელეწა, გამხდარი ტოტები-ლა ეკიდა საცოდავად. ერთი მარცვალიც არ დაეტოვებინა მისთვის. ბუნებამ განიზრახა ადამიანის გამოცდა და თითქოს განგებ დააკლო ყოველი სიკეთე, რაც მის მკერდზე იზრდება.

ცუდ დროს მოუხდა ყმაწვილს ტყეში ხეტიალი. მარწყვი უკვე აღარ იყო, მაყვალი ჯერ კიდევ არ იყო მწიფე, მოცვი და მოცხარი დათვებს და ჩიტებს შეეჭამა.

რადაც კენკრა ნახა, კლარჯული ყურძენივით წვრილი და ჯერ კიდევ მყავე. სულ რამდენიმე მარცვალი ესხა. ისედაც მძალე გემო პირში, აბლა სულ ჩამწარდა.

რა არის ტყე უადამიანოდ!, საერთოდ, რა ყოფილა ადამიანის ლაფერს აშენებს, ამშვენებს, ხეს ნაყოფს ასხამს, მწირ მიწას ჯეჯილით ააბიბინებს. რა არის ტყე უადამიანოდ!

სოფელში ასეთი ტყე არაა, მაგრამ რაც არის, ნაყოფიერია, მოვლილი, სასარგებლო. ხილი ზამთარ-ზაფხულ ჰქონდათ.

სართულას ან ხეჭეჭურა მსხალს დაკრეფდნენ, ხულაში ჩაყრიდნენ, ძირსაც ჩალას დაუფენდნენ, მაღლაც თივას დააწყობდნენ, გაზაფხულამდე ინახებოდა. ხეჭეჭურას ჭერში ინახავდნენ, თავს თიხით მოუგლესდნენ, ზედ მიწას დააყრიდნენ, მსხალი შავდებოდა, მწიფდებოდა და ტკებოდა. გაზაფხულზე ჭურს თავს ახდიდნენ და ხილს შეეჩქეოდნენ.

დედა ადრე ადგებოდა, სახლს და ეზოს დახვეტავდა, ბავშვებს მოეფერებოდა, წყალს მოიტანდა...

მერე თხას მოწველიდა, რძეში ბრინჯს მოხარშავდა. ეს იყო სუთლი. სხვაც რამდენი რამე ახსოვს!..

აგონდება წასული ახალი წელი. მთელი ოჯახი სავსე სუფრასთან იჯდა. საახალწლო სასმისები ასწიეს. ერთმანეთი დალოცეს, დალიეს. დედა წამით ჩაფიქრდა.

— რა იყო, დედა? — ჰკითხა ლეომ.

— არაფერი, შვილო... ამ წუთას ერთი წელი დამაკლდა. ასეა ყოველ ახალ წელს.

— მართლა დედა? — გაუკვირდა ყმაწვილს. — დაგაკლდა? აი, მამას კი არ აკლდება, ემატება: შარშან ორმოცი წლისა იყო, წელს უკვე ორმოცდაერთისა ვარო.

გაეცინა დედას, მამასაც, მერე ძმებსაც გაეცინათ.

ზაფხულობით დედასთან იყო, მთაში, საძოვრებზე, სადაც მთელი სამი თვით მიერეკებოდნენ-საქონელს.

ფიქრით გონება დაუძმძიდა. დაიღალა. ლეჩერი ინატრა, გოგრის და მსხლის ნახარში. არც ბეთმეზს დაიწუნებდა, თუთის ან ყურძნის ნახარშს, თაფლივით ტკბილ აჭარულ საჭმელს. მთელი ქვაბიც რომ დაედგათ, წვეთსაც არ დატოვებდა. დიდ კოვზს აიღებდა და...

„მაგრამ რა საჭიროა, ალი, ასე ტყუილი ლაპარაკი, — ეუბნებოდა ყმაწვილი თავის თავს, — წინ დიდი გზაა, ჩვენ კი დაღლილი ვართ“.

უსიერ ტყეში დიდხანს ვინ დაგაძინებს! მოკლეა ტყის ბინადართა ძილი. ჯერ კი, ვიდრე დროა, იძინე ტკბილად. პატარა ბიჭო...

იმ ღამეს მაჯუნი დაესიზმრა, თაფლიანი ბრინჯი, დედის დამზადებული.

ჭამდა ბევრს, ნელა და დიდხანს. მაგრამ საჭმელს გემო არ ჰქონდა. თითქმის ჩალა ყოფილიყოს.

ამ ღამეს ბორგავდა ყმაწვილი... ესიზმრა შორეული სიმაღლეების წვეთები. ვითომ დედა ნანას უმღეროდა, მაგრამ ისე შორს, ისე შორს, რომ სიმღერის ხმა ნიავს ძლივს მოჰქონდა, დედა კი არ ჩანდა. სადღაც ნისლებში ეკარგებოდა მშობლის სახე. ყმაწვილს ორივე ხელი წინ გაეშვირა და ძილში უხმოვდა:

— დედა, ჩემო დედიკო! რატომ დაიგვიანე? მამას ვფიცავ, სათაკილო არა ჩამიდენია რა. გაკვეთილები ვისწავლე, ახლა შენს საძებნელად წავალ. თუ დავიკარგო, ბიბლიოთეკის წიგნი მესამე თაროზეა, კუთხეში, აიღე და დაუბრუნე, თორემ დეიდა თეოს ეწყინება.

ძილში უცნაურ რამეებს ხედავდა, ისეთ რამეებს, რომ ადამიანი ვერ გადმოსცემს.

კოხტად ლაგდებოდნენ რაღაც ღამაში საგნები — კალმები, კენჭები, ბურთები თუ ლექსის სიტყვები, ეს ყმაწვილს არ ახსოვდა — მერე ერთი საგანი მეორეს დაეცემოდა, მეორე — მესამეს, და მთელი ჯგუფი აირეოდა. აი, ეს აწუხებდა ყმაწვილს.

სძინავს პატარა ბიჭუნას.

მაგრამ მისი გონება ფხიზლობს და ზღაპრებში ეძებს ვინმე მხსნელს. ეძებს, ელის. ამ მოლოდინში გული ელევა.

გავიხედოთ და მოდის ერთი მზეჭაბუკი. მხარზე შვილდი გადაუგდია, გვერდზე ისრებით სავსე კაპარტი ჰქონია, ხელში მძიმე ლახტი უჭირავს. ზურგზე მთელი ჯიხვი წამოუკიდებია. მოვიდა, თავზე დაადგა, გაუღიმა. წამოდექი, ბიჭუნავ, ამირანი გესტუმრა! კავკასიონის მთებში მიჯაჭვული თავი აუხსნია, ჯიხვი მოუკლავს, წამოსულა. ახლა შენ დავიხსნის. ამირანზე ხშირად უფიქრია ოცნებაში, წავალ, ბილიკებს გავყვები, ჯაჭვს გავწყვიტავ და ამირანს დავიხსნიო. ვერ იბოვნა გზა, ტყეში მხარი ეცვალა და ახლა თვითონ ამირანი მოვიდა ბავშვის დასახსნელად. ჯიხვი დაბლა დადო, ცეცხლი გააჩაღა, ნანადირევს მთელი გვერდი ჩამოაჭრა. იფნის ჯოხი გათალა, წამოაგო ზედ ჯიხვის მთელი გვერდი და ცეცხლზე დაატრიალა. იწვის ჯიხვის მწვადი, შიშვინებს. სასიამოვნო სუნით გაიჟღენთა ჰაერი.

— ეს შენ დაწვი ბაყბაყ-დევი? — ეკითხება ყმაწვილი საყვარელ გამირს.

— ჰო, მე ვესროლე ცეცხლმოკიდებული ისარი იმ უკეთურს, — იღიმება ამირანი და მწვადს ატრიალებს.

— ახლა გველეშაპსაც დაამარცხებ?

— ჰო, ბიჭიკო, გველეშაპსაც დავამარცხებ.

— ომსაც?

—ომსაც.

—სიკვდილსაც?

—სიკვდილსაც.

—მაშ დედასთან წამიყვან?



ამირანმა მწვადის ტრიალი შეწყვიტა, თავი ჩაჰკიდა, ამოიოხრა და თქვა:

—მე მიჯაჭვული ვარ.

უცებ მოვარდა სიკვდილი, ამირანს ხელიდან მწვადი გამოა-
ტაცა და ტყის ჯურღმულებს მიაშურა.

ამირანი წამოიჭრა და ისევ დაჯდა, კბილები დააკრაჭუნა...

ჯაჭვის ჩხრიალმა ყმაწვილი გამოადვიძა.

ტყე დუმდა. მხოლოდ სადღაც მაღლა, ხის კენწეროზე პატარა ჩიტო
სტვენდა: „შვილო მზეწვია! შვილო მზეწვია!“.

ჩიტიც მარტო იყო — ყმაწვილიც.

მაგრამ ჩიტი და ყმაწვილი ერთად — მარტო აღარ იყვნენ. ბიჭუნას
გულზე მოეშვა. და აჩურჩულდა:

ისე ვარ მონატრებული
დედიკოს გულში ზევანასა...
გზა მიმასწავლე, მიშველე,
ჩიორავ, შენსა ლხენასა!

ალიკო ლექსებს წერდა. ახლა ამ ლექსის ჩაწერაც უნდოდა, მაგრამ
აღარც ფანქარი ჰქონდა, აღარც ქაღალდი. უღონო ბიჭი ახლა, რატომ-
ღალ მიჯაჭვულ ამირანზე უაზროდ სწუხდა...

თ ა ვ ი მ ე ხ უ თ ე

მოგონებების ღამე

ყმაწვილს ადამიანები მოენატრა. ახლა ის მოგონებებით ცოცხლობ-
და. რამდენი კარგი რამ დარჩა იქ, სოფელში! მარტო ბაბუა რამაზის
ბაასი რად ღირდა! დაჯდებოდა ყმაწვილებში, ხან ამ მთისას იტყოდა, ხან
იმ მთისას.

—ჰეჰეა გვიამბეო, შეეხვეწებოდნენ პაპა რამაზს. პაპაც გააბოლებდა,
როგორც იციან პაპებმა, და პირდაპირ დევებიდან დაიწყებდა, თანაც ისე
უბრალოდ, თითქოს გუშინდელ ამბავს ჰყვებოდა.

— ჩემს დელიყანდობაში,* — შვილო, ერთს უტეხ ტყეში შავი დევი
დამეჭიდა.

* სიყმაწვილეში.

—რამდენი თავი ჰქონდა, პაპა? — შეაწყვეტინებდა ზაზა, რომელიც მსაც მეტსახლად „კრიჭას“ ეძახდნენ.

— არც ერთი, შვილო, — გულგრილად მიუგებდა პაპა, რომელიც

—ვაჰ, ჭოო, უთავო დევი დაჭიდებია! — მიუბრუნდებოდა „კრიჭა“ ამხანაგებს.

—აბა რად უნდოდა, შვილო, დევს თავი, როცა ზოგი აღამიანიც იოლად გადის უთავოდ? — იტყოდა ნაწყენი პაპა და გაჩუმდებოდა.

ახლა ბიჭები ჩააცივდებოდნენ, ბაჯი-ხანუმის ამბავი გვითხაროდ. ბაბუა რამაზი ბევრს არ ახვეწინებდა:

— ბაჯი-ხანუმი ერთი ბუმბერაზი დედაკაცი იყო, ტყე-ღრეში დაეხეტებოდა. ფეხებს დოლაბებში ჩაყოფდა, ილიებში ორ ხმელ წიფელას ამოიჩრიდა და მიდიოდა. ნაწნავებით საწნახელს მოათრევდა. ყურები მხრებზე სცემდა. კალთაში შველი ჩაესვა.

ერთხელ მეც შემომეყარა

—სალამო მშვიდობისა, ბაჯი-ხანუმ, — ვეუბნები.

—როგორა ხარ, ამ ტყეში რას დაეძებ?

—ფურ-ირემი დავკარგე, რამაზ-ხანო, — მეუბნება, — დასაკარგავში გაუჩინარდა. ძებნაში დავიღალე, შეშა წამოვიღე, საწნახელი და დოლაბები. ეგ შველიც ვახშმად მინდაო.

—განა შენ ხანი იყავი, ბაბუა რამაზ? — შეაწყვეტინებდა ისევ „კრიჭა“.

—ხანი ვიყავი თუ ფაშა, წესი ვიცოდი და რიგი, რიდი და თავაზი. ანა-ბანა არავინ მასწავლა, წიგნს ვინ მაღირსებდა, მაგრამ ნამუსის ქუდი მაინც მეხურა, შვილოსან. ერთი ვეფხისტყაოსანი მაინცა მქონდა შინ. ეჰ! ახლა სკოლის კარები ღიაა, ნატვრა ავისრულდათ ჯეელებს, ზოგიერთებს კი ხელში წიგნის მაგიერ შურდული გიჭირავთ და სკოლის ფანჯრებს უმიზნებთ, მინებს ამტვრევთ.

„კრიჭას“ შერცხვებოდა, შურდულს ჯიბეში ჩამალავდა და გაჩუმდებოდა.

ასეთი იყო პაპა რამაზი. კვირადღე ისე არ გაივლიდა, პაპასთან დიდები და პატარები არ შეყრილიყვნენ. ხან ტყუილს იტყოდა, ხან მართალს და ორივე კარგად გამოსდიოდა. დაჯდებოდა კაკლის ქვეშ „საუფლო ქვაზე“ და მოჰყვებოდა აჭარულ კილოზე ათასჯერ ნათქვამს;

—დღეს კვირაა, კვირაცხოვლობა შეგეწიოთ, მოცლილი იქნებით, ძველს ამბავს გეტყვით. ვინც ყურს მათხოვებს, გამჩენმა აგაშენოთ.

ცხრა წლისა ვყოფილვარ, მზისთვალის გამჩენმა, როცა ომი ატეხილა, დიდი და საზარელი. თითო სოფელში თითო მოსახლე დარჩენილა, ხალხი ტიროდა, უიოდა: უამობა მოჰყოლია ომიანობას. ოსმალთმ გააჩანაგა ქვეყა-

ნა. ოსმალებს ინსინიმჟამლებს ეძახდნენ, კაცს ჭამდნო. კაცი არ ვიცი და საქონელი სულ შეჭამეს, მარტო ერთი მოსახლე იყო, უსტალიშვილი. იმას ჰყავდა ათი სული საქონელი. გავიზარდე, ისევ ომი იყო. ათ ალაგას მძიმედ მოვიტყუე. ათ ალაგას დამჭრეს, მაგრამ მოვრჩი. წელი მტკივა, მაგრამ ეს წელი კავია, სიბერის ბრალია. ბედს არ ვუჩივი. ახლა მთავრობამ ოსმალები გარეკა, ჭონჭყო ადგილები დააშრო, ხაშმი და სნება გააქრო, კატული* გააჩინა...

„კატები?“ — გაიცინებდნენ ჭინკა ბიჭები. მოხუცი ჩიბუხს დაბერტყავდა და ბიჭებს დაუცაცხანებდა:

— ბალებო, დეიკარგენით აქიდან, რას მოჭუტკვეილხართ, უფროსუმცროსობა არ იცით?

მერე ისევ უფროსებს მიუბრუნდებოდა:

— ჰოდა, იმას ვამბობდი. ბევრი ჯათა მინახავს, ბევრი ომი, ჩემი ხნისა მარგალიტი არ მოიძევება შავ ზღვაში. ერთი ბადიში ჭალარა იყო, რომ მომიკვდა... ჰოდა, იმას ვამბობდი, ერთხელ დარჩიდე მესტუმრა. უწინდელ დროში, ჟამობის დროში, სოფლის ხალხი მთლად გაქუჟვილა, მარტო იმ სოფლის ხალხი დარჩა და დარჩიდიები დაერქვათ.

— ხემშიაშვილები როგორღა დაერქვათ, მოხუცო? — ჰკითხა ერთმა.

— ამასაც გეტყვით. ხემშიაშვილები კახეთიდან ყოფილან მოსული, ნიგაზეულში დასახლებულან. ღარიბად ცხოვრობდნენ, ყანაში მჭადს წაიღებდნენ, ხეზე დაჰკიდებდნენ. რომ მოშივდებოდათ, მივიდოდნენ ხესთან და ეტყოდნენ: ხე, მშიაო! ჭადი მომეციო. ხე რას მისცემდა და თვითონაც არ ჩამოიღებდნენ, ყანაში გაბრუნდებოდნენ. ასე დაერქვათ ხემშიაშვილები.

აი, ოინბაზმა „კრიჭამ“ ისევ ისროლა შურდული და ქათამს ფეხი მოსტეხა.

ალიკოს ქათამი შეეცოდა.

— რა დაგიშავა ამ საბრალომ, შე მართლა კრიჭავ? — შეუტია მსროლელს. — არ ჯობია პაპას მოუსმინო და ცოტა ჭკუა მოგემატოს?

— ჭკუა იმდენი მაქვს, მთელი გულა, — დაიღრიჭა კრიჭა. — თუ მინდა, ავიკიდებ, წავიღებ და შენნაირ ჭკუის კოლოფებს ჩამოვუბრებ.

პაპა რამაზი ალიკოს გამოეჭომაგა, „კრიჭას“ მოუბრუნდა.

— იცი, ყმაწვილო? ყველაზე ხშირად ის არიგებს ჭკუას, ვისაც ჭკუა არ გააჩნია. ჭკვიანი კაცი ჯერ ყველას მოუსმენს, მერე დაფიქრდება, ასჯერ გაზომავს და პასუხს მერე იტყვის...

* საქმელი

ერთი აჯამი რამ იყო ეს კრიჭა, თავნება, ცელქი და უქნარა. სწავლით
ხომ არ სწავლობდა და არც შინ ეხმარებოდა დედ-მამას.

—მკვლარი ბუზი მაინც გადააგდე, ბიჭო! —ეტყოდნენ ^{ერჩევილნი}
მაგრამ არც ამას აკეთებდა. სხვისი კრიჭაში ჩადგომა უყვარდა, თორემ
თუ ვინმე მას ჩაუდგებოდა კრიჭაში, ეს აღარ მოსწონდა.

მაგრამ ბაბუა რამაზის ჭკვიანურმა სიტყვამ თვითონ „კრიჭას შეაწ-
ყვეტინა კრეჭა“. ახლა სხვაზე მეტად იქნებ ის ბიჭი წუხდეს ალიკოს და-
კარგვას და ბაჯი-ხანუმის ღონეს ნატრობდეს, რომ დაკარგული მეგო-
ბარი იპოვნოს. ვინ იცის! —გაივლო გულში ყმაწვილმა და გული
შეეკუმშა...

გ ა გ რ ძ ე ლ ე ბ ა ი ქ ნ ე ბ ა



კ ვ კ ლ ი

ვით დაბადება — პირველი თოვლი
მოდის სპეტაკი არ გვიანდება...
მერე კი მაინც გავლა-გამოვლით
ფაფუკი ფიფქი ნაგვიანდება.

და მიჰყვებიან პირველ ნაკვალევს
ყველა ზომის და მანძილის დაცვით,
თითქოს ეძებენ ოქროს ვარსკვლავებს,
ჩამობერტყილებს ქარებით მკაცრით.

მისდევნენ კვალთა ვიწრო ბილიკებს,
და გზის ბრუნება სურთ გაიყოლონ.
გზა ნაკვალევებს ჩამოირიგებს
და ითელება ბოლოსდაბოლოს.

კვალს ვერ შეამჩნევ გამვლელის გუმანს, —
ესოდენ ფერადს, ესოდენ ულევს.
ნაკვალევები სდუმან და სდუმან
და არ ამხელენ პატრონთა გულებს,

არც მათ სურვილებს და მისამართებს, —
ავსილებს დარდით, ავსილებს ღხენით.
...და ნაკვალევებს, როგორც ბარათებს,
ვკითხულობ ზამთრის იდუმალ ენით.

და ვიცი რაა წესი და ვალი,
ნაწერი თოვლზე შავად თუ თეთრად.
მაგრამ ხომ ბოლოს ყოველი კვალი
გაქრება მაინც ზამთართან ერთად.

როგორც წინაპრის სახელი ძველი,
ხან მხიარული, ხანაც მწუხარი,
მარადიული სიცოცხლის ხელით
ზის და ჟამთასვლას ფურცლავს ბუხარი.
წელთა თვლას იწყებს საუკუნეთა,
იცის თუ ბედი საით ტრიალებს.
ახსოვს სხვა მზე და სხვა უკუნეთი,
და სხვა ტკივილი მემატთანეს.
ახსოვს ზღაპარი ყანობის თვეთა
და ჭირის გამო ღიმილი მწარე...
და გათეული ზამთარი თეთრად
როგორ უწერდა კრწანისის ბწკარებს,
როგორ აქრობდა კერის ღვიაროს
სისხლით ნალესი ჭოროხის ზვირთი
მარუხის თავზე ორბის ირაო
და გულში დარდის ათასი ტვირთი,
როგორც წინაპრის დიდი სახელი,
ხან მხიარული, ხანაც მწუხარი,
მარად ახალი და მარად ძველი
ამბებს ბუბუნებს პაპას ბუხარი
და მარილიან მწვადების გარდა
მადლს ატრიალებს ქართული მიწის.
მას უთვალავი მომხედური ჰყავდა,
მაგრამ მან დიდი დახვედრა იცის.
იცის დახვედრა მტრის და მოყვარის,
მადლით ცხებულა მაღალი ზეცის,
ბუხრის წინაშე მუხლი მოყარეთ,
გათბით და თანაც თაყვანი ეცით,
თაყვანი ეცით წინაპრის სახელს,
რომელთა ლანდი ეს სიწყნარეა.
ბრძენი ბუხარი ბავშვივით ამხელს
რაც სწყინს, ან კიდევ რაც უხარია.

როგორ სიშორე შემოხვალ მშვიდად
და ტკივილს ვერსად დავაბინდრებ.
არ მეკითხები — ახლა რა მინდა,
არ გეკითხები — შენ რას ინატრებ.
და ჩვენ ერთმანეთს ვემდურით, აფსუს!
ვით ღამეულის ბინდი და ფარდა.
ნეტავ, იცოდე რამდენი რა მსურს
შენი ღამაში ოცნების გარდა,
უფრო მაღალი და უფრო მეტი,
რაიც გაგანდე და არც გაგანდე.
სულო, სინათლის მაღალო სვეტო,
უმისამართოდ წასულო ცამდე!

* * *

თვალით უკვდავების მე შენ მოგელოდი,
როგორც ყვევილობას — ნუში.
შენ კი გაზაფხულის სულად მიმოქროდი
ეს — სულ აგერ ახლა, გუშინ.
ყველა ობოლმა და ყველა უსაფარომ
წმინდა სიყვარული იცის.
ამიტომაც გელი ჩემო სუსამბარო
ჩემი უცისფრესი ფიქით.
მოდო, ჩამჩურჩულე თუ ვის რა აწუხებს,
მოდო, ხელი მივსცეთ ასე...

მოდო, სიმღერები ერთად დავაქუხით
ამ ჩვენს უნაპირო გზაზე!
მოდო, დავეშხუროთ სამუშაო და გვალვას
ქარში გავძლიერდეთ უფრო,
ერთუბრის ნურასოდეს ნურას დავუმაღავთ,
ვით არ იმალების ფრთები.

თუ მოსვლა არის, იყოს და მოდი.
და გამიტანე ზეგვის ზმანებად,
თუ მოსვლა არის, იყოს და მოდი.
როგორც წარღვნა და არდაზავება..
თუ მოსვლა არის...

ეს ყველაფერი
ხმამაღლა თუა, შენ მაპატიე,
მაგრამ... ციური სული შთაბერე
დამკარ, ამიღე და ამიტირე.
ათასი ლანდის ლანქერად მოდი
შემძარი ზათქით არ დაფარულით,
ამავსე შენით, მზითა და შფოთით,
და ამიტირე ამ სიყვარულით.



ვერა

მეთევზეთა დაბის ბოლოს, ზედ ზღვის პირას, წითელი კრამიტით გადახურული სახლი იდგა. გარედან კარის ზემოთ წყრთილზე მიჭედნილ აბრაზე ოდესღაც გარკვევით ეწერა „სასაუზმე“. მაგრამ მზემ, ქარმა და გადაუღებელმა წვიმებმა უმოწყალოდ დარია ხელი. თუ ძალიან დაუკვირდებოდი, ლანგარზე დასვენებული, პირში ბოლოკგაჩრილი. შეპიწკინებული გოჭის თავის გარჩევა შეიძლებოდა მხოლოდ. ამბობენ, ამ აბრაზე მხატვარს არც მწვადები, არც მოხარშული ქათამი და არც ჯიხვის წვერ-წამახული ყანწები დაევიწყნა. რას იზამ, უამთასვლამ ერთიანად გამოახუნა ყოველივე. მაგრამ თვით სასაუზმეში, როცა არ უნდა მოგეთხოვათ ყოველთვის ჰქონდათ:

ჩამოსასხმელი ღვინო (რა თქმა უნდა, ცოლიკაური, ხანდახან — ადესაც)

ქინძმარში ჩამბალი თევზი.

ნადული პიტნით,

ნაკვერჩხლებზე გაფიცებული მჭადი,

ქოთანში ამოღესილი ლობიო, და კიდევ რა გინდა სულო და გულო...

ზამთრის გრძელ ღამეს ამაზე უკეთეს ადგილს ვერც ინატრებდა კაცი. ჰოდა, შესაძლოა, სწორედ ამ პატარა და მყუდრო დუქანში დაახლოვდა ისინი. გრძელი, დაკოჭრილი ხელებით მაგიდას დაყრდნობოდნენ და სვამდნენ. ზოგჯერ მთელი საათი ისე გავიღოდა, სიტყვასაც არ ეტყოდნენ ერთმანეთს. ისხდნენ ჩუმად ჩაფიქრებულნი, მაგრამ მათი მზერა და დაღლილი სახე თავისთავად მიგანიშნებდა, რომ ამ ადამიანებს მძიმე გზა ჰქონდათ გავლილი.

როცა მიმტანმა ცარიელი ბოთლები აალაგა და შუა ადგილას, ვეება, შეჭვარტლული ტაფით ფილიპა მზარეულის სახელგანთქმული „სალიან-კა“ დადგა, უფრო ხნიერმა ჭიქები შეავსო და თანამესუფრეს გადახედა.

— ეს რა მითხარი, კაცო! — ამოღერდა ნაწყვეტ-ნაწყვეტად, — მაშ შეილიც არა გყავს?

— აჰი გითხარი, ქალისკენაც არ გამიხედია-მეთქი.

— ჰოო! — ჩაფიქრდა პირველი, თითქოს რაღაცის გახსენება უნდოდა. — მე კი ბედმა არ გამიღიმა, — განაგრძო, — ჯერ იყო და უფრო მეტი მომიკვდა ქალი. ძუძუთა ბალლი დამიტოვა და ძლივს გამოვეშხარე. მისი არ ვკარგავდი. მადლობა ღმერთს, ცხოვრება აეწყო-მეთქი, მარა... მერე ომი დაიწყო...

მეორემ ღვინო მოწრუპა და ღრმად ამოისუნთქა. მის სახეზე თანაგრძნობა და პატივისცემა გამოკრთა.

ღუქანში ცხელოდა. მინები დაორთქლილიყო. მეზობელ მაგიდებზე, როგორც ყოველთვის, მეთევზეები ისხდნენ და ხმამაღლა საუბრობდნენ.

— ჩემს სახლამდე აქედან ბარე კარგა მანძილია, მაგრამ აქ მოუსვლე-ლი მაინც ვერ ვძლებ. მიყვარს აქ ყოფნა, ვკდები ცალკე, ჩემთვის და ვუსმენ ... მხოლოდ ვუსმენ.

— ჰო. ისინი როცა თავიანთ ცხოვრებაზე ყვებიან, თვალებს ვხუჭავ და წარმოვიდგენ თითქოს ეს ყოველივე მე გადამხდა. საკუთარი ცხოვრება კი ვცდილობ დავივიწყო.. მაგრამ გულის ერთ კუნჭულთი ხომ მაინც ვიცი — ამას განგებ, თავის დასამშვიდებლად ვაკეთებ... ასეთი ყოფილა, ძმაო მარტოხელა ადამიანის ბედი..

— „კი, ასეთია, — გუნებაში დაუმატა მეორემ და სარკმელში გაიხედა. ღამე იყო ცივი და უმთვარო.

მამაკაცებმა სულის ერთი მოთქმით დასცალეს ჭიქები და განზე გასწიეს. მხოლოდ ახლა მოიკითხეს, რა დროაო. ნახარჯი გადაიხადეს და წამოდგნენ. საღდაც დაბის ბოლოს მამლები ყიოდნენ. მთვარე არ ჩანდა. არც რეილზე ჩამომდგარი გემებიდან აღწევდა შუქი. ყველას და ყველაფერს ძილი დაუფლებოდა. ძაღლები ფრთხილობდნენ მხოლოდ. ისინი თავგამოდებით დასდევდნენ მრუმე ლანდებს.

მეორე ღამეს ისევ შეხვდნენ ერთმანეთს.

— კალატოზობა კარგი საქმეა, ძმაო, — თქვა ერთმა — ასეთი ხელობის კაცი არ დაიკარგება.

— არც შენ გექნება ნაკლები გამომუშავება. — მიუგო მეორემ, შვილი ომში დაკარგული რომ ჰყავდა.

— მერე? — მხრები აიჩეჩა პირველმა — არც ხვავი აქვს და არც ბარაქა. მაინც ქარს მიაქვს ყველაფერი. ვიდრე ახალგაზრდა ვიყავი ჩიტოვით ვცხოვრობდი, დარდი არ ვიცოდი და მოწყენა, მაგრამ გავიდა დრო... გავიდა და ახლა ჩოფურა ქაზიმას ბედიც მეხარბება. დგას დახლთან, ვაჭრობს დამშვიდებით, რადგან იცის შინ ელიან. ოჯახის სიტბოს არაფერი შეედრება, — ნაღვლიანად სთქვა და გასძახა:

— ოფიციატ, ორი მწვადი და ღვინო...

მიმტანმა უმაღლესად გააჩინა ღვინოცა და მწვადიც. მსუქანი ბოთლს წაეტანა

მას წინანდებურად სუფთა და გახამებული პერანგი უჩანდა ნაცრისფერ პიჯაკიდან. მის მეგობარს საკმაოდ მოკლე პალტო ეცვა. შვილის ნახუქარი იო ამბობდა. ვერც შელეოდა. საოცრად უფრთხილდებოდა, არც დაიძინა. მე ლაქა დააჩნდება. თითქოს ჩემ გულს დასჩენოდესო, ისე განიცდიდა. როცა ჭიქები კვლავ დასცალეს ერთმანეთს თვალი თვალში გაუყარეს და... თითქოს შიგ დანთებული ხანძრის შეეშინდათო მაშინვე ჰკიდეს თავი. „ვებერთელა ოჯახი მიოხრდება“ — გაიფიქრა შვილდაკარგულმა — მოდი, ვიძმობ და შევიკედლებ. კარგი ვაჟკაცი ჩანს, ზრდილი და პირიანი“.

— ჩემთან გადმოსვლაზე რას იტყვიო, — ძლივს წარმოსთქვა.

პირველი ჩაფიქრდა. შუბლი ერთიანად დაუწაოჭდა. პურის ქერქს წაეტანა, მომუჭა და ნამცეცებად აქცია. მერე ნამცეცები შეაგროვა, ხელისგულით დატკებნა და დააშტერდა. შვილდაკარგულმა კი მისი ღუმილი თანხმობად მიიჩნია, აუჩქარებლად განაგრძო — უპირველეს ყოვლისა, სახლს ლამფერი უნდა გამოვუცვალოთ. მართალია ჩემი ხელობისა არაფერი გაგეგება, მაგრამ მალე შეგასწავლი, ჯეელი ხარ, ღონიერი. აბა, მე საიდან შევძლებ იმოდენა ლამფერის თრევას. მომეხმარები ხომ?

მეგობარმა გაუღიმა. ჭიქა ასწია, სინათლეზე გაუხედა. დაღვეით კი არ დაუღვეია. თვალწინ მამისეული სახლი დაუდგა. სახლის უკან მოლიკლიკე ღელის ხმა ჩაესმა. აივნის წინ აშრიანდებულმა წიფელმაც თავი გაახსენა.


— აბა რა ვითხრა, — წაიბლუქუნა — ჩემს კერას რაღა ვუყო.

იმ ღამეს ადრე დაიშალნენ. რაღაც კიდევ იყო მათ შორის უთქმელი. მაგრამ მაინც გზათა გასაყარზე ღამე ნებისა უსურვეს ერთმანეთს და წავიდ-წამოვიდნენ.

— იცი! — უთხრა შეხვედრისას უფრო ახალგაზრდამ, — ბევრი ვიფიქრე, ძალიან ბევრი, თვითონაც იცი, შეგეთვისე, გულში ჩაგახედე, თვალში რომ ჩამივარდე, ხელსაც არ მოვისვამ... ჰოდა, შენი ნათქვამი მენიშნა. იქნებ შენ თვითონ გადმოხვიდე ჩემთან. სახლი თუ გადარდებს, გაჰყიდე, მოიხმარე.

— კარგო, — თვალეები გაუბრწყინდა შვილდაკარგულს, სადაც გინდა იქ ვიცხოვროთ, ოღონდ ერთად ვიყვეთო. — და უცებ გონებაში რაღაც უცნაურმა ნაპერწკალმა გაუციმციმა. შეკრთა, ჩაფიქრდა. ახლა ამას გაახსენდა თავისი სახლი, სახლი საიდანაც დიდი, ძალიან დიდი ხნის წინათ თავისი ვაჟის დაბადება ამცნო. სადაც სიხარულთან ერთად ამდენი ჭირიცა და უბედურებაც ნახა. ბოლისაგან შელანძღულმა კედლებმა თავისაკენ მოუხმეს თითქოს. ტკბილი, მომაჯადოებელი ხმით შეჰღალადეს ჩიტვამლას რტოებმა და იწყინა — ჰა, შენ როგორ ფიქრობ, განა მე არა მაქვს კერა?

ასე დასცილდნენ ერთმანეთს.



თვალდახელშეუა გაირბინა დრომ. მოთოვა, მერე გაზაფხულდა, და ძველი მეგობრები ისევ შეხვდნენ ერთმანეთს. სასაუზმე გადაეხვეწიან, ნათ. იატაკი გამოეცვალათ და სარკმელზე ქოთნის ყვავილები ჩაეწყაპათ.

ჩოფურა ქაზიმამ ძლივს იცნო ისინი. სად დაიკარგეთო! გაშალა ხელები. რაღაც უცნაურად გაიღიმეს, ერთ მაგიდასთან შედგნენ, ორჭოფობდნენ თითქოს. ბოლოს უფრო ხანშიშესულმა იკითხა:

— ღვინო დავლიოთ თუ ლუდი.?

— ღვინო სჯობია.

— კარგი, ღვინო იყოს!

დასხდნენ, წინანდებურზე მოტეხილნი სჩანდნენ, ოდნავ მობერებულნიც. დიდი ხნის უნახავები იყვნენ და ერთმანეთის ამბავი გაიკითხავამოიკითხეს.

— იქნებ, ბოლოსდაბოლოს გადაწყვიტო და გადმოხვიდე ა? — თქვა შვილდაკარგულმა და ხმა აუთრთოლდა. — სახლი სადაცაა დაინგრევა, ნუ გამიპარტახებ მამაპაპურ კერას, ამომიდექი, მომეხმარე!

— მოხმარებით კი მოგეხმარები. — შეიშმუშნა შედარებით ახალგაზრდა, მაგრამ ჩემს მშობლიურ კერას რა ვუყო! — სთქვა და გრძელი დაკოჟრილი ხელები მაგიდაზე დააწყო. სარკმელს იქით ზღვა შხუოდა.



შირილდანი

(ასე ჰქვია ყირგიზი მწყემსი ქა-
ლების სიმღერას).

ვარსკვლავები გალობენ,
ქალთა დასი მღერის:
— ფხიზლად, მწყემსო ქალებო,
სადღაც ღმუის მგელი.

სადღაც ღმუის სიკვდილი...
სიკვდილიც მგელს თუ გავს...
შუქწყვედიადის ჰიდილი
გულს უწყალოდ ბუგავს.

შეგებად, შიშად მოვლენილო,
მიწით ხარ თუ ცით ხარ,
ღმერთო, კაცის მოგონილო,
გეკითხებით,
გვითხარ. —

თუ კი სწნავდი სხივთა ბადეს,
წყვედიადი რად გინდოდა...
ანგელოსი თუ დაბადე,
ეშმაკი რად გინდოდა...

სიყვარული რომ გვიბოძე,
მტრობას რაღად აჩენდი...
სიცოცხლე რომ დაგვილოცე,
სიკვდილს რაღად აჩენდი...

...ფიქრო, ქარად გაჰენდი,
მოგყვნენ მწყემსი დანი,
მთვარევ, წუთით გაჩერდი, —
კენესის შირილდანი

ვარსკვლავები გალობენ,
მღერის ქალთა დასი:
— დიღავ, დაგვამწყალობე,
მზით აღსავსე თასი...

ტიან-შანზე აცურდა
კვამლის მუქი ფრთები;
ჰოი, ომში წასულან
ჩვენი ჯიგიტები.

ვარსკვლავები თავს იკლავენ
ცეცხლის ალი შავ ცას ლამბავს...
ვაი თუ ახლა მათი მკლავი
მიწას ეკვრის, სისხლით დამბალს...

რად უმატა წყალმა დუდილს,
რად გაგიჟდა ხმაგამწყრალი...
ვაი თუ ახლა ოქროდ უღირთ
თუნდაც ერთი წვეთი წყალი...

ბაგე გვეწვის, თითქოს ფიცხი
ჭინჭველები ფათურობენ,...
ვაი თუ ახლა, სიკვდილის წინ
ჩვენს ერთ კოცნას ნატრულობენ. .

...გულის თვალო, გაჰენდი,
განვლე ხშირი მთანი,
დროო, წუთით გაჩერდი. —
ბორგავს შირილდანი:

— შენს სიყვარულს ჩემი გული
ელის, როგორც მიწა გუთანს,
ათას ღამით შენისლული
დაიცისკრებს შუქი გულთან.

გლოცულობ და გადარჩები,
ამ დიდ შუქთან რაა კვნესა...
ახსაყალი პაპაჩემი
ხეებსა სთლის სააკვნესა.

დილავ, დამამწყალობე
შუქით სავსე თასი!.. —
ვარსკვლავები გალობენ,
მღერის ქალთა დასი.



სსსრუში

სამხედრო-საავიაციო სკოლის კურსანტები სახელმწიფო გამოცდებისათვის ემზადებოდნენ. ნურიც ლაქვარდოვან ცის კამარაში მშვიდობიან ფრენაზე ოცნებობდა, როცა საბჭოთა ქვეყანას მუხანათური ომი თავს დაატყდა. მალე ნური ჯინჭარაძეს უფროსი სერჟანტის წოდება მიანიჭეს და ნოვოსიბირსკში გაგზავნეს. ახალგაზრდა კაცი გრძნობდა მისი მომავალი დიდი საბრძოლო ცხოვრებით იწყებოდა...

იგი სრულიად უმაწვლილი იყო, როდესაც ბათუმის ავიაკლუბის კოშკიდან პარაშუტით პირველად დაეშვა. ამ დღიდან ნური ავიაკლუბის ერთ-ერთი აქტიური წევრია, მალე წარჩინებით დაამთავრა კიდეც და ამავე კლუბის ინსტრუქტორი გახდა. მისი ხელმძღვანელობით აღიზარდნენ შემდეგ ცნობილი მფრინავები თავაძე, დუდინა, ინასარიძე. იქ იწრთობოდა მისი სსსახელო სახლიკაცი ისრაფილიც...

1941 წლის გვიანი შემოდგომა იდგა, მტერი ჩვენი ქვეყნის მნიშვნელოვან ადგილებში დაბანაკდა და მოტომექანიზირებული ნაწილები მოსკოვის მისადგომებისაკენ დაიძრნენ. მშობლიურ დედაქალაქს საშიშროება შეექმნა. იმ მრისხანე დღეს წითელ მოედანზე გამართულ სანთებრო პარადს ნურიც ესწრებოდა. მოსკოვი განსაცდელში იყო, ეს იგრძნობოდა. თვითელი მოქალაქის თუ მეზობლის სახესა, თუ თვალებში შურისძიება მკაცრად იხატებოდა.

მოსკოვის ირგვლივ ადამიანთა მძლავრი ნებისყოფა და სამშობლოს სიყვარული რკინა-ბეტონის ურღვევ კედლად აღმართულიყო. პარადზე მთავარსარდლის — ი. ბ. სტალინის წარმოთქმულმა შთამაგონებელმა სიტყვამ ყველანი თავისი ქვეყნის დასაცავად აღანთო.

მოსკოვის მისადგომების ერთ-ერთი უბნის დაცვა დაევალა იმ ავიაპოლკს, რომელშიაც ნური მსახურობდა.

— მოსკოვი სამშობლოს გულია! — გაისმა მგზნებარე ხმა მოიერიშე ნაწილებში.

— მოსკოვი სამშობლოს გულია! — ჩაწვდა ნურისაც და ვაკეკატორი თავგამეტებით ეკვეთა მტერს.

ახლა იგი მტერს ოთხი გამანადგურებელით იგერიებდა. მტერი კი საქმეში ბრწყინვალე გამარჯვებები ზიზღობდა. შემდეგ ნურის პოლკი, რომელმაც მეოცე არმია 1943 წლის გაზაფხულისათვის რევეამდე მიაცილა, ახლა ვოლოკალამსკის, ორშის, ვიტებსკის, მოგილევის, სუხინიჩის და სმოლენსკის განთავისუფლებისათვის იბრძოდა. მეტად მძიმე დღეები ახსოვთ.. თითოეული საათი წყვეტდა ქალაქისა თუ გამაგრებული პოზიციის ბედს. ახლოს იყო სიკვდილი, მაგრამ განსაცდელმა ნური ვერ შეაშინა.

ოთხასი საბრძოლო გაფრენა და ათი იერიში მოაწყო ნურიმ ორშასა და მის რაიონში.

სამაგალითო დაცვისათვის ნური დააჯილდოვეს წითელი ვარსკვლავის ორდენით. ხოლო ცოტა ხნის შემდეგ, სუხინიჩზე შეტევისას, ნურის ეკიპაჟს წითელი ვარსკვლავის მეორე ორდენი გადაეცა.

1944 წლის მარტის უჩინელიანი დღეებია, ნისლი ფარავს ბერეზინას... ბერეზინა ისევ იმეორებს სასოწარკვეთილი ნაპოლეონის ისტორიას... ერთმანეთს ჰგავს უკანდახეული მტრის ჯარისა და მდინარის ბობოქრობა.

შემტევ ნაწილებს მიაცილებს ესკადრილია.

— მოფრინავს მტრის ავიამანადგურებელთა ჯგუფი.

— არ მიუშვათ ხიდთან! — გაისმა ნურის ბრძანება.

— მესმის! — იყო პასუხი.

ესკადრილია ხიდთან ხუთი კილომეტრის დაშორებით დაუხვდა მტრის თვითმფრინავებს, ისინი ბრძოლით ჯერ მაღლა ავიდნენ, და როცა ნურიმ უკან მოიხედა, დაინახა ჰაერის ტალღისაგან ნაძვები როგორ ირწყვოდნენ. მანძილმზომი დედამიწიდან ოც მეტრს უჩვენებდა. ნურის გაახსენდა, რომ ასეთ დროს შეიძლება ჩაეფლო ცხვირით მიწაში, მაგრამ აი, იგი მტრის თვითმფრინავის რკალს კუდში მოექცა, ცეცხლი გახსნა და, როცა ბოლი შენიშნა, სხვებს მიეშველა. გააფთრებული ბრძოლა გაიმართა.

სამეთვალყურეო პუნქტიდან გაფაციცებით უცქეროდნენ ჩვენი მფრინავის გამორულ გამარჯვებას.

მეთაურისა და ეკიპაჟისადმი მაღლობის სიტყვები მოჰქონდა რადიოს-

* * *

გერმანელები მინსკში დაბანაკდნენ. დაკარგული ძალების აღდგენასა და ახალი შეტევის წამოწყებას ცდილობდნენ. ისინი განუწყვეტლივ თავს ესხმოდნენ ჩვენს ნაწილებს.

ჩვენი საავიაციო დივიზია, რომელშიც ნური მსახურობდა, გმირულად იგერიებდა მტერს. ისინი მინსკთან ახლოს იყვნენ დაბანაკებული.

განუწყვეტელი ნისლი, წვიმა და ქარიშხალი აძნელებდა მანქანების, მაგრამ მათ სიძნელები არ აშინებდათ.

ალიონზე ცაში აიჭრა წყვილი „იაკი“ და ღრუბლებში შეცურდა, მაგრამ ერთხანს ღრუბლებს თავი ვერ დააღწიეს. მერე გამოჩნდა მოლივლივ ცის ნაკვეთი, საიდანაც ნურიმ გასვლა დააპირა, მაგრამ უცებ გამოიჭრა „ფოკე-ვულფი“. ისინი ერთმანეთის პირისპირ დადგნენ. — ასეთ დროს გაქცევით თავს ვერ უშველი, გაიფიქრა ნურიმ, განსაკუთრებული ნებისყოფაა საჭირო, რომ გეზი აიღო მტრისაკენ, რომელიც შენსკენ შურდულისვით მოჰქრის. რვაასი მეტრი აშორებს მათ.

— კოლია, გესმის? — ჩასძახა ნურიმ მიკროფონს.

— მესმის, ამხანაგო კაპიტანო!

— მოემზადე!

ქვემოთ ძლივს მოჩანს გადამწვარი მიწა და განაწამები მოსახლეობა. ნური შეტევაზე გადადის, კიდეც წამი და გადაწყდება ყველაფერი, ან ის ჩამოსძახებს: — „კაპუტ რუს“, ან თვითონ დაანარცხებს გერმანელ სვავს.

მაგრამ... უეცრად შეშინებულმა „ფოკმა“ გაქცევა დააპირა. უკიდევანო სივრცეში გაისმა ტყვიამფრქვევის ყურის წამლები კაკანი. „ფოკი“ ჯერ შეტორტმანდა, მერე დაბლა დაქანდა, ნაძვის ტოტები ჩაღწეა და ხეებს შუა შავი ბოლი ამოვარდა. აღტაცებული კოლია ბეჟინსკი გამარჯვებას ულოცავდა.

სამხრეთში ისევ მძვინვარებდა ომი. ზღვისპირას კი ალბათ გაზაფხული დგებოდა. იქ, სადაც ზღვა და ხმელეთი ერთმანეთს ერთვის შეკვირვებულიყვნენ ხეები. ზღვის სუნთქვა წვდებოდა მწვანე მიდამოს.

... აქაც დადგება გაზაფხული, გათბება ბუნება, დაუსტვენს ბუბუ-ლი, აბიბინდება ყანები.

ნური თავს ვეღარ აღწევდა ფიქრებს, მშობლიური ველები ენატრებოდა. იმ დღეს რატომღაც სევდა აწვებოდა და რაღაც ცუდს. ელოდა. მართალია, ბრძოლიდან გამარჯვებული დაბრუნდა, მაგრამ ეს უგუნებობა რას ნიშნავდა ნეტავ? და, აი... სახლიდან ბარათი მიიღო, რომელმაც ისრაფილის გმირულად დაღუპვის საშინელი ამბავი მოუტანა.

„გმირები არ კვდებიან“ — მწარე ბოლმით და იღუმალი შურისძიებით აღივსო ნური და თვალი აემღვრა...

ვანია ისევ ლილინებდა ბაიანზე. სხვები ჭადრაკს თამაშობდნენ. ნური გარეთ გაიჭრა, ადგილს ვერ პოულობდა. ქარს შორიდან ბაიანის ყრუ ხმა მიჰქონდა.

ნური გახევებულიყო — თვალწინ ედგა ისრაფილის ნათელი სახე...
...საგანგებო დავალებით ნური მოსკოვს გაემგზავრა. სამხედრო-საზღვაო
ერო ძალების სარდლობის შტაბში ფრონტიდან მოსული ესკადრალის
მეთაური მოწიწებით მიიღეს. ნურიმ თავისი შთაბეჭდილება გაუზიარა,
ახალი გამანადგურებლები მოითხოვა.

რადგან ნურისა და მის მეგობარ მფრინავს კიდევ ორი თავისუფალი
დღე ჰქონდათ, რიაზანის გარეუბნისაკენ გასწიეს. თითქმის წელამდე
თოვლს მიჰყვალავდნენ და მიიჩქაროდნენ.

კარებზე კაკუნი განმეორდა. პაშამ საკეტს აჰკრა ხელი, გარეთ გამოი-
ხედა და შეილი რომ დაინახა, ცრემლები წასკდა. ვასილ ბახირევს დიდ-
ხანს არაფერი ეცნობებინა მშობლებისათვის, ახლა მოსკოვისაკენ გზა
რომ დაურჩა, დედის უნახაობა ველარ შესძლო. დაეთანხმა ნურიც და ამ
სუსხიან ზამთრის ღამეს ის იყო ოჯახს მიადგნენ.

ფრონტელთა სანახავად მეზობლებიც მოცვიდნენ. როგორც იქნა,
ბაგე გაეხსნა თევდორესაც. ყველა ეხვეოდა ვასიას და ნურის. კარებში
ყველაზე გვიან ლარისა გამოჩნდა. მან ვასიას მოკრძალებით გაუწოდა ხე-
ლი. — ცოცხალი ხარ? — ჩაულაპარაკა და მერე პაშას მიეთართქალა.

ომის სუსხი იგრძნობოდა ზურგშიაც, მაგრამ პაშას მეზობლები წამო-
ეშველნენ და სახელდახელო ვახშამი გაიმართა.

ნური თევდორე სიდოროვიჩს მიუჯდა. შემოუსხდნენ სხეებიც. პურს
არავინ ტეხდა, სანამ ნურის გვერდით ორი სკამი თავისუფალი იყო.

— მე დავუძახებ! — თქვა ტანია და წამოდგა, მაგრამ პაშამ შეაჩე-
რა.

— აცალე ახალგაზრდებს, სალაპარაკო ბევრი აქვთ!

ვასია და ლარისა ბავშვობიდანვე შეყვარებულები იყვნენ.

ვასია ისევ ფრონტზე მიდიოდა, ლარისა კი ხეიბარ მამას უნდა
შეშველებოდა.

ოჯახის უფროსმა სტუმრები დალოცა და დასძინა.

— არის სხეულის ნაწილი, რომელსაც ადამიანი განსაცდელისას
ხელით იფარავს, ხელის დაკარგვა კი არაფრად მიაჩნია, — თქვა სიდორო-
ვიჩმა, — გულს უფროთხილდებიან, ხალხმაც გული არ დაანება მტერს, მას-
ზე წამოსულ ტყვიას შეეწირა ბევრი მარჯვენა, ქვეყნის გული — მოსკოვი
კვლავ უვნებელია!

თევდორემ ცრემლიანი მზერა კედელს მიაპყრო, კედელზე მისი უმც-
როსი ვაჟის, სლავას სურათი ეკიდა.

თევდორემ მაისურის ცარიელ მკლავს მოავლო თვალი, მერე ვა-
სიას შეხედა, შუბლზე აკოცა და უთხრა — აწი შენა ხარ ჩემი მარჯვენა!
ქიქა აიღო და მოსკოვის გადარჩენის სადღეგრძელო შესვა.

მეორე დღეს ნური მოსკოვში ყველა დავალებას მორჩა თუ არა, შუალამე იქნებოდა, როცა ცაში აიჭრნენ. გერმანელებს კარგა ხანია მოსკოვის საჰაერო იერიშებზე ხელი აეღოთ, მაგრამ მაინც უხვად ჩაეღრმნა და პროექტორების სხივი.

— კურსი დასავლეთისაკენ! ნახვამდის, მტრის ხელუხლებლო მოსკოვო! ვასია ნურის გვერდით გარინდებულიყო, შინ ყოფნის ორი დღის სიაშვინებას მიეყუჩა, რომელიც ასე მოულოდნელად გამოერია შფოთიან დღეებს.

თვალწინ ედგა თოვლით გადაპენტილი რიაზანის სადგური, თვალცრემლიანი დედა და ლამაზი ლარისა...

* * *

ღია სივრცეში შორიდან მოჩანდა ნურის ავიაგამანადგურებელი. გერმანელთა „ასებს“ ბევრჯერ უცდიათ ხელში ჩაეგდოთ ის. მაგრამ ოპერაცია ბევრმა საბედისწეროდ დაასრულა.

მტრის ტერიტორიაზე ხუთი ათასი მეტრის სიმაღლეზე პატრულობდა ნურის ესკადრილია, როცა ჰორიზონტზე შელგუნოვის საესკადრო ჯგუფი გამოჩნდა.

— მოხვედი? — ჩასძახა ნურიმ.

— აქა ვარ!

ნური საგუშაგოს უნდა გასცლოდა, მაგრამ...

— მარცხნივ „ჰეინკელები“ — დასჭექა შელგუნოვმა და სიტყვაც ვერ დაამთავრა, რომ ატყდა სროლა. გერმანელ მეზენიტეებს მიზანში ჩვენი საგუშაგო ამოეღოთ. ამოქმედდნენ ჩვენი მეზენიტეებიც და ორმაგი ცეცხლის რკალში მოემწყვდნენ.

ცეცხლწაჰიდებული „ჰეინკელი“ ძირს წამოვიდა, მაგრამ ნურის თვითმფრინავიც შეტორტმანდა...

— შელგუნოვ, გესმის, შელგუნოვ! მწყობრიდან გამოვედი! — ეძახის ნური. მერე შელგუნოვის პასუხი ესმის მაგრამ საჭეს ვერ იმორჩილებს...

დაზიანებული თვითმფრინავი საბჭოთა მიწაზე ძლივს დაეშვა, მძიმედ დაჭრილი პილოტი — ნური ჯინჯარაძე იქიდან უგონოდ გამოიყვანეს.

ერთი კვირის შემდეგ საველე სანიტარულ ფარდულში მედიცინის და ფეხაკრეფით შევიდა, ნური თვალგახელილი რომ დაინახა, გადარჩენა მიულოცა, შუბლზე ცივი ოფლი შეუმშრალა, შემდეგ სისხლით დაკორძებული ნახვევი გამოუცვალა და ძილი ურჩია.

მეორე დღით მფრინავ-გამანადგურებლის, საუკეთესო ოფიცრის შელგუნოვის გმირული დაღუპვის ამბავმა ნური ისე ააფორიაქა, ფეხზე;

წამოდგომა დააპირა, მაგრამ ვერ შესძლო. მერე წერილი მისწერა მეზობ-
ძოლებს და სთხოვა: უშიშარი, მამაცი მეომარი აეროდრომთან აელოს
დაეკრძალათ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

* * *

ნახევრად გამოჯანმრთელებული ნური ისევ დაუბრუნდა ომის ქარიშ-
ხლიან ღლებს...

მტრის აღსასრული ახლოვდებოდა, ჩვენი ნაწილები სწრაფად მიი-
წევდნენ წინ. ნური იმ ღამეს გვიან დაბრუნდა, კვლავ მალე უნდა გაბრუ-
ნებულყო. „არ ღირს დაწოლა“ გაიფიქრა მან, თვითმფრინავი სარბენ
ბილიკზე გააჩერა, საათი მომართა და კაბინაში ჩასთვლიმა.

9 მაისს, ალიონზე ესკადრილია დავალების შესასრულებლად მზად
არის და ნიშანს ელოდება, მაგრამ ნიშანი იგვიანებს. — აღმოსავლეთის
ცას იისფერი შეეპარა, ნიშანი კი მაინც არ ჩანს. ნური ღელავს.

კაბინასთან ტექნიკოსმა მიიღბინა, ნება ითხოვა, მღელვარედ მოახსე-
ნა; ნურის თითქოს არ სჯერა, მაგრამ აი, ზალბებმა მიდამო შეძრეს. ის-
ვრის ყველა მეზენიტე. ასობით წითელი და ცისფერი შუშხუნები იჭრება
ცაში, სკდებიან, ჟინუილიებად ცვივიან. მფრინავები კაბინებიდან ხტე-
ბიან, იცინიან, ტანში ჟრუანტელი უვლით, თვლებზე ცრემლები უბრწყო-
ნავთ... ქვეყანას ხასხასა მაისი და გამარჯვების ზეიმი მოფენია.

ომი დამთავრდა. ამ გამარჯვებაში ნურისაც ჰქონდა წვლილი, მისმა
ესკადრილიამ გადაიხადა ორმოცდაშვიდი დიდი ბრძოლა, მოაწყო შვიდა-
სზე მეტი საბრძოლო გაფრენა და ჩამოაგდო მტრის უამრავი თვით-
მფრინავი.

საუკეთესო მეზობელი და ამხანაგი, საყვარელი მეთაური, საფრენოს-
ნო ხელოვნების ოსტატი — ასე ახასიათებს ნური ფერათის-ძე ჯინჯარაძეს
პირადი საქმე, რომელიც ბათუმის ავიაკლუბის სერჟანტიდან იწყება
და გვარდიის მაიორობით მთავრდება.

ნური ახლა მშობლიური სოფლის მშვიდობიანი შრომის ფერხულშია
ჩაბმული. მის სახლიკაცებს ომში სასახელო ბრძოლების სიხარული მან
პირველმა მოუტანა. მაგრამ სულ სხვაა ისრაფილ ჯინჯარაძის გახსენება,
როცა სახლიკაცები თავს მოიყრიან დიდი სიამაყის გრძნობა ახლავს მათ
გულისტკივილს. ისინი დიდი სიყვარულით მოიგონებენ მათი გვარის
საამაყო ჭაბუკს, რომელმაც გმირობითა და თავდადებით სამშობლო
ასახელა.



ლენინი ყრილობაზე

მზე ათასფერად აინთება მოსკოვის ცაზე,
 უფრო იმატებს
 მნათობის სხივი გამობრწყინებას;
 დედაქალაქი —
 მშობლიური ღიმილით სავსე
 კვლავ დაუხვდება
 დელეგატთა ურიცხვ ღინებას...
 თითქოს მხრებს გაშლის
 უჩვეულო ფართო ქუჩები,
 აელვარდება
 ოქტომბრის დროშა —
 მარად ქებული,
 ადამიანებს გამოჰყვება
 ძალა უჩვევი,
 ლენინის აზრი —
 პარტიის სიბრძნით გაშუქებული,
 ძალა უჩვევი,
 გმირული და გასაოცარი,
 შეუპოვრობა საქმეში და გულგანთილება..
 ყოველ საკითხზე სიტყვას იტყვის
 დიდი მოძღვარი,
 სიბრძნით აავსებს
 კომუნისტთა დიად ყრილობას!

წვიმა ქალაქში

ჩხრიალ-ჩხრიალით ქუჩებს აწყდება
ჩახჩახა წვიმის ხმა თანაბარი,
და ვფიქრობ: წვიმა კი არ იწყება,
იწყება თითქოს წვიმის ზღაპარი.
წვიმის ზღაპარი, თქმული გლეხურად,
ასხამს, ჩანჩქერებს ბოლო არ უჩანს,
თითქოს ჟივჯივებს ბევრი ბელურა
და ურიამულით ივსება ქუჩა.
ამდენი მაღლი — ციდან მოსული,
შემშურებია ქალაქად მყოფელს —
გულით ვინატრე: — ცაო, ეს წვიმა
აწვიე იმ ჩემს გვალვიან სოფელს.



სიმღერა ჰჰჰია

სურნელი ვარდთა, —
სიმწვანე ფერთა
და აზვირთება პატარა ღელის, —
ერთ სიმღერაში შეკრულან ერთად
მწვანე სიცოცხლის გზნებით და
ღელვით.

სიმაღლეს ეტრფი და ყელი ლერწმის
გსურს მოასვენო ძალიან გვიან,
იცი ჩინარის თუ ვაზის ლერწის
ლტოლვასაც დიდი სიმღერა ჰჰჰია.

* * *

ელვით და მეხით
ცის გახსნილ კარებს,
თევზივით სხლტება
წვეთები წვიმის,
ქუჩაში მძაფრად გაჭრილი ქარი
ჰგავს ყურთან ჩავლილ ტყვიების წივილს.

ვანთივარ რაღაც,
საოცარ განცდით,
არ მინდა სითბო,
არ მინდა სახლი...
გზის განაპირას, ვით სველი ნაძვი,
ვდგავარ და ვგავარ მოგზაურს დაღლილს.



ქვემოთ

ხალხური პოეზია
ლექსები ლენინზე

კაცო, მზესავით ნათელო!

კაცო, მზესავით ნათელო,
ჩაგრულ-ტანჯულთა მსხნელი ხარ,
მზე ჩვენთვის შენ გაანათე
მზეზე უფრო ნათელი ხარ.

ვინ დაიჯერებს რომ მოკვდა
მზეკაცი ქვეყნის დიდება,
მზე მოკვდეს! აგი არ თქმულა
მზე მოკვდეს! — როგორ იქნება!

მთქმელი რეგებ ბოლქვაძე.
(სოფელი ბრილი, შუახევის რა-
იონი).

მჩაგვრელებმა დიდხანს სწოვეს
 მშრომელების სისხლი წმინდა,
 დღეს სიხარულს ველარ ვიტევ
 და ლექსებიც მისთვის მინდა.
 ლენინი რომ დაიბადა
 ჩაგრულთა მზე ამობრწყინდა.
 ერთი დიდი ფიქრი მაქვს
 გულში შემოფრენილი,
 ვინახულო ის მიწა
 ყვავილებმოფენილი,
 სადაც ჩვენდა ნუგეშად
 დაიბადა ლენინი.


მთქმელი რეჟებ ბოლქვაძე.
 (სოფელი ღორჯომი, ხულოს
 რაიონი).

შენს მშვიდობას მარად ვიცავთ

მას ვუმღერით, მას ვადიდებთ, —
 დიდ ლენინის მზეს და ნათელს,
 უკვდავია ლენინის მზე,
 კომუნიზმის გზას გვინათებს.
 შენ შეგვიქენ ქვეყნად ბალი
 არ ნახული, სანეტარო,
 შენ შეგვიქენ ქვეყნად ლალი,
 სიმღერების ეს სამყარო.
 ლენინ, ხალხი შენ გადიდებს,
 შენ საქმეს და სიბრძნეს ვფიცავთ,
 შენს პარტიას, შენს სამშობლოს,
 შენს მშვიდობას მარად ვიცავთ.

მთქმელი ი. სურმანიძე,
 (სოფელი ჩაქვი, ქობულეთის რა-ნი).

1. შემპარავი ძალდი მეფეფარზე უარესიო.
2. შენ წისქვილში წაბრძანდი და მე ქორწილში წევეტორევიო.
3. შიგერ ქათამს ფეტვი ესიზმრებოდაო.
4. შეთვლით შვილი არ გაკეთდებაო.
5. შენთვის ქაფია, მარა ჩემთვის თაფლიაო.
6. ჩემს ეზოში ავი დარი, შენს ეზოში ავი რძალი.
7. ჩიტი ცაში არ დაიკარგებაო.
8. ჩიტი მთაში გეიზარდა და მთას შეაკვდაო.
9. ცრემლი ყველას მარილიანი აქვსო.
10. ძალღს ძაღლის კბილი არ აწყენსო.
11. ძიღს ბალიში არ უნდა და შიმშიღს — კატული (მისაჰმელი).
12. ძაღლი იმისთვის ყეფს, ვის კარზეც წევსო.
13. წყალი სათავიდან ეიმღვრევაო.
14. ჰკვა რომ რიგდებაოდა ჭურში ხომ არ იყავიო.
15. ჭრის და არ ეკაკუნებაო.
16. ჭიაყელი გვეღს წიეზმანა და წააწყდაო.
17. ხორგი ხორგს მიედებაო.
18. ხოჯის ნათქვამი დეიჯერე და ნაქნარს ნუ გააკეთებო.
19. ჯარი ხელის ჭირიმე და ერთი პირისაო.
20. ჯერ დათვი არ მუჟკლავთ და ყაიშებს (ღვეღებს) გრეხენო.



მკირფასო სერგო!

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის აჭარის განყოფილების გამგეობა და თქვენი მეგობარი ბათუმელი მწერლები სულითა და გულით გილოცავენ სახელოვან იუბილეს.

გვიხარია, რომ თქვენ კვლავ აღსავსე ხართ შემოქმედებითი ენერგიით და ბრწყინვალე ნოველებით ამდიდრებთ ქართულ ლიტერატურას.


გვიხარია, რომ მამათქვენი—ქართული რეალისტური პროზის ერთ-ერთი უთვალსაზიროესი წარმომადგენელი—დავით კლდიაშვილი, ბათუმში მოღვაწეობდა და სიყვარულით ედგა გვერდში აჭარელ ძმებს სოციალურ თუ ეროვნულ ყველა საქმეში.

გვიხარია, რომ ახლაც ასე ჭაბუკური შემართებით ემსახურებით მშობლიურ ლიტერატურას.

იცოცხლეთ დიდხანს, იბედნიერეთ! ჯანმრთელობა-სა და დიდ შემოქმედებით მიღწევებს გისურვებთ.

საქართველოს მფარველთა კავშირის აჭარის განყოფილების გამგეობა.

ჟურნალ „ლიტერატურული აჭარის“ რედაქცია უერთდება ამ მისალმებას და მკირფას მწერალს ჩვენი მკითხველების სახელით უხურვებს ახალ-ახალ შემოქმედებით წარმატებებს ქართული ლიტერატურის საკეთილდღეოდ.



საუბარი შვილთან

არ მომასვენა ღლითა და ღამით,
ყველაფრის ადრე გაგებას ცდილობს
და მეკითხება: — რა თვეა მამი?
მე ვეუბნები აპრილი შვილო!
— აპრილში რატომ ცოცხლდება მიწა?
კითხულობს და მთხვავს არ გაგაწბილო.
გბასუხობ: ეს თვე სიცოცხლედ იქცა —
აპრილში იშვა ლენინი შვილო!
— ლენინი? რატომ არ ვიცნობ დღემდე?
მითხარი ჩვენთან არ დადის ხშირად?
მე ვეუბნები: გაიცნობ შემდეგ,
როცა სიმართლეს შეიგრძნობ, შვილო!

ჩვენი სოფლის ქალები

ცას რომ ვარსკვლავს მოსტაცებენ,
თითებში რომ ქარები აქვთ,
„მწვანე ოქროს“ ოსტატები —
ჩვენი სოფლის ქალებია.
თავზე ჭილის ქუდები აქვთ,
გულში მზე უყვავებიათ,
ბუჩქზე ქროლვას უნდებიან,
შრომა შეუყვარებიათ.
მტრედებივით თვალნათელნი
პლანტაციებს შესევიან,
გოდრები და კალათები
მათი ხელით ივსებიან.
ოხუნჯობენ, იცინიან,
ჰქუხს სიმღერის მაჭახელა...
ეს ქალები ისინია,
ვინც სამშობლო ასახელა.



ფოთლების სიმფონია

ზიდან შეშფოთებით
წყდებიან ფოთლები,
წვებიან მიწაზე
მეწამულ ზეწრებად.
წყდებიან ფოთლები,
ღელაგენ ტოტები:
ხელახალ ძეობის
ტკივილი ეწყებათ.

* * *

წყაროს გასწია ტავანით
ლურჯთვალა გოგომ ლელამა,
ველზე იმძლავრა ყვავილმა,
ქლდეზე — ჩანჩქერის ღენამა.
დააღევიანა თვალს წყალი
ჭაბუკმა პირტიტველამა.



მეზობელი

იუჰოანესი

ახალგაზრდა კაცი ქალის წინ შეჩერდა.

— თქვენ სუსანა გქვიათ! — უთხრა ქალს.

— მე თქვენ..

— სუსანა გქვიათ ხოლმე? — ისევ ჰკითხა კაცმა. — სთქვით, ხომ კი!

— დიახ! მაგრამ მე თქვენ რომ არ გიცნობთ?

უცნობმა თვალეზში ჩახედა.

— არც მე, პირველად გხვდებით, მაგრამ ვიცი, რომ სუსანას გეძახიან..

— მაინც საიდან? — დაინტერესდა ქალი.

— ბევრი რამ არის ჩემთვის ნათელი. ისიც კი ვიცი, თქვენ გათხოვილი ხართ — ვიკავიათ ოროთახიანი ბინა თავისი ბაღით, მეუღლეს ბრუნო ჰქვია. ბავშვები არა გყავთ, ხომ მართალია?!

— ღმერთო ჩემო!..

— გუშინ სარეცხი გქონდათ და ეზოში გაფინეთ.

— ა-ა-ა!.. თქვენ განა ჩვენს მეზობლად ცხოვრობთ?

— არა, არა, — გადაჭრით იუარა ახალგაზრდამ, მერე ჯიბიდან რაღაც ქაღალდები ამოიღო და გაუწოდა.

— ამ ქაღალქში პირველად ვარ, დღეს დილით ბუქარესტიდან ჩამოვედი, ჯერ კიდევ ოთხი საათის წინ საზღვარგარეთ ვიმყოფებოდი.

— მაშ, საიდან იცით ყოველივე ეს? — დაეჭვდა ქალი.

— ეს ჩემი საიდუმლოებაა! — ღიმილით უბასუხა ვაჟმა — თქვენც მეუღლე ბატონ ფლემინგთან მუშაობს. ბატონ ფლემინგს ცოლად ჰყავს ქერათმიანი ქალი, რომელმაც გუშინ შეიძინა ახალი ქუდი და სრულებით არ უხდება.

— ესლა კი გამოვიცანი, თქვენ ქალბატონ ფლემინგს იცნობთ!

— არა, ქალბატონი ფლემინგი ჩემს სიცოცხლეში არ მინახავს, მაგ-

რამ მგონი აჯობებს ისევ თქვენზე ვისაუბროთ. რვა წელია რაც გათხოვი-
ლი ბრძანდებით, გყავთ ერთი გასათხოვარი და, რომელსაც გადაწყვეტი-
ლი აქვს ცოლად გაჰყვეს მამაკაცს, რომლის შესახებ ბევრი არაფერი იცნა
ის... სამი დღის წინათ კი დედისგან ბარათი მიიღეთ და გაიგეთ რომ ამ
კვირას ჩამოსვლას აპირებს. ხომ მართალია!

— ეს გულთმისნობაა!...

— რასაკვირველია, გულთმისანი ვარ, თუ მოისურვებთ აგიხსნით ამ
საიდუმლოებას.

— მერე? მეც შემეძლება უცნობი ადამიანის ვინაობის გაგება?

— რა თქმა უნდა, ქალბატონო!

— როგორ?

— დადებით ისევე, როგორც მე ამ ათიოდე წუთის წინ ტრამვაიში
თქვენს უკან ვიდექი და ყველაფერს გაიგებთ, რასაც ნაცნობს მოუყვებიან.

— !!!

გერმანულიდან თარგმნა ნოდარ ბასილაძემ.





კრილოვის იგავ-არაკებიდან

ვინც ვერ მოიხმარს სიცოცხლით,
 იმას რად უნდა ქონება,
 იმის ავლას და დიდებას,
 ეშმაკი ეპატრონება!

ეძაწვილების ნორჩი გულიც
 ჯერ უხმარი ჭურჭელია—
 მერალი რაბე თუ ჩაასხი,
 რომ არ დარჩეს შიგ, მნელია!

უგნური კაცი ღორსა ჰგავს;
 ჰგობს სწავლა-მეცნიერებას.
 და ვერ მიძნედარბ, რა აძლევს
 იმქვეყნად ბედნიერებას?

კაცს თუ სახელი გაუტედა,
ვერ გაიმთელებს ვერასდროს,
რა გინდა ფერიც იცვალოს
და ტანზე ტევაიც გაიძროს.



ლენინი და ოპტიმზარი გალაქტიონ ტაბიძის კოფიაში

როგორც ცნობილია გალაქტიონი ლიტერატურულ სარბიელზე რევოლუციური განწყობილებით გამოვიდა. იგი წერდა: „მე აღრევე მხურვალე მიმდევარი ვიყავი რევოლუციური იდეების, ჩემს შეგნებაში კი 1917 წელი — იყო ერთი საფეხურიდან მეორე საფეხურზე ასვლა“.

როდესაც გალაქტიონ ტაბიძის ადრეულ შემოქმედებაში რევოლუციურ იდეებზე ვლაპარაკობთ, ყურადღება უნდა მიექცეს ერთ მნიშვნელოვან ფაქტს. ვფიქრობთ, გალაქტიონის პოეზიაში რევოლუცია და საერთოდ რევოლუციური თემატიკა მჭიდროდ უკავშირდება ბრძოლისა და მოქმედების, მომავლის პერსპექტივების ხილვის იდეებს, ამ იდეის მონახაზები არის ერთ-ერთ პირველ ლექსში „შავი ღრუბელი“, რომელიც 1908 წელს ჟურნალში „ჩვენი კვალი“ დაიბეჭდა. დასაწყისში ილიასე-ბური მხატვრული საღებავებით არის გადმოცემული პოეტის სულიერი განწყობილება:

„სქელი ღრუბელი
შავი და ბნელი,
სამშობლო მხარეს გადაეფარა,
სხივთა მფენელი
მზისა ნათელი
ჩვენს სანუგეშოდ სჩანდა აღარა“¹

შემდეგ კი მზის, თავისუფლების მაძიებელი მგოსანი ოპტიმის-ტურად განჭვრეტს მომავალს:

„მაგრამ რა გაჰკრა ელვამ სივრცეზე,
მიკლავნ-მოკლავნა თვისი სხივები,

¹ ციტატები მოტანილია გ. ტაბიძის ლექსების თორმეტტომეულის აკადემიური გამოცემის მიხედვით.

ამ წიგნის
რედაქციის
გამომცემი

ბიზლერი თბილისი

(„ზევით ასწიეთ მზე, ზევით“).

„აშშ-მორდა გუბე, მაგრამ მკაცრი საათი რეკავს,
გამოიღიქეთ შურისგება არყევს ნიობას —
გადიარღვევა ნაპირები... და გადალყავს
ქველს, ახლა მაინც დაღუპვის ღირსს კაცობრიობას...“

(„გუბე“).

„არა დათმობის
გზა საზღვდარი,

არა დანდობა
და შერიგება,
არამედ ბრძოლის
გვინდა ცისკარი,
გვწყურია შებმა
და შურისგება!
უნდა გაირღვეს
ეს გარემოცვა...
ძირს მეფეები,
ყვენი, ფაშა!
მიმავალს წასვლად
გზათა დალოცვა,
მომავალს ჩვენი
მხურვალე ვაშა!“

(„ნასაკირალთან“)

ამ სტრიქონებში ნათლადაა მოცემული ჩაგრული ხალხის სამოქმედო პროგრამა და ლირიკული გმირის მეტად გაცნობიერებული პოლიტიკური მრწამსი. იგი უარყოფს მენშევიკების მიერ ფეტიშად ქცეულ ეკონომიური დათმობის ყბადაღებულ პოლიტიკას და თავისუფალი მომავლის საწინდრად რევოლუციური ბრძოლის გზას აღიარებს.

რევოლუციის თემატიკა მთელი სიმძაფრით აისახა გალაქტიონის შემოქმედებაში 1917 წლის რევოლუციის აღმავლობისას. ირ. კენჭოშვილი წერილში „რევოლუციური პეტროგრადი. გ. ტაბიძის პოეზიაში“ სამართლიანად შენიშნავს: „რევოლუციის სხვადასხვა ასპექტით გააზრებაში გ. ტაბიძე საგულისხმო მნიშვნელობას ანიჭებს რევოლუციის დანახვას ეროვნული ასპექტით“¹. ლექსში „როგორ ებრძოდა ზარებს ზარები“ ლირიკული გმირი სევდით მოცული და აღელვებულია. მართალია, მოხდა ოქტომბრის სოციალისტური რევოლუცია, ბრძოლაში გაიმარჯვა ტანჯულმა ხალხმა, მაგრამ პოეტის ლირიკული „მე“ მაინც დაუკმაყოფილებელია:


„მე ისევ მიყვარს დაღლილთა ცრემლი
და ბრძოლა, ბრძოლა მოუსვენარი,
ქარიშხლიანი მეზი და ელვა,
რისხვით მრისხანე ტალღებთან შებმა,
ყელამდე მისულ ვარდების გროვა
და დამსხვრეული სწორი კენარი“...

პოეტის მებრძოლი სული ვერ დაუოკებია საქართველოში გამეფებულ ატმოსფეროს, მას მენშევიკების ხანის საქართველო წარმოდგენი-

1. ქართული საბჭოთა მწერლობის საკითხები, თბ., 1967, გვ. 119.

ლი ჰყავს „ბნელ სარდაფად“, სადაც ჯერ კიდევ ვერ შეუღწევია
ჩრდი სინათლის სხივებს, რომელიც მოგვიანებით აელვარდა.

„მე ვალმოხდილი ისევე ველი,
როგორ მოჰყვება ავდარს, ავდარი.
ეს მე ვარ, მე ვარ, ეს მე ვარ. ქარი,
ვისვენებ ახლა, ვოცნებობ მზეზე,
ერთმევა ფერი ყვითელ არეებს
და მოკლული ვარ, როგორც აფთარი“.



მგოსანი წლების განმავლობაში მხურვალედ შეჰხაროდა რევოლუ-
ციის დროშებს.

ქართველი ხალხის გმირული ბრძოლა აღბეჭდილია ეროვნული სა-
უნჯის ფოლიანტებში; ქართველმა გმირებმა კეთილშობილი გრძნობით
გააბრწყინეს „ელვარე თასი“ და დიადი სტრიქონები ჩასწერეს ჩვენი
დროის მატრიანეში, თავისუფლებისაკენ მსრბოლი, გმირული ცეცხლით
ანთებული პოეტი მიმართავს მეგობრებს:

„ო, როგორ მინდა, მეგობრებო, თუნდაც ერთი დღით
ჩვენთვისაც იყოს უმაღლესი თავისუფლება.
ო, როგორ მინდა უფრო მძაფრად გავშალო ფრთები.
განა არ არის საშინელი საცოდაობა,
ისეთ ჭეყანას — როგორც ჩვენი საქართველოა —
რევოლუცია არ აძლევდეს სიმშვენიერს?
ვულკანიური ორკესტრით უნდა ისმოდეს
გრძნობათა ჩვენთა და ოცნებათ ძლიერი ჭნარი“.

(„წერილი მეგობრისადმი“)

გ. ტაბიძის დამოკიდებულება მეფის რუსეთისადმი კარგად ჩანს
ლექსიდან „ართობდა ხალხის მწუხარება“, რომელიც დაწერილია 1917
წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ.

პოეტი რამდენიმე სტრიქონით რეალისტურად ახასიათებს ნიკო-
ლოზ მეორის სისხლიან პოლიტიკასა და სულიერ სიღარიბეს. ლირიკული
გმირი, ესალმება რა ტახტის დაცემას, მოუწოდებს ხალხს თავისუფ-
ლების აღორძინებისაკენ:

„ამხანაგებო! განახლების ზარმა დარეკა,
ტახტი დაეცა და იმედად ქაოსზე დგება:
თანასწორობა, რესპუბლიკა, თავისუფლება!“

„თანასწორობა, რესპუბლიკა და თავისუფლება“ მხოლოდ და მხო-
ლოდ რევოლუციური ბრძოლით მოიპოვება; ამიტომ მოუხმობდა პოეტი

ასე მხურვალედ დროშებს, რომლებიც თებერვლის რევოლუციის სუს-
ტიან დღეებში ელვარებდა და თავისუფლების გზას ალისფრად ანათებდა.

„გათენდა. ცეცხლის მზე აენთო, აცურდა...“

ეროვნული
გმობიერება

დროშები ჩქარა!
თავისუფლება სულს ისე მოსწყურდა,

ვით დაჭრილ ირმების გუნდს — წყარო ანკარა...

(„დროშები ჩქარა“)

პოეტი დიდების შარავანდედით მოსავს იმ გმირთა სახელებს, რომ-
ლებმაც თავი გასწირეს ხალხისათვის, სამშობლოსათვის, რევოლუცი-
ისათვის და მათ უკვდავებას წინასწარმეტყველებს:

რევოლუცია სინათლეა თავისუფლების მზით გაბრწყინებული. მას
იცავს მშრომელი ხალხი, ჩაგრული ადამიანები, რომლებიც დროშის გარ-
შემო დარაზმულნი უდრეკი ნებისყოფით იბრძვიან მომავალი ბედნი-
ერებისათვის:

„დიდება, ვინც კიდევ გვაბრძოლებს იმედით,

ვინც მედგრად დახვდება მტრის რისხვა-მუქარას!...

გათენდა! შეერთდით შეერთდით, შეერთდით!

დროშები დროშები... დროშები ჩქარა!

(„დროშები ჩქარა“).

ამ ლექსში ხალხის გმირობასთან ერთად გალაქტიონი უმღერის იმ
დიად ძალას „ვინც კიდევ გვაბრძოლებს იმედით“ ე. ი. დამარაზმველ ძა-
ლას—უძლეველ პარტიას, რომელსაც ხალხი მიჰყავს საბოლოო გამარჯვე-
ბამდე.

გალაქტიონ ტაბიძე პირველი ქართველი პოეტია, რომელმაც თავი-
სუფლება, რევოლუცია და ხალხის ბედნიერება ვ. ი. ლენინის სახელს
დაუკავშირა. რუსეთში — მოსკოვსა და პეტერბურგში ძალუმად განიცადა
პოეტმა რევოლუციის ძლევამოსილი გავლენა. საქართველოში დაბრუ-
ნებული გათვითცნობიერებული „გემი დალანდის“ ლირიკული გმირი
გულწრფელად აღიარებს:

„გახსენებების მომახოდა მტანჯველი ლანდი:

შენ და მოსკოვი, პეტროგრადი, ლენინი, კრემლი!

შავი ზღვის ზვირთებს მიაპობდა გემი „დალანდი“

და თვალზე მადგა განზორების მსუბუქი ცრემლი“.

ლექსი „გემი დალანდი“ 1918 წელსაა დაწერილი, როდესაც საქარ-
თველოში ჯერ კიდევ მენშევიკთა ლიბერალური პარტიები ბატონობენ,
ქართველი ხალხი კვლავ უუფლებო, დამონაგებული, თავისუფლების
მზეს მოკლებულია. ის პერიოდია, როცა თვითმპყრობელობის ნაძირა-
ლები ძირგამომთხრელ მუშაობას ეწევიან რუსეთსა და მის განაპირა
ქვეყნებში. სწორედ ამ წელს, გალაქტიონი მხურვალედ მიესალმა რევო-

ლუციის დროშებს. მტკიცედ დადგა მშრომელი ხალხის მზარეულ და განუხრელად იბრძვის საქართველოს თავისუფლებისათვის. განიხილავს რამოვლენებს, გ. ტაბიძე აღიარებს, რომ იგი არასოდეს ყოფილა მტკიცე სი პოეტური მუზა ყოველთვის ორიგინალური გზით ვიდოდა და ემორჩილებოდა მხოლოდ საკუთარ რწმენას. ეს რწმენა იყო იდეა სამშობლოს დაცვისა, ქართველი ხალხის ეროვნული დამოუკიდებლობის შენარჩუნებისა, რწმენა, რომელიც თავიდანვე მართებულად დაუყავშირდა დიდებულ რევოლუციურ აღმავლობას, მებრძოლ ხალხს, მის ბელადს — ლენინს!

„ერთხელ, ღამით, ცეცხლის აღზე
მივდიოდით ტოლნი,
მივდიოდით და პა, თვალწინ
აღიმართა სმოლნი!
სმოლნი, სმოლნი! აჰ — იმ დროის
მახვილი და ბრძმედი —
ჰქუხდა რწმენით მსოფლიოის
ერთი მეექვსედი.
ის, ტიტანი, ვინ სთქვა სახლად,
მრავალ ღამენათევს
სწევს იდეა მაღლა-მაღლა,
ზრუნვა ტვირთად ადევს...
და, როდესაც თვალს აცეცებს
ლულა ტყვიამფრქვევის,
გუშავის ხმას — თქვენ ვის ეძებთ?
ვუპასუხე: — ლენინს!“

ლენინის სახე გალაქტიონის პოეტური მუზის შთაგონებაა, რადგან ლენინი და თავისუფლება განუყრელია, ხოლო გალაქტიონი თავისუფლების ტრუბადურია. რევოლუციის ბელადი დიდების შარავანდედით არის მოსილი ლექსებში „ლენინს“ და „ლენინი“. ლექსი „ლენინს“ პოპულარული ნაწარმოებია, იგი წლების განმავლობაში ისწავლება საშუალო სკოლაში და მოზარდ თაობას ზრდის კომუნისტური სულისკვეთებით. ამ პატარა ლექსში შესანიშნავად არის გადმოცემული კაცობრიობის ბელადის დიადი საქმე.

„მოწოდება ლენინის,
ალი ცეცხლთა ნათების,
დიდი ცხრაას ჩვიდმეტი—
წელი ბარიკადების,
ცეცხლი რევოლუციის
მსოფლიოზე მთოვარი,
ქვეყნად უღიადესი
არის მონაპოვარი!“

ხოლო ლექსი „ლენინი“ წარმოადგენს საყოველთაო სევდას, რაც
კაცობრიობის გენიოსი ბელადის ლენინის გარდაცვალებამ გამოიწვია.

„მღელვარება ღრღნის ქალაქის ქალას:

ჩაფარდნილ თვალებს და ღია ბალებს.

უძრავ ლენინით მრისხანე ძალას

სძრავენ ზოდები —

დახურულ კარებს გრიგალი აღებს....

მახსოვს იმ დღეთა ტოლნი და სწორნი...

შფოთავს, საოცრად შფოთავს ვოლტორნი

და ფავოტები.

ეროვნული
გმობიერება

„სამი მძაფრი რევოლუციის“ ბელადი ლენინი იმსხვერპლა „ბორო-
ტმა ტყვიამ“. დამწუხრდა პროლეტარიატი. — უზარმაზარი არმია ჩაგ-
რული ერებისა, რომლებსაც ლენინმა მისცა „მარადი სიბოძე“, მოუტანა
სანუკვარი ბედნიერება და მსოფლიო არენაზე ააგუგუნა რევოლუ-
ციის ცეცხლი.

საქართველოში საბჭოთა ხალისუფლების დამყარების შემდეგ გ.
ტაბიძის პოეზია მთლიანად რევოლუციური სულით განიმსჭვალა. მის
შემოქმედებაში ტკბილ პანგებად დაიღვარა ოქტომბრის ჰიმნი. რევო-
ლუციის ცნება გალაქტიონის მსოფლგაგებაში კვლავ მოქმედების, ახლის
დამკვიდრებისათვის, რუტინასთან ბრძოლის სინონიმით განიხილება.

ერთ-ერთი ვრცელი ნაწარმოები, რომელშიაც სრულყოფილად
მოცემული რევოლუციის მნიშვნელობა არის პოემა „ჯონ რიდი“, რო-
გორც ქართველი კრიტიკოსები მიუთითებენ, „ჯონ რიდი“ ახალი ტიპის
პოემაა, რომლის ფუძემდებლად საქართველოში ტაბიძე ითვლება. ამ
ნაწარმოების შესახებ არც თუ ბევრი დაწერილა, იგი ჯერ კიდევ სათანა-
დოდ არ არის გაანალიზებული. შეიძლება „ჯონ რიდი“ მხატვრული მნი-
შვნელობით ვერ დგას პოეტის ლირიკულ ქმნილების დონეზე. მაგრამ ამ
პოემით გალაქტიონ ტაბიძე გვევლინება როგორც დიდი პოეტი-
კობი, რომელიც დიდების შარავანდედით მოსავს ოქტომბრის სო-
ციალისტური რევოლუციის მსვლელობას და რეალისტური ფერებით
წარმოადგენს იმ ეკონომიურ-პოლიტიკურ ვითარებას, რაც ხსენებული
ეპოქისათვის იყო დამახასიათებელი. გალაქტიონი მოვლენებს აღწერს
ფხიზელი რეალისტის თვალთ, როგორც შესანიშნავი ისტორიკოსი-
მემატიანე. პოემის დასაწყისში მგოსანი ალაქმევიანებს მკითხველს მეფის
რუსეთის მოხელეების აღვირახსნილობას:

„ბავშვები ჰყიდდნენ პაპიროსებს.

ზოგი, მათგანი ცინიკურად გაიძახოდა:

„რასპუტინის“ პაპიროსები!

რალაც არაჩვეულებრივი
სიგრძისა და ზომის პაპიროსები
წიგნები გრიგოლ რასპუტინის
შესახებ“:



პოემის ყოველ სტრიქონსა და ცალკეულ ფრაზაში სხვადასხვა ასპექტითაა წარმოდგენილი მნიშვნელოვანი ისტორიული მოვლენები, რომლებიც ახასიათებენ ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მგზნებარე პერიოდს, გ. ტაბიძე გულწრფელად აღწერს რევოლუციის მიმდინარეობას. რევოლუციამდელ რუსეთში საერთო არეულობა, აგრარული, ჩამორჩენილი სახელმწიფო დაშლისა და რღვევის პირას დგას; არსად არის პური, ფქვილი, არც შაქარი, ხალხი შიმშილობს:

„სანატრი გახდა
ცხენის ხორცისთვის
რიგებში დგომა“

პოეტს შესწევს ძალა შეარჩიოს სიტყვები, ფრაზები, რომლებიც ზედმიწევნით ზუსტად ახასიათებს ჩიხში მომწყვდეულ მეფის რუსეთის ნამდვილ სახეს:

„რუსეთი იმ ღამეს ეგეთი,
როგორც ხის კუნძი, ჭირკი,
ტყეში, —
რომელსაც სცემდნენ ნაჯახს
ცეცხლის ფურცლები და ფოთლები
წიგნებივით ეყარა ველად.
და გარს ეხვია ღველფი
ყვითელ ზავსივით“.

მაგრამ შეფოთავს რუსეთი, ხალხი ემზადება რევოლუციისათვის. სოციალისტური რევოლუციის წინაღუდს პოეტი „განთიადს“ უწოდებს. მისი აზრით, რევოლუცია ერთადერთი სწორი გზაა თავისუფლებისა-კენ, პროგრესისაკენ.

„აქ არის ერთი მძლავრი ბეჭედი
რევოლუციის,
ამ ბეჭდით თუ გინდა
მსოფლიო შეშედე“.

მონობამ უზარმაზარი ბოქლომი დაადო რუსეთს, მაგრამ გასაღები იპოვა ხალხმა, — რევოლუციის ცეცხლით ანთებულმა ადამიანებმა:

„ხალხმა ამოიღო კვესი,
მონახა აბედი,
გაჰკრა კვესს“.

რევოლუციის ბოხოქარმა იდეებმა შესძრა ქვეყანა. მას გამოეხმა-ურა პროგრესიული კაცობრიობა. რევოლუციის სადარაჯოზე გალაქ-ტიონიც მათთან ერთადაა ბრძოლის ფერხულში ჩაბმული.

„პეტერბურგია,
„ათი დღე,
რამაც შესძრა კაცობრიობა“
განვლილია.
მაგრამ ჯერ ისევ ჩანს
უზარმაზარი
პლაკატი:
„მთელი ძალაუფლება
დამფუძნებელ კრებას“.
ო, რა თქმა უნდა,
მე არ მგლოდნენ,
როცა სისწრაფით
ვეშურებოდი საქართველოდან.
იგი წამოვიდა
ნიუიორკიდან —
ნამდვილი ჯონი!
ჩვენ შევხვდით —
როცა იგრძნეს ბორკილი --
და ნგრევის დრონი
როცა მასები
გადავარდნენ
მწარე ბრძოლაში,
ჩვენ ერთად ვიყავით
აშენებდნენ ბარიკადებს
ჩვენ ერთად ვიყავით“.

გალაქტიონის პოემის „ჯონ რიდის“ იდეა ნათელია. იგი პოეტის პოლიტიკური მწამის მნიშვნელოვანი ნაწარმოებია.


1924 წლის ახლო ხანებში დაიწერა გალაქტიონ ტაბიძის რევოლუციური ლექსები: „რევოლუციონერის სსოვნას“, „მღვრიე ქარი“, „ქარი ამწევი ფარდის“, „პროლოგი 100 ლექსის“, „ურიცხვ დროშებში“, „კოსმოსური ორკესტრი“, „ქალაქი წყალქვეშ“ და სხვა მრავალი, რომლებშიც გუგუნიებს ცხოვრების დამკვიდრებისათვის მებრძოლის მძლავრი ხმა.

პოეტი ომახიანად მოუწოდებს ქართველ კოლეგებს:

„დავღვთ იქ, სადაც ქარიშხალია
და სისხლიანი დგას ანგელოსი,
ახალ გრივალეს ვწირავთ სიცოცხლეს
ჩვენ, პოეტები საქართველოსი“.

რევოლუციამ ახალი სული შთაბერა ცხოვრებას. ირგვლივ სიცოცხლე და დიადი რწმენაა. საბჭოთა ეპოქამ ხალხი აღაფრთოვანა, მოსპო უიმედობა და სასოწარკვეთა. საერთო იმედებმა, მეგობრობის რწმენამ მოიცვა მასები.

ახლის დამკვიდრებისათვის ბრძოლაში პოეტს დიდი პასუხისმგებლობა დაეკისრა:



„პოეტი, ახლა გამდგარი განზე,
დროგადასული და მოხუცია,
უნდა შეერთო მასობრივ ტალღებს.
ამიტომ ხდება რევოლუცია“.

გალაქტიონი ჩადგა სოციალიზმის მშენებელთა მეზობელ რიგებში და საზოგადოებას მოევლინა, როგორც პოეტი-ტრიბუნი, რომელმაც შთააგონებდა ადამიანებს მომავალი ბედნიერებისათვის ბრძოლას.

„ხომ ყველაფერი
შექმნილია მხოლოდ მიწისთვის,
ვერც ერთს ვერ ფარავს
დავიწყების მტვერი და ჟანგი,
შენმა სიმღერამ
შეაერთა ორი სიმღერა,
რომ ძირითადად
დარჩეს მიწის მქუხარე ჩანგი“
(„ორი სიმღერა“)

„მიწის მქუხარე ჩანგი“ ყოველთვის იყო გალაქტიონის იდეალი: ამ იდეალის განხორციელებისათვის ბრძოლაში გამოიწროთ პოეტის სული.

რევოლუციის მონაპოვარი გაზაფხულისა და დიადი შრომის დასაბამია, რომელმაც ქვეყნად დამკვიდრა სიცოცხლე, ღიმილი და განახლებისაკენ მჩქეფარე ლტოლვა.

ეს გაზაფხული სიახლის ძალით.
მედგრად შეტევით გააღრვევს საკანს.
შემომქმედ შრომის თრთოლვა-კანკალით
არხებს ახალი სიცოცხლის აკვანს.
გაცოცხლებულა ირგვლივ ყოველი,
მფეთქავი ძალა არეს ჰფენია,
სულ რომ არ იყო ქვეყნად ღიმილი,
შეხედე ახლა რაოდენია!
ჩქეფარე წყაროს, ამოყრილ ხეებს.
ჩვენს განახლებას ეუბნება ბანს
გაზაფხულს მიჰყავს ეს მზიური დღე
და არხებს ახალ სიცოცხლის აკვანს“.
(„არხებს ახალი სიცოცხლის აკვანს“)

ტაბიძე ყოველთვის მტკიცედ იდგა საბჭოთა ნიადაგზე და დიდებულ საგალობელს უმღეროდა ოქტომბრის. სოციალისტურ რევოლუციისა და მის ორგანიზატორს დიდ ლენინს. მრავლისმეტყველია ოპტიმისტური გზნება ამ სტრიქონებისა:

„ჩვენს მაღალ დროშას ვერავენ დახრის —
იგი მიუძღვის ოქტომბრის ხანას.

დაღლილ მხარე,
ჩვენ გავიმარჯვებთ ერთ მიეჭესდზე
გაწილ ოქტომბერს შევძახებთ ვაშას!
დაჰკა სასახლეს, დაჰკა სასახლეს,
ჰეი, დაჰკარი!
გადმონგრეე ძველი ლოდები
ნიადაგარი!
ახალს ააგებს მშრომელებისთვის
მკლავი მაგარი...
დაჰკა, სასახლეს! დაჰკა, სასახლეს!
ჰეი, დაჰკარი!
მშრომელი კლასი ლენინის დროში
მთელ მსოფლიოში,
მთელ მსოფლიოში დაირაზმება
ლენინის დროში!“

ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ ახალი ერა დაიწყო კაცობრიობის ისტორიაში — საბოლოოდ გათავისუფლდა ადამიანი მონოპოლისაგან, საბჭოთა ადამიანი მოქმედების ფერხულში ჩაება და შრომის სიმღერა წამოიწყო:

„კარგია შრომით ნთებული
ქურების ცეცხლთან სახება
და შემდეგ გამარჯვებული
სიმღერის შემოძახება!“

დაიწყო სოციალისტური ქვეყნების მშენებლობა. ძნელ ვითარებაში უხდებოდა ახლად გათავისუფლებულ ჩაგრულ მასებს ცხოვრება. შიმშილი და სიღატაკე იყო რევოლუციამდელ საქართველოს ხვედრი. ეს ყოველივე შეიგნო ახალმა ადამიანმა. მშრომელთა ლაშქარი დაიძრა სოფლებისაკენ:

„სოფელშიაც ვთესოთ
გაზაფხულის თესლი!
დე, ბობოლას კლავდეს
სიყვითლე და გესლი.
დარჩეს ოხრად ყანა
ერგოს ხრამი ეზოდ,
ჩვენ კი თავდადებით
ვთესოთ, ვთესოთ, ვთესოთ!“

პოეტის გულწრფელმა სიტყვებმა ნაყოფი გამოიღეს. ხალხმა მძლავრად ააგუგუნა შრომის პიმნი.

რევოლუცია იყო სტიქია, რომელმაც ახალი საქართველოს მშენებლობის გზაზე დაანგრია ყოველივე ძველი, დრომოჭმული და დაუნდობ-

ლად გაანადგურა მტრები, და მოუწოდა მშრომელ გლეხობას მტრებს დაადგეს განახლების გზას:

„იგი დაეძებს შესაძლებლობას
რომ მწარე დროის უარყოფელი
მტკიცედ დაადგეს განახლების გზას
ჩვენი ქალაქი, ჩვენი სოფელი!“
(„რევოლუცია არის გრიგალი“)

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ოქტომბრის სიმფონიის ექო გუგუნებს ახალი საქართველოს მინ-
დვრებსა და ველებში, ქარხნებსა და ფაბრიკებში.

„რევოლუციონერ საქართველოს,
ნახტომს უდიდესს, უზარმაზარს, განსაცვიფრებელს —
რევოლუციურს, ჯერ არ ნახულს, ჯერ არგავონილს.
ვაშა, ამ ახალ საქართველოს, ვაშა, შენებას!

(„რევოლუციურ საქართველოს“)

ოქტომბრის რევოლუციას და ხალხთა ბელადს ვლადიმერ ილიას-
ძე ლენინს დიდი და საპატიო ადგილი უჭირავს გალაქტიონ ტაბიძის შე-
მოქმედებაში. დიდი მგოსანი მთელი გულით უმდეროდა ქვეყნის განახ-
ლებას. იგი პირველი ქართველი პოეტი იყო, რომელმაც აღიარა ლენინი
და ოქტომბერი და ლენინს ქვეყნის გარდამქმნელი დიდი სინათლე
უწოდა.



ლენინის უახლოესი მეგობარი

შესრულდა კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს გამოჩენილი მოღვაწის, ვ. ი. ლენინის მეგობრისა და უახლოესი თანამებრძოლის ნ. კ. კრუპსკაიას დაბადების 100 წელი.

დიდა ნ. კ. კრუპსკაიას პედაგოგიურ-ლიტერატურული მემკვიდრეობა. მან დიდი ამაგი დასდო საბჭოთა სკოლისა და მარქსისტულ-ლენინური პედაგოგიკის შექმნა-ჩამოყალიბების საქმეს და ღირსეულად დაიმკვიდრა საბჭოთა პედაგოგიკის კლასიკოსის საპატიო სახელი. არ დარჩენილა მოზარდი თაობის კომუნისტური აღზრდის არცერთი მნიშვნელოვანი საკითხი, რომელზეც ნადეჟდა კრუპსკაიას არ გამოეთქვას თავისი აზრი.

ნადეჟდა კრუპსკაიას დაბადების 60 წლისთავთან დაკავშირებით, 1929 წელს, რსფსრ განათლების კომისარი ა. ლუნაჩარსკი წერდა:

...ნადეჟდა კონსტანტინეს ასული ძველი გვარდიის ბოლშევიკის საუკეთესო ნიმუშია. იგი ჩვენი პარტიის მთელ ისტორიასთან არის დაკავშირებული. იგი იყო ილიჩის უბადლო თანაშემწე მის თანდათან მზარდ ბუმბერაზულ მუშაობაში: თავიდანვე და პეტერბურგის პერიოდშიც, ვადასახლების დროსაც, ემიგრაციაში ცხრაას ზუთ წლამდე, რევოლუციურ ბრძოლაშიც, პირველი რევოლუციის დღეებშიც, ახალ ემიგრაციაში, მეორე ძღვევამოსილ პროლეტარულ რევოლუციაშიც, შემდგომ სახელმწიფო და საზოგადო მშენებლობაშიც... მაგრამ ნადეჟდა კონსტანტინეს ასული-სადმი მასების სიმბათიაში უკანასკნელ როლს როდი ასრულებს მისი მუშაობა განსახკომში... უნდა ვაღიაროთ, რომ ნ. კ. კრუპსკაიას როლი განსახკომის გზაზე უზარმაზარია...!

ნ. კ. კრუპსკაიას ჰქონდა ფართო და ღრმა განათლება, საფუძვლიანად იცოდა ფილოსოფია, სოციოლოგია, პოლიტიკური ეკონომია, მისი სახელი თავიდანვე ცნობილი იყო აჭარის პედაგოგიური საზოგადოებისათვის. აჭარის მასწავლებლობა გულდასმით ეცნობოდა და სწავლობდა ნადეჟდა კრუპსკაიას სტატიებსა და შრომებს. საბჭოთა სკოლის ამოცანების, მუშაობის შინაარსის, ორგანიზაციის და მეთოდების შესახებ

1. უერალი „ახალი სკოლისაკენ“, 1929 წ., № 6, გვ. 350.

იგი განსაკუთრებულ გულისხმიერებას იჩენდა ისეთი საკითხების მიმართ, როგორიცაა სკოლამდელი დაწესებულებანი, ქალი და განათლება, პიონერული ორგანიზაციების მუშაობა, საყოველთაო სავალდებულო სამსახურ-ვლება, ზოგადი და პროფესიული განათლება.

ნადეჟდა კრუპსკაიას სახელი მჭიდროდაა დაკავშირებული ბათუმის ქალთა პედაგოგიური ტექნიკუმის ისტორიასთან.

მისი დაბადების 65 წლისთავის აღნიშვნასთან დაკავშირებით აჭარელ ქალთა პედტექნიკუმს მოსწავლეთა მოთხოვნით კრუპსკაიას სახელი ეწოდა.

ეს შემთხვევითი არ იყო. ტექნიკუმის აღსაზრდელები კარგად იცნობდნენ მის ცხოვრებასა და მოღვაწეობას. აჭარელ გოგონებს, რომლებიც გულდასმით ეცნობოდნენ რევოლუციონერი ქალების მოღვაწეობას, კრუპსკაიას შესახებ ბევრი რამ გაეგონათ ოუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელ ანა ლუარსაბის ასულ მეძმარიაშვილ-ქავთარაძისაგან, რომელიც კრუპსკაიას კარგად იცნობდა.

1934 წლის 8 მარტს ქალთა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილ საზეიმო სხდომაზე გამოცხადდა ცნობა ტექნიკუმისათვის კრუპსკაიას სახელის მიკუთვნების შესახებ. აღფრთოვანებულმა გოგონებმა ამის შესახებ კრუპსკაიას გაუგზავნეს წერილი კრუპსკაიამ პასუხი არ დაუგვიანა, იგი წერდა: „მოხარული ვარ, რომ აჭარელი ქალიშვილებისათვის გახსნილია პედაგოგიური ტექნიკუმი, რომელიც მოამზადებს ახალგაზრდებს, ახალი თაობის კომუნისტურად აღმზრდელებს... მოხარული ვარ აგრეთვე, რომ თქვენი მასწავლებელი ჩემს სახელს ატარებს.

ჩემო ქალიშვილებო, გისურვებთ წარმატებებს სწავლაში, შრომასა და პირად ცხოვრებაში. თქვენი ნადეჟდა კრუპსკაია!“.

ამ წერილმა დიდი სიხარული გამოიწვია ტექნიკუმის მასწავლებლებსა და მოსწავლეებს შორის. ტექნიკუმში მაღალ დონეზე იდგა ცალკეული საგნების სწავლების საქმე. ღრმა თეორიულ ცოდნასთან ერთად აღსაზრდელებს უმუშავდებოდათ პრაქტიკული ჩვევები, უვითარდებოდათ კლასგარეშე მუშაობის უნარი. იზრდებოდნენ იდეურად საიმედო და მტკიცე ნებისყოფის მოქალაქეებად.

ტექნიკუმის აღმზრდელებს არ გამოჰპარვიათ 1935 წლის თებერვალში გამოქვეყნებული ნ. კ. კრუპსკაიას „წერილი პიონერებს“. წერილში ნ. კ. კრუპსკაია მისთვის ჩვეული უბრალოებითა და გულწრფელობით ბავშვებს ესაუბრება მეტად სერიოზულ საკითხებზე — უმცროს და-ძმებზე, სკოლამდელებზე, უმცროსი კლასების მოსწავლეებზე პიონერული მზრუნველობის შესახებ.

ნ. კ. კრუპსკაია წერდა: „ჩვენში შემოდებულია საყოველთაო-სავს-
ლდებულო სწავლება და პიონერებმა წესიერად უნდა იარონ სკოლაში.
დაამზადონ გაკვეთილები, ბევრი იკითხონ. პიონერები საზოგადოებრივი
მუშაეები არიან, მათ უნდა შეასრულონ თავისი ორგანიზაციის მუშაე-
ლებანი, აწარმოონ საზოგადოებრივი მუშაობა... მაგრამ პიონერებს არ უნ-
დათ, რომ ისინი რაღაც აზიზად გაზრდილები, უქნარები, ბატონკაცები
გამოვიდნენ და არც გამოვლენ. და ისინი უარს არ იტყვიან უმცროსი ძმე-
ბისა და დებისათვის ზრუნვაზე, ამ მხრივ დაეხმარებიან მშობლებს, რი-
თაც შეუძლიათ, მაგრამ როგორ და რით დაეხმარონ, ეს ყოველი ცალკე
შემთხვევისათვის ცალკე უნდა გადაწყდეს, რას ფიქრობთ თქვენ ამის შე-
სახებ ბავშვებო!..

...ვისურვებდი ჯერ თქვენ გაგეხილათ ჩემი ეს წერილი და მოგეწერათ
ჩემთვის თქვენი აზრი“.

მახსოვს, რა ყურადღებით წავიკითხეთ ეს სტატია და რა დიდი სიყ-
ვარულით მივწერეთ წერილი. ეს იყო 1935 წლის 18 თებერვალს. ჩვენ
ვწერდით: „ჩვენ, აჭარელი გოგონები, დიდი ენთუზიაზმით შევეუდქით
სწავლას, ტექნიკუმში 100 გოგონაა, მათ შორის 45 პიონერია. ჩვენ დავა-
მუშავეთ თქვენი წერილი „იზრუნეთ უმცროს და-ძმებზე“. პიონერები
ვიბრძვით სწავლის მაღალი ხარისხისათვის. ჩვენს შორის ბევრია ნამდვი-
ლი დამკვრელი, რომელთაც აქვთ ფრიადები.

დამკვრელი პიონერები ვეხმარებით ჩამორჩენილ ამხანაგებს, ვსწავ-
ლობთ კულტურულ დასვენებას. არდადეგების დროს, როცა შინ ვბრუნ-
დებით, ჩვენს კულტურულ ჩვევებს ვნერგავთ შინ სოფლის ოჯახურ გა-
რემოშიც...

თქვენ ჩვენი სიამაყე ხართ, ნადეჟდა კონსტანტინეს ასულო! ჩვენ
ვსწავლობთ თქვენს ცხოვრებასა და მოღვაწეობას. დიდი სიყვარულით
ვსწავლობთ ბავშვთა დიდი მეგობრის ლენინის ცხოვრებას“.

მალე აჭარელ ქალთა პედტექნიკუმის მოსწავლეებმა კრუპსკაიასაგან
მიიღეს შემდეგი წერილი... „ძვირფასო გოგონებო,—სწერდა იგი — მივი-
ღე თქვენი წერილი, დიდად გმადლობთ. მიხარია, რომ თქვენი საქმე კარ-
გად ეწყობა და თქვენ შეგნებულ ადამიანებად იზრდებით, დიდ ყურადღე-
ბას აქცევთ პატარებს. მიიღეთ ჩემი მხურვალე სალაში, ვისურვებთ წარ-
მატებებს მუშაობაში“.


ამ წერილმა დიდი აღტაცება გამოიწვია, გოგონები დიდ მუყაითობას
იჩენდნენ როგორც სწავლაში, ისე შრომაში.

აჭარაში აჭარელ ქალთა მასწავლებლებად მუშაობას უაღრესად დი-
დი კულტურული და პოლიტიკური მნიშვნელობა ჰქონდა. შორს დარჩა-
ხადრი და უსიხარულო წარსული.

ასე დაუკავშირდა ნ. კ. კრუპსკაიას სახელი აჭარელ ქალებს, მასწავ-
ლებლების მომზადებისა და საზოგადოებრივი მოღვაწეობის ასპარეზზე
პირველად გამოსვლას.

ნადეჟდა კრუპსკაიას სახელობის პედაგოგიური ტექნიკუმის კურსდამ-
თავრებულებს გამოჰყვით სწავლისადმი დიდი სიყვარული, საქმისადმი
ერთგულება და მიზნის სიცხადე. ბევრი ცნობილი მასწავლებელი, მეცნიე-
რი მუშაკი, საბჭოთა და პარტიული მუშაკი ნ. კ. კრუპსკაიას სახელობის
ტექნიკუმის კურსდამთავრებულია.

მშრომელთა მომავალი თაობები არასოდეს დაივიწყებენ ამ დიდ საბ-
ჭოთა პედაგოგს, რომელიც მთელი მსოფლიოს უსაყვარლესი ადამიანის
დიდი ლენინის ახლო მეგობარი და თანამებრძოლი იყო, მან დაგვიტოვა
მდიდარი პედაგოგიური მემკვიდრეობა, რაც მოცემულია მისი პედაგოგი-
ური თხზულებების მრავალ ტომში.



საქართველოს
განათლების
მინისტროს
განკარგვის
სამსახური



3. სპეციზაჩი

ქმედისა და მემოზროვის გჳით

საბჭოთა კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის ხალხებმა ზეიმიტ აღნიშნეს მეგობრობის, ურთიერთდახმარებისა და ძმური თანამშრომლობის 25 წლისთავი.

ჰიტლერელი დამპყრობლების წინააღმდეგ ბრძოლაში ერთად დაღვრილმა სისხლმა კიდევ უფრო განამტკიცა საბჭოთა კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის ხალხების მეგობრობა.

ჯერ კიდევ 1942 წლის თებერვალში საბჭოთა კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის შორის მიღწეული იქნა შეთანხმება ჰიტლერული გერმანიის წინააღმდეგ ერთად ბრძოლის შესახებ. ეს შეთანხმება საბჭოთა დიპლომატიის დიდი გამარჯვება იყო. ჯერ ერთი, ფაშისტო დიპლომატები ყველაფერს აკეთებდნენ იმისათვის, რომ მიეღწიათ საბჭოთა კავშირის სრული იზოლაციისათვის. ემიგრანტული მთავრობები ხელოვნურად ქმნიდნენ სიძნელებს საბჭოთა კავშირთან მოლაპარაკებისას, კერძოდ,

ჩეხოსლოვაკიის ემიგრანტული მთავრობა, რომელიც ლონდონში იმყოფებოდა, ყოველნაირად აკიანურებდა საბჭოთა კავშირთან ურთიერთდახმარების ხელშეკრულების დადებას. ასეთ პირობებში 1942 წლის თებერვლის შეთანხმებას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ორივე ქვეყნისათვის. სწორედ ამ შეთანხმების საფუძველზე დაიწყო ჩეხოსლოვაკიის სამხედრო ნაწილების შექმნა სსრ კავშირის ტერიტორიაზე. მან პირველი საბრძოლო ნათლობა მიიღო 1943 წლის მარტში ხარკოვის მახლობლად. ამავე დროს, თვით ჩეხოსლოვაკიაში, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით პატრიოტული მოძრაობა აზვირთდა.

ჩეხოსლოვაკიის ემიგრანტულმა მთავრობამ იმის შიშით, რომ სსრ კავშირთან შეთანხმების გაკიანურების პოლიტიკას ხალხის თვალში ნდობა და ავტორიტეტი არ დაეკარგა, გადაწყვიტა ურთიერთდახმარების ხელშეკრულება დაედო საბჭოთა კავშირთან. 1943

წლის ოქტომბერში მოსკოვში მიმდინარეობდა სამი დიდი სახელმწიფოს საგარეო საქმეთა მინისტრების კონფერენცია. ამ კონფერენციაზე სსრ კავშირის დელეგაციამ სთხოვა ინგლისის მთავრობის წარმომადგენლებს, რათა ხელი არ შეეშალათ ჩეხოსლოვაკიის ემიგრანტული მთავრობისათვის, რომ გამოეგზავნა მოსკოვში მისი წარმომადგენლები, ამგვარად, 1943 წლის 12 დეკემბერს მოსკოვში ხელმოწერილი იქნა ჩეხოსლოვაკიასა და საბჭოთა კავშირს შორის ხელშეკრულება მეგობრობის, ურთიერთდახმარებისა და ომისშემდგომ პერიოდში თანამშრომლობის შესახებ.

ეს ხელშეკრულება, რომელიც დაიდო მეორე მსოფლიო ომის მრისხანე დღეებში, მტკიცე საფუძველს ქმნიდა ორივე ქვეყნის სრული თანასწორუფლებიანობის პრინციპის საფუძველზე მეგობრული ურთერთობის განვითარებისათვის. ხელშეკრულების თანახმად ორივე მხარე ვალდებული იყო დახმარება გაეწია ერთმანეთისათვის ჰიტლერელი გერმანიის წინააღმდეგ ომში, და ომის შემდეგ განეცხადებინა ფართო ეკონომიური თანამშრომლობა, ერთმანეთისათვის აღმოეჩინათ სამხედრო და სხვა დახმარება გერმანიის აგრესიის განმეორების შემთხვევაში. ხელმომწერი მხარეები შეთანხმდნენ არ დაედოთ არავითარი სამოკავშირო ხელშეკრულება სხვა სახელმწიფოებთან და

არ მიეღოთ მონაწილეობა ლიციაში, რომელიც მიმართული იქნებოდა ხელისმომწერი მხარის წინააღმდეგ.

ამ საერთაშორისო დოკუმენტს უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ჩეხოსლოვაკიის შემდგომი ბედისათვის. მან დიდი როლი შეასრულა ჰიტლერელი დამპყრობლებისაგან ჩეხოსლოვაკიის განთავისუფლებაში. 1943 წლის 12 დეკემბრის ხელშეკრულებამ განამტკიცა ჩეხოსლოვაკიის ავტორიტეტი და პოზიცია საერთაშორისო არენაზე. ჩეხოსლოვაკელი ხალხის სახელოვანი შვილისა და ბელადის კ. გოტვალდის თქმით, ჩეხოსლოვაკიის განთავისუფლების შემდეგ ეს ხელშეკრულება უზრუნველყოფს მის სრულ უშიშროებას გარედან, ხელფებს გაუხსნის მას იმისათვის, რათა მთელ ძალებს თავი მოუყაროს ახალი და ბედნიერი ცხოვრების ასაშენებლად თავისუფალ და დამოუკიდებელ ჩეხოსლოვაკიაში.

ნაციონალური ფრონტის მთავრობის პროგრამამ 1945 წლის აპრილში აღიარა, რომ ეს ხელშეკრულება განსაზღვრავს ჩეხოსლოვაკიის საგარეო პოლიტიკის კურსის მიმართულებასაც. ჩეხოსლოვაკიის საგარეო პოლიტიკის მიმართულება საბოლოოდ გადაწყდა 1948 წლის თებერვლის ამბების შემდეგ, როცა ჩეხოსლოვაკია დაადგა სოციალისტური განვითარების ჰუმპარიტ გზას.

მსოფლიოში პირველმა სოცია-

ლისტურმა სახელმწიფომ — სსრ კავშირმა ახალი მიმართულება მისცა საერთაშორისო ურთიერთობას. საბჭოთა კავშირი თავის საგარეო პოლიტიკას თავიდანვე წარმართავდა თანასწორობისა და ურთიერთგაგების პრინციპებზე. ყოველწლიურად სულ უფრო მიმზიდველი ხდებოდა ეს პოლიტიკა განსაკუთრებით პატარა სახელმწიფოებისათვის, მათთვის ძალზე სასარგებლო იყო საბჭოთა კავშირთან მეგობრული ურთიერთობის დამყარება. ეს მეგობრობა ყოველთვის იყო, არის და იქნება გადაუღალავი ბარიერი იმპერიალისტური სახელმწიფოების დამპყრობლური გეგმების განხორციელების გზაზე. ამჟამად პატარა ხალხები დახმარებასა და მხარდაჭერას ეძებენ არა ვაშინგტონში ან ლონდონში, არამედ მოსკოვში და ეს სავსებით კანონზომიერია.

საბჭოთა კავშირი ყოველთვის მხარს უჭერს პროგრესულ მოძრაობას, სადაც არ უნდა მიმდინარეობდეს იგი. მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმის ინტერესების დაცვას საბჭოთა კავშირი თავის პირველხარისხოვან ინტერნაციონალურ მოვალეობად თვლის. სწორედ ამ შუქზე უნდა იქნას განხილული ხელშეკრულება მეგობრობის, ურთიერთდახმარებისა და ომისშემდგომი თანამშრომლობის შესახებ, რომელიც დაიდო 25 წლის წინათ საბჭოთა კავშირსა და ჩეხოსლოვაკიას შორის.

საბჭოთა კავშირთან მეგობრობა და მჭიდრო თანამშრომლობა ჩეხოსლოვაკიის სოციალისტურ რესპუბლიკის არსებობას ნიშნავს. ასეთი კავშირის გარეშე ჩეხოსლოვაკია ვერ შესძლებდა თავისთვის თავისუფლებისა და სუვერენიტეტის უზრუნველყოფას, და, მით უმეტეს სოციალიზმის მშენებლობას. ამაზე მკაფიოდ მეტყველებს ჩეხებისა და სლოვაკების მთელი ისტორია.

ჩეხოსლოვაკიის ყოფილი მთავრობის ლიდერები მასარიკი, ბენეში და შტეფანიკი დასაყრდენ ძალას ყოველთვის ეძებდნენ საფრანგეთში, ინგლისსა და ამერიკის შეერთებულ შტატებში. მაგრამ ცხოვრებამ გვიჩვენა, რომ ეს სახელმწიფოები ჩეხოსლოვაკელი ხალხების მხოლოდ ყალბი მეგობრები იყვნენ. როცა დასჭირდათ, აშკარად უღალატეს მას. ასე მოხდა 1938 წელს, როცა ჩეხოსლოვაკია გასათელად მიუგდეს ჰიტლერულ გერმანიას. მიუხედავად ამისა, ზოგიერთმა ჩეხოსლოვაკელმა ლიდერმა ჭკუა მიინც ვერ ისწავლა და დახმარების ძებნა დასავლეთ გერმანიასა და სხვა იმპერიალისტურ სახელმწიფოებში დაიწყო.


რა მოხდებოდა, რომ საბჭოთა არმიას არ გაენადგურებინა ფაშისტური გერმანია? არ იქნებოდა დამოუკიდებელი ჩეხოსლოვაკია, ჩეხსა და სლოვაკ ხალხებს არ ექნებოდათ თავისუფლება.

საბჭოთა კავშირისა და სხვა სოციალისტური ქვეყნების მჭიდრო კავშირი, მეგობრობა და თანამშრომლობა ურყევია. მტრები ყოველნაირად ცდილობენ შეარყიონ ეს მეგობრობა, ერთმანეთს წაპყიდონ სოციალისტური ქვეყნები. იმპერიალიზმი უკანასკნელ წლებში სულ სხვადასხვა მეთოდებით იბრძვის სოციალისტური ქვეყნების წინააღმდეგ. ეს გარემოება გვავალებს მეტ სიფხიზლეს, იგი მოითხოვს სოციალისტური თანამეგობრობის შემდგომ შემჭიდროებასა და გაფართოებას; საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის, თანამედროვეობის ყველა ანტი-იმპერიალისტურ ძალთა ერთიანობას.

სოციალისტური ქვეყნების ერთიანობისა და მჭიდრო თანამშრომლობის აუცილებლობა ერთხელ კიდევ დაადასტურა 1968 წლის ამბებმა, როცა იმპერიალიზმმა სცადა ჩეხოსლოვაკია აეცდინა სოციალისტური განვითარების გზიდან, ჩამოეცილებინა იგი სოციალისტური ქვეყნების ბანაკისაგან და ამით საფუძველი ჩაეყარა სოციალიზმის მსოფლიო სისტემის დაშლისათვის. მაგრამ საბჭოთა კავშირისა და სხვა სოცია-

ლისტური ქვეყნების მიერ მომდებული დროულმა ზომებმა შეაჩერა ეს მტრული გეგმები. ამგვარად, მეგობრულმა განამტკიცეს ევროპის სოციალისტური ქვეყნების კოლექტიური უშიშროება.

საბჭოთა კავშირ-ჩეხოსლოვაკიის მოლაპარაკებამ, რომელიც გაიმართა მოსკოვში, 1968 წლის აგვისტოსა და ოქტომბერში, და ხელშეკრულებამ ჩეხოსლოვაკიის ტერიტორიაზე საბჭოთა ჯარების დროებით ყოფნის შესახებ, რომელსაც ერთად მოაწერეს ხელი ძმურმა სახელმწიფოებმა, საფუძველი ჩაუყარა შექმნილი ვითარების ნორმალიზაციას ჩეხოსლოვაკიაში. საღი გონების ადამიანები მოძმე ჩეხოსლოვაკიაში ჯეროვნად აფასებენ და არასოდეს არ დაივიწყებენ იმ დახმარებას, რომელიც საბჭოთა კავშირმა აღმოუჩინა მათ ქვეყანას 1968 წელს რეაქციული ძალების წინააღმდეგ ბრძოლაში. სოციალისტური ქვეყნების ეს მეგობრობა და ურთიერთდახმარება ნაციონალური თავისუფლების, სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისა და სოციალისტური გზით მათი შემდგომი განვითარების მტკიცე გარანტია იქნება.



ჩაქვისწყლის ხეობის ტოპონიმიკის ზოგირითი საკითხის შესახებ

ბევრი რამ გაკეთდა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს, კერძოდ, ჩაქვისწყლის ხეობის ძველი მოსახლეობის სამეურნეო და კულტურული ცხოვრების შესწავლისათვის. მაგრამ გეოგრაფიული სახელწოდების სიტყვა „ჩაქვი“-ს წარმოშობის საკითხი არ არის დაზუსტებული. არსებობს რევოლუციამდელი და შემდგომი პერიოდის ცნობები, რომლებიც არა ზუსტად მიგვაჩნია — მას აზნეულობა და ორჭოფობა შეაქვს მშობლიური კუთხის წარსულისა და აწმყოს გაგებაში.

გეოგრაფიული სახელწოდების სიტყვა „ჩაქვი“-ს წარმოშობის შესახებ კ. ფ. განი წერს, რომ «Чаква (груз.) мингр. от ჭა ლა = колодец и ჭვა ღვა = камень; обложенный камнем колодец. Название деревни.¹

გეოგრაფიული სახელწოდების სიტყვა „ჩაქვი“-ს დადგენისათვის, განმა სიტყვა „ჩაქვა“ შეცვალა ქართული ასოებით, გაჰყო ორ ნაწილად და მიიღო „ჭა-ქვა“ — ჭა

და ქვა. ჭა („კოლოდეც“) მეგრულ დიალექტად ჩათვალა. განის მსჯელობა და მიღებული დასკვნები მეცნიერულ დასაბუთებას მოკლებულია, ჯერ ერთი, იმიტომ, რომ „ჭა“ მეგრული დიალექტით სიმინდის ან ღომის ჩალას ეწოდება, ხოლო „ინჭა“ — „ჭა“-ს („კოლოდეც“) ნიშნავს. მეორე — ლექსიკოგრაფების, მაგალითად, სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით „ჭა“ არის „ჯურღმული წყალთა“, ხოლო ნ. ჩუბინაშვილის განმარტებით „ჭა და ჯურღმული არიან მთხრებლი წყალთა სადგომნი და ლაკვა ნაგები ჭა“.³

კ. ფ. განი ანგარიშს არ უწევს იმას, რომ ჭა შეიძლება იყოს „ლაკვა ნაგები“ მხოლოდ იქ, სადაც საამისო ჭვა და ამ უკანასკნელის მიზიდვის საშუალება არის. აგრეთვე ჭა შეიძლება იყოს ამოდულებული და ამოფიცრულიც და ამ უკანასკნელთა გარეშეც. ხელოვნურ ორმოს, რომლებიც წყლის მარაგისათვის არის განკუთვნილი,

¹ К. Ф. Ган, Первый опыт объяснения кавказских географических названий, 1909, стр. 154.

² საბა ორბელიანი, თხზ., 2/2, გვ. 395.

³ ნ. ჩუბინაშვილი, ქართული ლექსიკონი, 1961, გვ. 280.

ქართული სალიტერატურო ენით „ჭა“ ეწოდება. მესამე—განი მხედველობიდან უშვებს იმასაც, რომ „ჭა“ კავკასიასა და სხვა მხარეშიც გვხვდება, ხოლო გეოგრაფიული სახელწოდება „ჩაქვი“ მხოლოდ ერთად-ერთია ცნობილი. განა არ შეიძლება, რომ ჭასთან დაკავშირებული გეოგრაფიული სახელწოდება სხვა მხარეშიც განმეორებულიყო? მეოთხე, კ. ფ. განი არც იმას უწევს ანგარიშს, რომ გეოგრაფიული სახელწოდება „ჩაქვი“ წარმოიშვა ისეთ ბუნებრივ პირობებში, სადაც წყლის მარაგისათვის ხელოვნურად ამოთხრილი ორმო, რა სახისაც არ უნდა ყოფილიყო იგი, მოსახლეობას არასოდეს არ დასჭირდებოდა, რადგან ამ სოფელში გაივლის მდ. ჩაქვისწყალი და იქმნება ჩაქვისწყლის ხეობა. ამ ხეობის ორივე მხრიდან ჩაქვისწყალს ერთვის მრავალი ღელე-ნაკადული. კ. ფ. განს მხედველობაში უნდა მიეღო ისიც, რომ ჩაქვის ხეობაში დღესაც არ მოიპოვება ისეთი ოჯახი, რომლის ეზოში არ იყოს ცივი წყარო. აგრეთვე ამ სოფელში ოდიდგანვე იყო სასმელი და სააბაზანო მინერალური წყლები, რომლითაც მოსახლეობა დღესაც სარგებლობს.

სამეცნიერო-პოპულარულ ლიტერატურაში სადაოდ არ არის მიჩნეული, რომ საქართველოს მათ შორის დასავლეთ და სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტოპონიმიკაში შეიმჩნევა აფხა-

ზურ-უბიხურ-ადიღურის ელემენტები. ამ უკანასკნელს განაპირობებდა აღნიშნულ ტომთა ეთნოგენეზი, პოლიტიკური და კულტურული კავშირ-ურთიერთობა.

მაგალითად, აკად. ს. ჯანაშია წერს, რომ „საქართველოს ტოპონიმიკის ტიპური მორფოლოგიის განხილვისას ჩვენი ყურადღება მიიქცია დასავლეთ საქართველოს სახელებმა „ფსა“ დაბოლოებით, პირველ რიგში — სუფსა-მ, დიდმა მდინარემ გურიიში... „ფსა“, როგორც მწარმოებელი ფორმანტი, ექვეარეშე აღმოჩნდა. ასევე უდაო იყო ჩვენთვის, რომ ეს ნაწილაკი არის ჩერქეზული სიტყვა „ფსა“, რომელიც აწარმოებს მდინარის სახელს ჩერქეზთა წინანდელ ტერიტორიაზე“⁴.

იმავე შრომაში ს. ჯანაშია წერს, რომ „ჩვენი ყურადღება მიიპყრო ანალოგიურმა მაწარმოებელმა — „ყვა“-მ. იგ ასახელებს მთელ რიგ გეოგრაფიულ სახელწოდებებს ჩერქეზეთიდან, აფხაზეთიდან, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოდან და სხვ., რომლებიც ბოლოვდებიან — „ყვა“-ზე. ქობულეთის რაიონიდან ასახელებს აგიდაყვა-ს (მდ. ხინოდაგვას მთებთან), აჭყვა-ს (მდ. ქობულეთთან), სოფ. აჭყვისთავს, სოფ. ბო-

4 ს. ჯანაშია, ჩერქეზული (ადიღურა) ელემენტები საქართველოს ტოპონიმიკაში, სსრკ მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის მოამბე № 8, გვ. 622-627.

ზოყვათს, მდ. აჭყვას (ჩაქვთან) და სხვებს და წერს, რომ „უეჭველი გახდა, რომ დასავლეთ საქართველოს ყვა-ზე დაბოლოებული გეოგრაფიული სახელები აგრეთვე ჩერქეზული წარმოშობისაა“-ო.

ს. ჯანაშიას აზრს იზიარებს პროფ. ქ. ლომთათიძე, რომელიც წერს, „ტოპონიმიკაში, კერძოდ, მდინარეთა სახელწოდებაში დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე (აჭარა, გურია, სამეგრელო, აფხაზეთი) გვხვდება — ფსა დაბოლოების მქონე სახელები (ნ. მარი, ივ. ჯავახიშვილი, ს. ჯანაშია). ტოპონიმიკურ სახელთა ეს ელემენტი სავსებით სამართლიანად მიჩნეულია ადიღურ (ჩერქეზულ) სიტყვად, სადაც იგი წყალს აღნიშნავს და აგრეთვე გამოიყენება, როგორც რთული სიტყვის შემადგენელი ნაწილი წყლის მნიშვნელობის გადმოსაცემად... ს. ჯანაშიამ საქართველოს ტერიტორიაზე დაადასტურა სხვა ჩერქეზული წარმოშობის ელემენტებიც ტოპონიმიკაში. ამ მხრივ განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ჩერქეზულივე — ყვა „ხევის“, „ხეობის“ მნიშვნელობით... იგი გვხვდება საქართველოს ტერიტორიაზე გეოგრაფიულ სახელებში: აგიდაყვა (მდ. ხინოდავას მთებთან), აჭყვა (მდ. ქობულეთთან), მალთაყვა (მდ. ფოთთან), ბერფყვა (ღელის სახელწოდება გურიაში)⁵... და სხვ.

5 ქ. ლომთათიძე, აფხაზთა ვინაობის და განლაგების ზოგიერთი საკითხის შესახებ, „მნათობი“, № 12, 1956, გვ. 135-136.

აფხაზი მეცნიერ-მკვლევარი შ. დ. ინალ-იფა ეხება რა ამ საკითხს წერს:

«Беспорным является значение «адыгских» элементов в топонимике исторической и современной Зап. Грузии — Гурии, Раче, Мингрелии, Абхазии. Таковы, например... на «ква», словообразовательный элемент, осмысляемый в абхазо-адыгских языках, как овраг, ущелье, балка, каменный хребет, берег реки и др. (...Агидаква, Ачкава, Чаква, Малтаква, Аква, Муругвети и др.)... Названия «ис» и «ква» и др. являются общим наследием языка-основы абхазо-адыгских племен, причем они не менее характерны для абхазских, чем адыгских языков».⁶

ინალ-იფას ვერ დავეთანხმებით იმაში, რომ გეოგრაფიული სახელწოდებები: აგიდაყვა, აჭყვა, ჩაქვა, მალთაყვა, ჯურჯუყეთი და სხვ. — ანალოგიურ გეოგრაფიულ სახელწოდებად მიიჩნია და აფხაზურ ენიდან მომდინარეობის მაღწყებლად ჩათვალა. ეს ასე რომ ყოფილიყო, ს. ჯანაშიას, ქ. ლომთათიძეს, უფრო ადრე ივ. ჯავახიშვილს, ნ. მარს და სხვებს თავიანთი ავტორიტეტული სიტყვა ექნებოდათ ამ საკითხის შესახებ ნათქმისი, მით უმეტეს, რომ ს. ჯანაშიამ და ქ. ლომთათიძემ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, გეოგრაფიულ სახელწოდებებთან (აჭყვა, ბობოყვათი, აგიდაყვა და სხვ.) დაკავშირებით ჩაქვიც მოიხსენიეს, მაგრამ სიტყვა „ჩაქვი“ არ მიუჩნევიათ

6 Инал-ипа, Абхазы, 1965, стр. 97-99.

ჩერქეზულიდან და არც აფხაზურიდან შემოსულად.

შ. დ. ინალ-იფას მხედველობაში უნდა მიეღო ის, რომ ქართულ ლექსიკას თავისუფლად შეეძლო „ყ“-ს კვალი სიტყვა ჩაქვშიც დაეტოვებია ისე, როგორც „აჭყვა“-ში, „მალთაყვა“-ში, „ბობოყვათ“-ში და სხვ. თუ ქართულ ლექსიკას ზემოთ აღნიშნულ სიტყვებში არ ეუცხოება „ყ“ ბგერა, მაშინ მას იგი არც სიტყვა „ჩაქვა“-ში არ უნდა ეუცხოვა და ახლაც უნდა გვქონდეს „ჩაყვა“ ან „ჩაყვი“ და არა „ჩაქვი“. რაკი სიტყვამ მოიტანა, საინტერესოა ვიცოდეთ, რომ ამ საკითხის შესახებ ინალ-იფას შრომა ქართულად რომ დაიბეჭდოს, როგორ უნდა დაიწეროს სიტყვა „ჩაყვა“? თუ სიტყვა „ჩაყვა“-ს დავწერთ ქართულად „ჩაყვა“ ან „ჩაყვი“. მაშინ ხომ უნდა ვიფიქროთ, რომ არა სწორად იწერებოდა დღეს „ბობოყვათ“, „აჭყვა“, „მალთაყვა“ და სხვ. და თუ რუსული „კვა“ ქართული „ყვა“-ს შესატყვისია და აფხაზურშიც „კვა“ არის, როგორც რუსულში, მაშინ ქართულად საიდან გაჩნდა „ჩაქვი“?

გეოგრაფიული სახელწოდება „ჩაქვი“ — ოდიდანვე ამ სახელითაა ცნობილი და საეჭვოდ არ მიგვაჩნია, რომ იგი ქართველურია.

სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტოპონომიკის საკითხებს ი. სიხარულიძემ ორი წიგნი მიუძღვნა, მაგრამ გეოგრაფიული სახელწოდებების სიტყვა „ჩაქვი“-ს

წარმოშობის შესახებ დასრულებულ პასუხს არ იძლევა. იგი მოიწველიებს ქ. ლომთათიძის მოსაზრებას ამ საკითხის შესახებ წერს, რომ „ეს სახელწოდება თითქმის ქვას უკავშირდება — ჩაქვი, მაგრამ თუ ეს ნამდვილად ასეა, მაშინ გასარკვევია „ჩა“-ს რაობა.“⁷ სიტყვა „ჩაქვი“-ს ეტიმოლოგიის შესახებ ეს არ არის დასრულებული პასუხი, თუმცა მას ჩვენთვის არსებითი მნიშვნელობა აქვს. ჩვენც ვფიქრობთ, რომ სიტყვა „ჩაქვი“ ქართულში ოდიდანვე დამკვიდრებულ სიტყვა „ქვა“-ს უკავშირდება.

ჩვენი აზრით სიტყვა „ჩა-ქვა“-ში „ჩა“-ს რაობას ნათელ შეუქსფენს ჩაქვისწყლის ხეობის მოსახლეობაში დღემდე შემონახული ლეგენდები, რომლებშიც ასახულია ჩაქველების გმირული ბრძოლების ეპიზოდები.

ძველად ვინ იცის, რამდენჯერ აუკლია მტერს ეს ლამაზი სოფელი. მომხდურთა წინააღმდეგ საბრძოლველად სოფელში რჩეული ვაჟკაცებისაგან შექმნილი ყოფილა მუდმივი რაზმი. რაზმს ერთხელ ისე დაუმარცხებია შემოპარული მტერი, რომ ამბის წამლებიც აღარ დარჩენილა. რაზმის უფროსს მედროშესათვის უბრძანებია, რომ გამარჯვების ნიშნად მაღლობზე დროშა აღემარ-

7 ი. სიხარულიძე, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტოპონიმია, წიგნი II, 1959, გვ. 96.

თათ. რაზმეულს უფროსის ბრძანება უმაღლესურთლებია და ყველასათვის ყოყინით უცნობებია, — „ჩავაქვავეთ“.

იმავე დღეს დიდსა და პატარას იმ ადგილზე, სადაც ბრძოლა იყო, თავი მოუყრიათ. აქ მათ დაღუპული ვაჟკაცებისათვის ფიცით მიუმართავთ — თუ ამიერიდან მტერი ჩვენს სოფელზე თავდასხმას ისევ გაბედავს, თქვენს საფლავთან ჩავაქვავებთო!

მართალია, გეოგრაფიული სახელწოდების წარმოშობის დადგენისათვის ამ ლეგენდასაც ვერ დავუყრდნობით, მაგრამ ეს სიტყვები იმდენად პატრიოტულია, სინამდვილესთან თითქმის ისე ახლოს დგას, რომ შეიძლებოდა საფუძვლად დადებოდა ამ სოფლის მერმინდელ სახელწოდებას.

ქართული ონომატოლოგიისათვის უცხო არ არის ისეთი ფაქტი, როდესაც გეოგრაფიული სახელწოდება სიტყვა „ქვა“-საგან არის წარმომდგარი. მაგალითად, ქვაბლა (ჩოხატაურის რაიონში), ქვიანი (ლანჩხუთის რაიონში) და სხვ.

რა გასაკვირია, რომ გეოგრაფიული სახელწოდება „ჩაქვი“ ახლო კავშირში იყოს ქვასთან და ამ სიტყვისაგან წარმოქმნილ ზმნასთან „ჩა-ვა-ქვა-ვეთ“, რომელიც მედროშეს მოწყდა ბაგეზე.

ქართული ენისათვის ნიშანდობლივია სახელისაგან ზმნის მიღე-

ბა (მოხუცი, თეთრი, შავი, ~~ბერი~~ და სხვ.). შესაბამისად — ხუცდება, თეთრდება, შავდება (ხუცდება რა...).

ქართულ ლექსიკოლოგიაში იშვიათად გვხვდება იმის ფაქტი, რომ ზმნა ადგილმდებარეობის სახელწოდებად იქცეს, მაგრამ თუ ზმნა „ჩავაქვავეთ“ გეოგრაფიულ სახელწოდებად უნდა ქცეულიყო, მას დიდი ცვლილებები უნდა განეცადა, ვიდრე იმ ფორმას მიიღებდა.

არის შემთხვევები, რომ ადგილთა სახელწოდებად გვევლინება, როგორც საწყისი ისე მიმდებარე. ამ უკანასკნელის დამადასტურებელია ქ. მახარაძესთან სოფელი გაკირული, რომელიც ზმნა „გავკირე“-საგან არის მიღებული. ეს ამ სიტყვაში ნახმარი „გა“ ბგერათა კომპლექსით დასტურდება, რომელიც ზმისწინია.

ზემოთ აღნიშნულით იმის თქმა გვინდა, რომ ქართულ სიტყვებს გააჩნია დერეფანის (წარმოქმნის) დიდი უნარი და ამიტომაც გეოგრაფიული სახელწოდება „ჩაქვის“-ს წარმოქმნის რა ვარიანტიც არ უნდა განვიხილოთ, იგი მაინც მიგვიყვანს იმ დასკვნამდე, რომელზედაც ჩვენ ვჩერდებით. სახელდობრ, ჩა (ზმნისწინი) — ქვა (ნასახელარი ზმნის ძირი) გვაძლევს „ჩაქვა“-ს. დანარჩენი მაწარმოებელი კი პირვანდელ სიტყვას ჩამოშორდა.

მე-19 საუკუნის 70-იანი წლების მიწურულში ისტორიული ვი-

თარება შეიცვალა: ჩაქვისწყლის ხეობა ისე, როგორც აჭარის სხვა ტერიტორია, განთავისუფლდა თურქების უღლისაგან და რუსეთს შეუერთდა. გაკეთდა რკინიგზის სადგური, რომელსაც „ჩაკვა“ უწოდეს. მის ახლო-მახლო გაჩნდა სავაჭროები და სახელოსნოები. მოსახლეობა გაიზარდა. — ზეგნებიდან ჩამოიწია დაბლობისაკენ. შეიქმნა პატარა სოფელი. რომელმაც რკინიგზის სადგურის სახელთან დაკავშირებით საბოლოოდ დაიმკვიდრა სახელწოდება „ჩაქვი“.

სოფელ ჩაქვისთავში ერთდებიან ღელე-ნაკადულები, რომლებიც ქმნიან საკმაოდ მოზრდილ მდინარეს. მას „ჩაქვისწყალი“ ეწოდება. უნდა ვიფიქროთ, რომ ამ მდინარემ სიტყვა ჩაქვიდან მიიღო სახელწოდება „ჩაქვისწყალი“.

სახელწოდება „ჩაქვის ხეობა“, უფრო სწორად — „ჩაქვისწყლის ხეობა“ ამ მდინარის სახელწოდებიდან არის ნაწარმოები.

აკადემიკოსი ივ. ჯავახიშვილი წერს, რომ „ქართული ლომის მონოგრაფიული გამოკვლევის ავტორები ლ. დეკაბრელები და ა. გასპარიანი ლომს საქართველოს ერთ უძველეს კულტურად სთვლიდა...


დასავლეთ საქართველოში არსებობს ლომის 13 სახეობა, მაგრამ ზოგიერთი მათგანის ქართუ-

ლი სახელი მოცემულია ადგილობრივ ალუნიშნავად... მოკლებუსუსებანი ლომის სახელწოდებიდან გამომდინარეობს და ა. გასპარიანს დასახელებული აქვთ ქართული ტერმინი „ჩაქურა“, რომელიც ფართოდ გავრცელებული ჯიში ყოფილა. „ჩაქურა“-ს ლომის სახელი ამ სახეობის ჩაქვიდან მომდინარეობის მაუწყებელია“.

სამეურნეო იარაღის სახელი „ჩაქურა თოხი“ ამ სახეობის სოფლისა და ლომის სახელწოდებებთან უნდა იყოს დაკავშირებული. ამ თოხის ფორმა ადასტურებს, რომ იგი განკუთვნილი იყო ლომის გასათოხნად და, რაც მთავარია, მას ნაკლებად ეკვროდა ჩაქვის თიხანარევი ნიადაგი და გლეხს ამით შრომა უმსუბუქდებოდა.

სარეველა მცენარეთა სახელებს შორის ბოტანიკაში დამკვიდრდა სარეველა „ჩაქურა“, რომელიც მხოლოდ ჩაქვის მიდამოებში ყოფილა გავრცელებული. ის კარგად ხარობს ჩაქვის ნიადაგზე. ჩაქვისწყლის ხეობის დაბლობებში სარეველა „ჩაქურა“ დღესაც ბლომად მოიპოვება. ამ მცენარის სახელწოდებაც სიტყვა ჩაქვიდან მომდინარეობის მაუწყებელია.

ჩვენ არ ვიჩემებთ, რომ ეს მოსაზრებანი, რომლებიც ზემოთაღნიშნულ საკითხებზე გამოვთქვით, საბოლოო იყოს. შეიძლება სხვა მოსაზრებანიც წამოიშვას.



ზღაპრული მოტივი მხატვრულ ნაწარმოებში

ცნობილი მწერლის ნოდარ დუმბაძის „მზიან ღამეში“ მშვენივრადაა გადმოცემული ახალგაზრდა ადამიანის სულიერი ენებათა ღელვა და მისი კაცთმოყვარეობის უკეთილშობილესი მხარე. მწერალს კარგად აქვს გადმოცემული სოციალისტური ყოფისათვის უცხო, მოუღებელი და მავნე მოვლენის გამოვლინება და იგი ერთ-ერთ სოციალურ-ზნეობრივ პრობლემად მიიჩნია. მწერალი სასტიკად ილაშქრებს ყოველგვარი უნდობლობის წინააღმდეგ. იგი გვარწმუნებს ენდ და დაუჯერე მეგობარს გულწრფელობაში. უადგილო ეჭვიანობა ამცირებს და შეურაცხყოფს ადამიანის ღირსებას, ნუ ხარო მონდომებული ახლობელში ცუდი იპოვოთ. ადამიანში კეთილი და ადამიანური მხარე უფრო მაღალია ყოველთვის და ჯანსაღი, ეძიე მასში სილამაზე და არა სიგონაჟე. გამოუცხადე ნდობა ახლობელ ადამიანს — იგი ერთგვარი მალამო იქნება, რომელიც შეანელებს სულიერ ტრავმასა და ტკივილებს. ამით მეგობარს კვლავ უბრუნდება იმედი და სიმხნევე. იგი კეთილშობილდება და საზოგადოებაში თავის ადგილს ისევ პოულობს.

მივყევით მწერლის თხრობას. მისი გმირები, გულიკო, თემური და გურამი — განუწყრელი მეგობრები არიან. ისინი ბათუმში ატარებენ საზაფხულო არდადეგებს. მათ კანონზომიერ და ბედნიერ ცხოვრებაში შემოიჭრება ღია, რომელიც ბინადრობს იმავე სასტუმროში. თემურისა და ლიას შემთხვევით შეხვედრას, მათ გულუბრყვილო საუბარს შეესწრება

გულიკო. ის ამაში რაღაც ცუდ მინიშნებას დაინახავს და გაებუტება ჭაბუკს. თემური ამოდ არწმუნებს მას, რომ არსფერი შეცვლილა მათ ურთიერთობაში. რომ ის მხოლოდ ეჭომაგება წესიერ და სათნო ქალიშვილს. იცავს მის მეობას ვიღაც ვიგინდარა და ცინიკოსი აეთოსაგან.

რატომღაც გურამიც ეჭვის თვალით შეხედავს ძმაკაცის გულწრფელ მოქმედებას.

მეგობრების ასეთი დამოკიდებულება შეუთრაცხოფს თემურის კაცობას და იწვევს მასში საწინააღმდეგო რეაქციას. უნდობლობა საბედისწერო აღმოჩნდა მეგობართა ურთიერთობაში, ისინი სამუდამოდ კარგავენ ერთმანეთს. მწერალი საძრახისს ვერაფერს ხედავს თემურის მოქმედებაში და ასეთ ხალხურ ზღაპარს იშველიებს:

„ერთხელ ორი დიდი ხნის უნახავი მეგობარი შეხვდა ერთმანეთს, ერთი — დაღვრემილი, მეორე — მხიარული. — „როგორ ხარო“ — ჰკითხა მხიარულმა.

— „ისეთი უცნაური და უბედური ამბავი შემემთხვა, ვისაც არ მოვუყევი, არავის არ სჯერა და რაღა შენ დამიჯერებო“ — უთხრა დაღვრემილმა და ამოიოხრა.

— ასეთი რა შეგემთხვა, შე კაცო! — შეწუხდა მხიარული.

ცოლმა გამომაგდო სახლიდანო. — შე-სჩივლა დაღვრემილმა.

— რათაო, კაცო? — გაუკვირდა მხიარულს.

— რათა და ამისთვისოო. — თქვა დაღვრემილმა და ამბავი დაიწყო.

ამ ერთი თვის წინათ გზაზე მივდიოდით, საშინლად წვიმდა და ციოდა, უცებ მიკნავეებული ხმა გავიგონე ჩემს წინ, დავიხარე, ვხედავ ბაყაყი. ჩვეულებრივი ბაყაყი — „ამიყვანე, კეთილო კაცო, ზომ ხედავ, სიცვიით ვკვდებით“ — მითხრა, ავიყვანე, უბეში ჩავისვით და სახლში მივიყვანე. ფანჯრის რაფაზე დავსვით, საჭმლის ჭამა დავიწყეთ.

— ცოტა მეც მაქვამე, კეთილო კაცო! — მითხოვა ბაყაყმა. რას ვიზამდი, მაგიდაზე დავსვით და ეპქამე, არ მახსოვს, მგონი ცოტა დალია კიდევ.

ლოგინში რომ ჩავწექი, ისევ მომესმა ბაყაყის ხმა: — მარტოს მეშინია, კეთილო კაცო, ჩამიწვინე ლოგინშიო — ...შენ ჩემს ადგილზე როგორ მოიქცეოდი? ავიყვანე და ჩავიწვინე ლოგინში. ბაყაყი მომეკრა, მომეკრა და, ერთიც ვნახოთ მშვენიერ ქალად გადაიქცა!..

ამ დროსოთახში ჩემი ცოლი შემოვიდა, ეს რომ დაინახა, ქვა ააგდო, თავი შეუშვირა და გული წაუდიდა. გონს რომ მოვიდა, ყველაფერი დალაგებით მოვუყევი, როგორც იყო, არ დამიჯერა, მაინც გამომავდო სახლიდან.

— ამას ვინ დაგიჯერებს შე უბედურო — უთხრა მზიარულმა.

— „აჰი ვითხარი. — შენც არ დამიჯერებ მეტქი!“ თქვა დაღვრემილმა, თავი ჩაქინდრა და უფრო დაღვრემილი გაუდგა გზას.*

ეს ზღაპარი მხატვრულ-ესთეტიკური მნიშვნელობის გარდა, უაღრესად დიდაქტიკურია. გულისხმიერმა ადამიანმა გაჭირვებაში მყოფ არსებას ხელი გაუწოდა, უშველა, მაგრამ კეთილშობილება და სხვისადმი მზრუნველობა არ დაუფასდა. კეთილი ბოროტად მიიღეს და ქველმოქმედი სასტიკად დასაჯეს.

ქართულ, რუსულ და სხვა ხალხთა ზეპირსიტყვიერებაში ფართოდაა გავრცელებული ანალოგიური სიუჟეტისა და

მოტივის მქონე ზღაპარი. ფოლკლორული ექსპედიციის დროს შუახევის რაიონის სოფელ ბარათაულში ჩაწერილი იქნა ზღაპარი „ბაყაყი გოგო“* შემდეგი შერჩეული ნაარსის.

ერთ ხელმწიფეს სამი შვილი ჰყავდა. ერთხელ ხელმწიფემ დაიბარა თავიანთი შვილები და უთხრა: — ჯირითი გაიქნით თვითუღელმა, ვის სახლზეც დაეცემა, იმის გოგოს გათხოვნივითო. დიდმა ძმამ გაიქნია და დაეცა საშუალო შვილების სახლზე. მეორე შუათანა ძმამ გაიქნია, მისი ჯირითიც საშუალო შვილების სახლზე დაეცა. დაქორწინდნენ პირველი და მეორე ძმა, გაიქნია პატარა ძმამ და არცერთ სახლს არ დაეცა. ბოლოს მეორედ გაიქნია და დაეცა ერთ პატარა ბაყაყს. ბიჭმა იფიქრა ეს ყოფილა ჩემი (ყისმეთით) ბედით. ბაყაყი ჩეიღო ჯიბეში და გაუდგა გზას. ერთ ტრიალ მინდორზე დაინახა რომ ერთი მოხუცი ყირათ (თეთრ) ცხენს მიაჭენებს. მიუახლოვდა ბიჭს, შეეკითხა: რა გაქვს ჯიბეშიო. ბიჭმა უთხრა სინამდვილე. მოხუცმა გააფრთხილა: — ამ ბაყაყს კარგად მოუარეო. მგზავრობისას შენი გზა გაიყრებაო, აუცილებლად მარცხენა გზით წადიო. იქ ერთი სახლი შეგხვდება, იმ სახლში არავინ არ იქნება. გააღებ სახლს, შეხვალ და სადაც ლოგინებია ამ ბაყაყს იქ დადებო.

ბიჭი ასეც მოიქცა. ბაყაყი ლამაზ ქალად იქცა...

ფოლკლორულმა ექსპედიციამ ამავე სოფელ ბარათაულში ეთერ ისკენდერის ასულ ქათამაძისაგან ჩაიწერა ზღაპარი „სამი ძმა“, სადაც ერთ-ერთ მთავარ პერსონაჟად ბაყაყია გამოყვანილი, რომელსაც ბედის ცდის შემდეგ ხელმწიფის

* საქ. მეცნ. აკადემიის ბათუმის სამეცნ.-კვლევითი ინსტიტუტი, ფონდი 1, საქმე № 22, 1959, გვ. 5-12, ჩამწერი ალექსანდრე დავითაძე.

* მნათობი, 1966, № 1, გვ. 39-40.

უმცროსი ვაჟი ცოლად შეირთავს. ბაყაყი მზეთუნახავ ქალად გადაიქცევა და თავის გალმართალ, პატიოსნებით აღსავსე ქმარს გონივრულ რჩევა-დარიგებას აძლევს და დახმარებას უწევს მისი მამის — ხელმწიფის უგუთურობის, სიხარბისა და ბოროტების დათრგუნვაში.

ბათუმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის 1962 წლის ფოლკლორულმა ექსპედიციამ ქობულეთის რაიონის სოფელ წერაქვეთში ეთერ ზუსეინის ასულ ქათამაძისაგან ჩაიწერა ზღაპარი „ბაყაყი გოგო“. ეს უკანასკნელი წინა ზღაპრებისაგან საგრძნობლად განირჩევა თავისი ორიგინალური სიუჟეტით. მიუხედავად ამისა ის ახლოს დგას და უშუალოდ ენათესავება მათ თავისი ძირითადი მოტივით — ბაყაყის მზეთუნახავ ქალად გადაქცევითა და შემდგომი მისი ქველმოქმედებით.

რუსულ ფოლკლორში ბაყაყის ქალად გადაქცევა ფართოდ არის ცნობილი. საზღაპრო რეპერტუარში არსებობს ამ მოტივის მრავალი ვარიანტი.

ლათვიურ ხალხურ ზეპირსიტყვიერებაში აღნიშნული მოტივი წარმოდგენილია ზღაპრით „Лягушка - помощница“ ავსტრალიურში კი ზღაპრით „Каменная лягушка“ (ქვის ბაყაყი), რომელიც მოგვითხრობს სამი დის ბედზე, რომლებმაც უნებლიეთ შეურაცხყვეს ვირინუმი—კულისთა ტომის ბელადი. განრისხებულმა ვირინუმმა უგუნური დები ბაყაყად აქცია, შემდეგ კი გააქვავა.

ხალხმა თავისი პოეტური შემოქმედების, მხატვრული ასახვის ობიექტად ბა-

* საქ. მეცნ. აკად. ბათუმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, ფონდი № 1, საქმე № 66, 1962, გვ. 125-127. ჩამწერი ნაზი დუმბაძე.

ყაყი — ეს ყოვლად უბრეტენოა. სუსტი და გონჯი არსება იმიტომ, რომ კაცობრიობის წინასტორიულ ეპოქაში ბაყაყს ადამიანთა ცხოვრებაში დიდი ადგილი ეკირა, როგორც ტოტემს, ან კიდევ სიბრძნისა და სათნოების სიმბოლოს. ხალხში დღემდის შემორჩენილია თქმულება იმის შესახებ, რომ თითქმის ბაყაყის მოკვლა აკრძალული იყოს. წინააღმდეგ შემთხვევაში განრისხებული ღვთაება დედამიწას წვიმითა და ზვავით წაუღევას.

როგორც ჩანს, ამ ზღაპრულ სახეს საგრძნობი ცვლილებები განუცდია. გზა-გზა იგი სოციალური, კლასობრივი შინაარსითა და მნიშვნელობით ავსილა და გამდიდრებულია. ამიტომაც, რომ ბაყაყის მეტამორფოზა არ არის დაკავშირებული შეძლებული კლასების იდეოლოგიასთან, იგი ყოველთვის ჩაგრულების ინტერესებისა და მისწრაფებების გამომხატველია. ამ ზღაპრის სახით ხალხს უნდოდა ეგულისხმა, რომ სუსტსა და დაბეჩავებულ არსებაში დიდი პოტენციალური თვისება და ძალაა.

რომან „მზიან ღამეში“ მოტანილი ეს ზღაპარი რემინისცენციაა ხალხური ზღაპრისა. დუმბაძისეული ზღაპარი, რომელიც ხალხური ნაწარმოების შინაარსი, მორალი და ფილოსოფია მწერლის მხატვრული გააზრების შედეგად არის მიღებული, — ახალ ჭეშმარიტ თვითმყოფობასა და ორიგინალობას იღებს.

გარდა იმისა, რომ ნოდარ დუმბაძე ესესხება ხალხურ ზეპირსიტყვიერებას, ის თვითონ ქმნის ზღაპარს, აფორისტულ გამოთქმებსა და იდიომებს. რომან „მზიან ღამეში“ ღრმა შთაბეჭდილებას ტოვებს სიზმარი-ზღაპარი, რომელშიაც მოცემულია დიდი ჰუმანურობა, ადამი-

ანისადმი უსაზღვრო სიყვარული და მო-
კრძალება.

მწერალი გვარწმუნებს, რომ სიძლიე-
რესთან, ყოვლის შემძლეობასთან ერთად
ადამიანი სუსტი არსებაცაა. მას სათუთად
მოპყრობა ესაჭიროება. ავტორის აზრით

ძისი სიძლიერე ურთიერთსიყვარულში,
ბუნებასთან სიახლოვესა და ცოდნა-
ნათლებაშია.

ამ ზღაპარში თემური, მზე
მიწა ხალხის, სინათლისა და სიცოცხლის
სიმბოლოები არიან.

ერეკლე
ბეჭდვა



გურამ სხვარაძე

ლოტბარის გზა

მისი ცხოვრება განუწყვეტელი სიმღერა იყო და სიკვდილის ჟამს იანდერძა, მიწასაც გალობით მი-
მაბარეთო.

აღუსრულებს... დამწუხრებულთ
გამოეყო სამეული და ზარივით
გაისმა გოდება-გალობა. მღეროდ-
ნენ ცრემლმორეულნი. წავიდა
ადამიანი და სიმღერა კი დარჩა.
დარჩნენ მისი აღზრდილი მომ-
ღერლები, რათა შთამომავლობი-
სათვის გადაეცათ მისი საგალობ-
ლები.

ეს ადამიანი იყო საყოველთაოდ
ცნობილი ლოტბარი, სალხინო და
საგალობელი სიმღერების დიდოს-
ტატი მელქისედექ გიორგის-ძე
ნაკაშიძე.

მელქისედექის ბიოგრაფიის რა-
მდენიმე ფურცელი ბათუმში დაი-
წერა. მას აჭარა უყვარდა იმ სიმ-
ღერასავით, რომელსაც უძვირფა-
სესი საგანძურის დარად გულისთ
ატარებდა.

მ. ნაკაშიძე ჯერ კიდევ სკოლაში
შესვლამდე გაიტაცა ხალხურმა სა-
გალობელმა ჰანგებმა. სწავლას

ვერ გაჰყვა ბოლომდე და სიმღე-
რა-გალობას დაეწაფა. ცნობილი
მგალობელი ანტონ ღუმბაძე იყო
მისი მასწავლებელი.

მალე მელქისედექი შესანიშნა-
ვად დაეუფლა სიმღერის საიდუმ-
ლოებას და მეგობრებისაგან შექმ-
ნა მგალობელთა ჯგუფი.

პირველ ხანებში. მ. ნაკაშიძეს
საჯარო კონცერტები არ გაუმარ-
თავს, მაგრამ გურიიში მისი მომ-
ღერალ-მგალობელთა ჯგუფის მო-
წაწილეობის გარეშე არც ერთი
წვეულება არ ჩატარებულა.

შემდეგ წლებში მელქისედექ ნა-
კაშიძემ გურიიში თავისი ინიცია-
ტივით მომღერალთა რამდენიმე
გუნდი ჩამოაყალიბა. იგი საეკ-
ლესიო-სამრევლო სკოლის ხალ-
ხური საგალობელი სიმღერების
მასწავლებელიც იყო. თავის ოჯახ-
შიაც იწვევდა მოწაფეებს და ას-
წავლიდა ქართულ ხალხურ საგა-
ლობლებს. მ. ნაკაშიძის მოწაფე-
ები იყვნენ ა. ერქომაიშვილი, ჩავ-
ლეიშვილი, ი. ხომერიკი, ლ. პატა-
რაძე ნ. ჯიბლაძე და სხვები. ბევრ-

მა მათგანმა შემდეგ მთელი თავისი ცხოვრება მთლიანად დაუკავშირა მხატვრულ თვითმოქმედებას და სახელმოხვეჭილი ლოტბარებიც გახდნენ.

ერთ-ერთი მათგანი იყო აწ განსვენებული ლოტბარი, საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე არტემ ერქომაიშვილი, რომელიც დიდი მადლიერებით იგონებდა თავის მასწავლებელს — მ. ნაკაშიძეს:

„მე იგი 1908 წელს გავიცანი — მამაჩემთან იყო სტუმრად. ჩემი ხმა მოეწონა და მამაჩემს უთხრა, სახლში წავიყვან და საგალობელს შევასწავლიო. ასეც მოხდა — იმავე წლიდან დავიწყე მასთან მეცადინეობა. ჩემთან ერთად სწავლობდნენ კ. სალუქვაძე, ი. ზომერიკი, ს. ჭანუყვაძე, დ. ხინთიბიძე, პატარავა, იგი უსასყიდლოდ გვასწავლიდა.

მ. ნაკაშიძე წარჩინებული წრიდან იყო, მაგრამ გამოირჩეოდა ღარიბი გლეხებისადმი გულისხმიერი მოპყრობით. განსაკუთრებით უყვარდა სიმღერა-გალობის მოტრფიალენი. მან გალობის მცოდნე ერთ-ერთ გლეხს თავისი ჩოხა - ახალუხიც კი აჩუქა. მელქისედექის ოჯახში ხშირად იმართებოდა გალობის სადამოები. მ. ნაკაშიძის ოჯახი ერთგვარი მუსიკალური სალონიც იყო.

1919 წელს მ. ნაკაშიძე ბათუმის სკოლებში მოიწვიეს გალობის მასწავლებლად. ამავე დროს მან ადგილობრივი მუშებისა და ხელოსნებისაგან ჩამოაყალიბა მომ-

ღერალთა პატარა გუნდი. მისი მხოლოდ მამაკაცები მონაწილეობდნენ. აღსანიშნავია, რამდენად არც ხალხური საკრავები ჰქონდა და არც ნაციონალური ტანსაცმელი.

მხოლოდ აჭარის გასაბჭოების შემდეგ მიიღო ამ გუნდმა ოფიციალური სახე და კულტურული მომსახურეობის მიზნით კონცერტების გამართვა დაიწყო აჭარის მშრომელებისათვის.

მომდევნო წლებში, მიუხედავად ხანდაზმულობისა, მ. ნაკაშიძე უნარიანად უძღვებოდა ქალაქის მრავალ თვითმოქმედ კოლექტივს. იგი მომღერლებს უნერგავდა ხალხური მუსიკის სიყვარულს.

მ. ნაკაშიძის მიერ დაარსებული მომღერალ-მგალობელთა გუნდი მნიშვნელოვანი მოვლენა იყო ჩვენი რესპუბლიკის კულტურულ ცხოვრებაში — მისი გამოჩენის შემდეგ აჭარაში მომრავლდა მომღერალთა გუნდები, ხალხური სიმღერების შეგროვების, დაცვისა და პოპულარიზაციისათვის შეიქმნა ხელსაყრელი პირობები.

აქვე უნდა აღინიშნოს ერთი რამ, როგორც ირკვევა, მ. ნაკაშიძეს ბევრი საკუთარი სიმღერა ჰქონია დამუშავებული, რომელთა სრულყოფილად შესწავლა ჯერჯერობით არ მოხერხდა.

და კიდევ ერთი საყურადღებო ფაქტი: გ. ხოხლენკოს წიგნში „მახარაძის პირველი საშუალო სკოლა“ აღნიშნულია რომ XIX საუკუნის დამდეგს ოზურგეთის სასულიერო სასწავლებელში დაწეს-

და გურული გალობის შესწავლა. ეს კი ერთხელ კიდევ მიუთითებს მ. ნაკაშიძის ნაყოფიერ მუსიკალურ-პედაგოგიურ მოღვაწეობაზე.

სასიქადულო ლოტბარის სასახელოდ უნდა ითქვას აგრეთვე, რომ 1878 წელს თბილისში ჩაუყვანია სამი კაცისაგან შემდგარი მომღერალთა ჯგუფი. რამდენიმე გამოსვლის შემდეგ მომღერლები მიუწვევია ძველი ქართული სიმღერების აღმდგენ კომიტეტს. დამსწრეებმა გადაწყვიტეს, ეს მომღერლები დაენიშნათ ძველი ქართული გალობის მასწავლებლად.

აღსანიშნავია ისიც, რომ მ. ნაკაშიძე საგუნდო მუშაობის გარდა თეატრალურ მოღვაწეობასაც ეწეოდა. ცნობილი იურისტი ე. ხორიშანსკი იგონებს, რომ „მეცხრამეტე საუკუნის დამლევეს სოფელ მაკვანეთში მ. ნაკაშიძის სახლსა და სკოლის შენობაში ხშირად იმართებოდა თვითმოქმედი კოლექტივების წარმოდგენები, რაც ოზურგეთის რაიონის მოსახლეობის დიდ ინტერესს იწვევდა. ამ წარმოდგენებში მონაწილეობდნენ ქეოსინა ხურციძე, ვასო ურუშაძე, რაქდენ წუწუნავას ქალიშვილები — ცნობილი რეჟისორის ალექსანდრე წუწუნავას დები ეველინა და ცეცილია, აგრეთვე ნინუცა ჩიგოგიძე და სხვები. მოგვიანებით ეს თეატრი ოზურგეთის ცენტრში გადავიდა.

თავისი სიცოცხლის ბოლო წლები მ. ნაკაშიძემ ბათუმში გაატარა.

1933 წელს აქაურმა საზოგადოებამ ბათუმის სამხედრო გარნიზონის კლუბში მ. ნაკაშიძის მოღვაწეობის 80 წლისთავისადმი მიძღვნილი დიდი ზეიმი გამართა, შემოქმედებით საღამოს უამრავი ხალხი დაესწრო. მხატვრულ განყოფილებაში მონაწილეობდა აჭარის სახელმწიფო ეთნოგრაფიული ანსამბლი, რომელსაც მ. ნაკაშიძის მოწაფე ა. ერქომაიშვილი ხელმძღვანელობდა. დიდი მოწონება დაიმსახურა ბათუმის მასწავლებლის სახლის მომღერალთა გუნდმა, რომელსაც სათავეში ედგა საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ვ. გოგიტიძე, კონცერტში მონაწილეობდნენ აგრეთვე მ. ნაკაშიძის მოწაფეები ნ. ჯიბლაძე, ი. მოისწრაფიშვილი და ი. ჟღენტაი.

და, ბოლოს, კიდევ ცოტა რამ: თუ დღეს გურულ სიმღერებს თავისი სირთულით, მრავალხმიანობითა და ორიგინალობით აღტაცებაში მოჰყავს მსმენელი, კომპოზიტორი თუ მუსიკის მცოდნე, ამაში გარკვეული წვლილი შესანიშნავ ლოტბარს მელქისედეკ ნაკაშიძესაც მიუძღვის.

საბჭოთა ხელისუფლებამ ხალხის შემოქმედებას ფართო გასაქანი მისცა. მ. ნაკაშიძემაც თავისი საგუნდო საქმიანობით და უანგარო შრომით ქართველ ხალხს მრავალჯერ მიაჩიკა უდიდესი სიამოვნება.

მ. ნაკაშიძე ეკუთვნის ქართველ

მოღვაწეთა იმ რიცხვს, რომლებიც
შთამომავლობამ სათანადოდ უნ-
და შეისწავლოს და დიდი მადლი-
ერების გრძნობით მოიხსენიოს.

ბევრმა შეიძლება არც კი იცის,
რომ სიმღერები „დარუჯანი“,
„ფერად შინდი“, „ხოლოდ შობი-
ლი“, „ძილისპირი ოქრონინოსი“

დამუშავა ჩვენმა სასიქადლო
ლოტბარმა მელქისედეკ ნაკაშიძემ.

ასეთია მ. ნაკაშიძის ~~მეცნიერული~~
გზა. იგი თითქმის არაფრით გან-
სხვავდება ჩვენი ღირსეული წი-
ნაპრების ჩუმი, უპრეტენზიო
ცხოვრების გზისაგან.



ფან 40 კაპ.

5-1791 01/1/03
საქართველოს
საბჭოთაო

ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ
И ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ

„*ლიტერატურული ადჯარა*“

ОРГАН АДЖАРСКОГО ОТДЕЛЕНИЯ
СОЮЗА ПИСАТЕЛЕЙ ГРУЗИИ

ИНДЕКС 76118